მოსკოვში აფხაზური მანდარინის დეფიციტი იგრძნობა A2

საგამოძიებო ვადების შემცირება - ახალი საკანონმდებლო ინიციატივა A8

დისკუსია B6



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 19 ნოემბერი, 2004 წელი. №275 (824)

ფასი 50 თეთრი


*პოლიტიკა*

### იმერეთის გაპარტახებული ჯანდაცვა და ნათელი მომავლის დაპირება



ნინო ბურჯანაძე, გიგი წერეთელი, ლადო ჭიპაშვილი ქუთაისში ჯანდაცვის პრობლემების განხილვისას.

A2

*უცხოეთი*

### ორი ევროპელი ლიდერის ფარული დაპირისპირება



"სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობამ მსოფლიოში საფრთხის კოეფიციენტი არანაირად არ შეამცირა" – ამბობს ჟაკ შირაკი; "C'est la vie (ასეთია ცხოვრება)", აღნიშნავს ტონი ბლერი.

A5


გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, **FM 107.4**

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება. A7


*ამინდი*

| | 19/11 | 20/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 13 | 14 |
| ქუთაისი | 18 | 19 |
| ბათუმი | 19 | 18 |
| სოხუმი | 15 | 16 |
| ფოთი | 18 | 18 |
| თელავი | 12 | 11 |
| ზუგდიდი | 18 | 19 |
| გორი | 11 | 11 |
| ახმეტა | 12 | 12 |
| ჭიათურა | 14 | 15 |
| გაგრა | 12 | 14 |
| სამტრედია | 19 | 19 |

*უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში*

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7850 |
| ევრო | 2.3305 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3156 |
| რუბლი | 0.0625 |

# ორჯერ ორი იმდენია, რამდენიც ქართველ ხალხს სჭირდება

*ბუნებრივია, გარკვეული მოვლენის მიმართ პროტესტის გამოთქმის უფლება ყველას აქვს, მაგრამ იმ გამონათქვამებსა და მოსაზრებებს, რომელიც ამ აქტივობებს თან ახლავს, ვფიქრობთ, გაანალიზება სჭირდება, რადგან ისინი აშკარად მიუთითებენ ჩვენი საზოგადოების დღევანდელ მდგომარეობაზე.*



B6

ბესო გულაშვილის ფოტო

# ცესკო-ს დაკომპლექტების მორიგი მოდელი, არასამთავრობო სექტორი და ხანძარი სასტუმროში

*გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების თაობაზე ბჭობდნენ. შეგახსენებთ, რომ მთავარი ცვლილება, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო, საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესს ეხება.*

თამარ მჭედლიშვილი

დღის პირველ ნახევარში, არასამთავრობო ორგანიზაციათა ნაწილი, საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ინიციატივით, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გამართულ მრგვალ მაგიდასთან შეიკრიბა. მათთან ერთად დისკუსიაში მონაწილეობას საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლებიც იღებდნენ. მოგვიანებით, ამავე თემაზე დისკუსიას უკვე "ღია საზოგადოება - საქართველო" მასპინძლობდა.

მთავარი კითხვა, რომელიც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს საპარლამენტო უმრავლესობისადმი გაუჩნდათ, ასე ჟღერს: **"რატომ დასჭირდა პოლიტიკურ ელიტას ასე ნაუცბათევად, საჯარო განხილვების გარეშე, საარჩევნო კოდექსში საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა".**

საგულისხმოა, რომ არასამთავრობო სექტორი, მთლიანობაში, ეთანხმება მმართველ პარტიას, რომ საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების დღეს მოქმედი წესი აუცილებლად შესაცვლელია და ადმინისტრაციები სწორედ პროფესიული ნიშნით უნდა დაკომპლექტდეს. თუმცა, თუკი მესამე სექტორის წარმომადგენელთა ნაწილი ამტკიცებს, რომ საარჩევნო კოდექსში ცალკეული ცვლილებების შეტანის მაგივრად, პარლამენტმა სრულიად ახალი საარჩევნო კანონმდებლობა უნდა მიიღოს, მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე უფრო მისაღებია ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებები დაიხვეწოს და მაქსიმალურად გაკეთილშობილდეს. ყველა ერთად კი აღიარებს, რომ ახალი საარჩევნო კანონმდებლობის მიღება ნამდვილად აუცილებელია.

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, არასამთავრობოები ერთ რამეში თანხმდებიან - თუკი პოლიტიკური სპექტრი, უფრო ზუსტად კი, სახელისუფლებო გუნდი კოდექსში ცალკეული კონკრეტული ცვლილებების შეტანას მაინც გადაწყვეტს, მაშინ მესამე სექტორს იმის საშუალება უნდა მიეცეს, რომ პარლამენტმა, გადაწყვეტილების მიღების წინ, მათი პოზიციები და წინადადებები გაითვალისწინოს.

ერთი სიტყვით, ორივე შეხვედრაზე ყურადღება კანონპროექტით გათვალისწინებულ საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების წესზე გამახვილდა, თუმცა "ქორთიად მარიოტში", ოპოზიციონერ დეპუტატთა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები საკითხს უფრო მასშტაბურად განიხილავდნენ.

**"საარჩევნო კოდექსი კომპლექსური ცვლილებების განხორციელებას საჭიროებს და მისი "კოსმეტიკური შელამაზება" საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრას ვერ უზრუნველყოფს,"** - ასეთი იყო გამომსვლელთა ძირითადი აქცენტი.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მივესალმები იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც არც თუ ისე დაფარული გაახადეს

ვგულისხმობ ავტორებს ამა წლის 8 ნოემბერს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებული წერილისა "არა არს დაფარული, რომელი არა განცხადდეს"

ნაირა გელაშვილი
მწერალი

**"...ყველა ბოროტმოქმედს სძულს ნათელი და არ მიდის ნათლისაკენ, რათა არ გამჟღავნდეს მისი საქმენი.**
**ხოლო სიმართლის მოქმედი მიდის ნათლისაკენ, რათა გაცხადდეს მისი საქმენი, რადგანაც ღმერთში არიან ქმნილნი".**
**იოანე, 3, 20-21.**

ვაღიარებ: ნამდვილად აღარ ველოდი, რომ ქრისტეს იმპულსი სასულიერო სემინარიასა და აკადემიის რამდენიმე მოწაფეში მაინც აინთებოდა და იმდენად ძლიერად, რომ მათ ერთბაშად სიმართლისათვის დევნილთა რიგებში ჩააყენებდა.

ესენი კი ოცდასამნი არიან!

გაგრძელება A6 გვერდზე

## ლიბერალი სპინ-დოქტორები და საქართველო

ირაკლი კაკაბაძე
ვაშინგტონიდან

მედიის მიერ საზოგადოებაზე მოხდენილი დიდი გავლენა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, პრაქტიკულად, ეჭვგარეშეა. 1950-იანი წლებიდან ამერიკულმა კორპორაციებმა და სახელმწიფო დაწესებულებებმა საჭიროდ ჩათვალეს საზოგადოებასთან ურთიერთობების (Public Relations - PR) განყოფილებების შექმნა. ეს აუცილებელი იყო იმისათვის, რომ პოზიტიურად წარმოეჩინათ ბევრი ისეთი მოვლენა, რომელსაც მაშინდელი საზოგადოება მთლად პოზიტიურად არ უცქერდა. საზოგადოებასთან ურთიერთობების ბიზნესი მყისვე ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გახდა და "ტვინის რეცხვის" ახალი ტექნოლოგიების მუშაობაზე ლაბორატორიებში მილიონობით დოლარი იხარჯებოდა. საჭირო იყო, რომ ექსპლუატაცია წარმოჩენილიყო, როგორც თანამშრომლობა საერთო ეკონომიკური სიკეთისათვის და სწორედ ამიტომაც წამყვანმა ამერიკულმა კომპანიებმა იქირავეს კარგად გაწვრთნილი და ხშირ შემთხვევაში ქარიზმატიული საზოგადო ფიგურები და შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები. სწორედ 50-იან წლებში "ჯენერალ ელექტრიკის" საზოგადოებასთან ურთიერთობების წარმომადგენელი იყო უკვე სახელმოხვეჭილი მსახიობი და სპორტული კომენტატორი რონალდ რეიგანი. მას კომპანიამ საკმაოდ მაღალი ხელფასი დაუნიშნა იმისათვის, რათა გაეუმჯობესებინა ამ საწარმოს იმიჯი. რეიგანმა ეს ამოცანა ფრიადზე შეასრულა, მისი ტურების შემდეგ მთელს ქვეყანაში კომპანიის აქციებმა მკვეთრად აიწია, თვითონ რამოდენიმე წელიწადში კალიფორნიის გუბერნატორად აირჩიეს, მერე კი უკვე პრეზიდენტად. ეს მეტად თვალსაჩინო მაგალითია იმისათვის, თუ რა გავლენა აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროს თანამედროვე ამერიკის პოლიტიკაზე თუ ბიზნესზე. "ტვინის რეცხვა" მეტად მომგებიანი ბიზნესია და აქაური "სპინ-დოქტორები", როგორც საზოგადო აზრის მფორმირებლებს უწოდებენ,

გაგრძელება A3 გვერდზე







A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 დისკუსია | B7 კვირის TV პროგრამა | B8 სხვადასხვა

## თუ გვირაბი არ გაკონტროლდა, დემილიტარიზაცია ფიქციაა

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში, გოგა ხაინდრავა, გუშინ ვლადიკავკაზში გაემგზავრა, სადაც ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის შეხვედრა იმართება.

შსკ-ს სხდომაზე განხილული იქნება სოჭში ხელმოწერილი შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომას ასევე დაესწრება ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელი როი რივი.

ვლადიკავკაზში გამგზავრებამდე სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა აცხადებდა, რომ საქართველოს მთავრობისთვის უმნიშვნელოვანესი როკის გვირაბის გაკონტროლებაა. **"იარაღით დატვირთული კიდევ ერთი ავტოკოლონა შევიდა ცხინვალის რეგიონში როკის გვირაბის გავლით. ეს ის გზაა, რომელსაც ქართული მხარე ვერ აკონტროლებს,"** - აღნიშნა გოგა ხაინდრავამ გუშინ ვლადიკავკაზში გამგზავრების წინ. **"თუმცა, დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი საერთო ძალისხმევით შევასრულებთ იმ შეთანხმებებს, რომლებიც სოჭში იქნა მიღწეული. პირველ რიგში, ცხადია, კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციას ვგულისხმობთ. ამ საქმეში ჩვენ რუსეთის დახმარების იმედიც გვაქვს. სწორედ კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია იქნება ჩვენი შეხვედრის მთავარი საკითხი,"** – დასძინა ხაინდრავამ. ვლადიკავკაზში დანიშნული შეხვედრა ორდღიანია და იგი დღეს დასრულდება.

*24 საათი*

## მოსკოვში აფხაზური მანდარინის დეფიციტი იგრძნობა

რუსული წყაროები ადასტურებენ აფხაზეთში სამხედრო ტექნიკის გადაადგილების ფაქტს და ამას 6 დეკემბრამდე მოსალოდნელი დესტაბილიზაციის საფრთხით ხსნიან. მოსკოვის კარნეგის ცენტრის უფროსი ესქპერტის ალექსეი მალაშენკოს განცხადებით, **"სოხუმის მიმართულებით ჯავშანტექნიკის გადასროლის აქცია კარგად აჩვენებს კრემლის სურვილს, რადაც უნდა დაუჯდეს, დაიცვას აფხაზეთში საკუთარი მოქალაქეები,"** - ამბობს ექსპერტი.

რუსეთის პარლამენტის ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე, პოლიტოლოგი სერგეი კორტუნოვიც ამტკიცებს, რომ სოხუმში მართლაც შევიდა მძიმე ტექნიკა, მაგრამ მისი რაოდენობა თბილისის სერიოზულ შეშფოთებას არ უნდა იწვევდეს, რადგანაც დღეს მოსკოვს აფხაზეთში ომის თავი ნამდვილად არ აქვს. **"ჩვენ ჩეჩნეთისათვის ვერ მოგვივლია, აფხაზეთში ომის წარმოება არ შედის მოსკოვის არც გრძელვადიან, არც მოკლევადიან პერსპექტივაში,"** – დასძინა კორტუნოვმა.

რუსი ექსპერტების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მოსკოვს მაინც მოუწევს თბილისთან გარკვეულ დათმობებზე წავიდეს, თუკი სიტუაცია აფხაზეთში 6 დეკემბრამდე კიდევ უფრო გამძაფრდება. **"ამ შემთხვევაში ჩვენ სახეზე გვექნება კრემლის არა შეფარული, არამედ აგრესიული გამოწვევა და მისი უხეში ჩარევა საქართველოს შიდაპოლიტიკურ საქმეებში, თუმცა, დიდხანს შეიძლება იმაზე დავა, თუ რამდენად სწორად იქცევა დღეს აფხაზური ოპოზიცია,"** - ამბობს მალაშენკო "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში.

რუსული მედია ბოლო დღეებში თავს იმით იმედებს, რომ სერგეი ბაგაფშს და რაულ ხაჯიმბას მოსკოველი მრჩევლები აშკარად აიძულებენ საკუთარი კანდიდატურის მოხსნას.

ერთი საგულისხმო დეტალიც: შარშან ამ დროს მოსკოვის ქუჩებში, ძირითადად მეტროებთან, უკვე იყიდებოდა ნახევრადმწვანე აფხაზური მანდარინი, რომელსაც, იგივე მოსკოველების შეფასებით, სულ სხვა გემო და სურნელი აქვს. ამჟამად კი აფხაზური მანდარინის დეფიციტია.

*რუსუდან ნიკურაძე*
*საკ.კორ.მოსკოვში*

## 8-დან 15 წლამდე პატიმრობა - ფულის გამოძალვისთვის

აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე, საქართველოს ტრანსპორტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი აჭარაში, მერაბ დოლიძე და ამავე ადმინისტრაციის მონიტორინგის ჯგუფის მთავარი სპეციალისტები იოსებ სვირიკაშვილი და მიხეილ ბაინდურაშვილი დააკავეს.

როგორც აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებს, მერაბ დოლიძე და მასთან ერთად დაკავებულები თურქეთის მოქალაქეს თაბრინ ჰაიდს დაზღვევის არქონის მოტივით თავდაპირველად 800 ლარს სძალავდნენ. მოგვიანებით კი, მათ შორის გამართული "ვაჭრობის" შემდეგ გამომძალველები ნაკლებ თანხას დასჯერდნენ. დაკავების ოპერაცია სწორედ იმ დროს ჩატარდა, როდესაც თურქეთის მოქალაქემ საქართველოს ტრანსპორტის ადმინისტრაციის წარმომადგენელს აჭარაში, მერაბ დოლიძეს და ამავე ადმინისტრაციის მონიტორინგის ჯგუფის მთავარ სპეციალისტებს იოსებ სვირიკაშვილს და მიხეილ ბაინდურაშვილს, წინასწარი შეთანხმებით დათქმულ ადგილას 150 დოლარი გადასცა. სამივე დაკავებული წინასწარი დაკავების საკანშია გადაყვანილი. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მათ 8-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

**24 საათი**

## მირცხულავა სასამართლოში სომეხ ენერგეტიკოსებს ელოდება

სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი, განსასჯელი დავით მირცხულავა დღევანდელი სასამართლო პროცესისთვის საგანგებოდ ემზადება. მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში დღეს, ჩვენების მისაცემად სომხეთიდან სპეციალურად მოწვეულ ენერგეტიკოსებს დაკითხავენ. სომეხი ენერგეტიკოსების სასამართლო ჩვენებებზე დიდ იმედებს ამყარებენ განსასჯელიცა და მისი ინტერესების დამცველებიც.

დავით მირცხულავაც და მისი ადვოკატებიც თვლიან, რომ სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის მიერ აქამდე მიწვეულმა მოწმეებმა, განსასჯელის სასარგებლო ჩვენებები მისცეს. მირცხულავას უდანაშაულობის დამადასტურებელი ჩვენებების მოსმენის იმედი აქვთ სომეხი ენერგეტიკოსების სასამართლო დაკითხვისასაც. სომხეთიდან ჩამოსულ მოწმეებს დღეს, სავარაუდოდ, ძირითადად განსასჯელის მიერ დასმულ კითხვებზე მოუწევთ პასუხების გაცემა.

**24 საათი**

## ევროპული დახმარება სტატუსის განსაზღვრისთვის

ევროსაბჭო საქართველოს სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრაში დაეხმარება. გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ევროსაბჭოს ელჩების მონიტორინგის ჯგუფს შეხვდა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს ჯგუფის ხელმძღვანელმა ჟან კლოდ ჟოზეფმა განუცხადა, ევროსაბჭო საქართველოს შიდა საკითხებში ჩარევას არ აპირებს, თუმცა მზად არის, სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრაში დაეხმაროს.

"აუცილებელია, საქართველომ ეს სტატუსი განსაზღვროს და თუ სამხრეთ ოსეთს ავტონომიის სტატუსი მიენიჭება, ეს რეალური ავტონომია უნდა იყოს თავისი ფინანსური და სხვა სახის დამოუკიდებლობებით," - აღნიშნა მან.

როგორც ჟან კლოდ ჟოზეფმა განმარტა, საქართველო ახლახან შეუერთდა ვენეციის კონვენციას და უახლოეს მომავალში სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრაში საქართველოს დასახმარებლად თბილისს ევროსაბჭოს ექსპერტები ეწვევიან. **ინტერ-პრესი**

# იმერეთის გაპარტახებული ჯანდაცვა და ნათელი მომავლის დაპირება

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*



*ნინო ბურჯანაძე, გიგი წერეთელი, ლადო ჭიპაშვილი ქუთაისში ჯანდაცვის პრობლემების განხილვისას.*

იმერეთის ჯანდაცვის სისტემა სავალალო მდგომარეობაშია. რეგიონში მოქმედი 500-მდე სამედიცინო დაწესებულებიდან თანამედროვე სტანდარტებს არც ერთი არ აკმაყოფილებს. განსაკუთრებით დანგრეული და გაპარტახებულია რაიონულ ცენტრებში მდებარე სამედიცინო დაწესებულებები. მოშლილია მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მართვა-მენეჯმენტი და სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების შესრულება. ასეთ დასკვნამდე მივიდა რეგიონში ყოფნისას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი და შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტი. ლადო ჭიპაშვილის განმარტებით, მთელ დასავლეთ საქართველოში არათუ ნორმალური საავადმყოფო, ნორმალური რენტგენის აპარატიც კი არ არსებობს.

შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებას ხელისუფლება ქუთაისში, კარგად აღჭურვილი სამედიცინო ცენტრის გახსნით გეგმავს. ეს სამედიცინო დაწესებულება მოსახლეობას დასავლეთ საქართველოს მასშტაბით მოემსახურება.

სტატისტიკის მიხედვით, იმერეთში 16 საავადმყოფოა, 34 - პოლიკლინიკა, 6 - სასწრაფო დახმარება და 120-მდე - ამბულატორია. რაიონული და საქალაქო საავადმყოფოების უმეტეს ნაწილში მხოლოდ პერსონალის საშტატო განაკვეთია ხელუხლებელი. შენობების დიდი ნაწილი, უფინანსობისა და მოუვლელობის გამო, დანგრეულია, ავადმყოფები კი მხოლოდ კანტიკუნტად ჰყავთ. მაგალითად, ვანის რაიონულ საავადმყოფოს აქვს სამსართულიანი შენობა და 4 ჰექტარი ტერიტორია, დასაქმებული 75 ექიმი და ასამდე მედდა. რამდენიმე დღის წინ, ვანში ჩასულმა შრომის, ჯანმრთელობსა და სოციალური დაცვის იმერეთის რეგიონული სამმართველოს უფროსმა ლაშა კილაძემ, ამოდენა საავადმყოფოში მხოლოდ ერთი ავადმყოფი ნახა, ისიც მშობიარე. **"ჩემზე დამთრგუნველი შთაბეჭდილება იქონია ვანის საავადმყოფოს ასმეტრიანმა ცარიელმა დერეფნებმა,"** - ამბობს ლაშა კილაძე. იგივე მდგომარეობაა მხარის სხვა ადმინისტრაციულ ცენრებშიც. მაგალითად, ზესტაფონში 4-სართულიანი უზარმაზარი საავადმყოფოა, ბოლო ოპერაცია კი აღნიშნულ საავადმყოფოში ექვსი თვის წინაა გაკეთებული.

გაპარტახებულია ქუთაისისა და რაიონების სამედიცინო დაწესებულებების მატერიალურ ტექნიკური ბაზაც. **"ავადმყოფებს ხუთჯერ მეტი დოზით ვასხივებთ, ვიდრე ეს საერთაშორისო სტანდარტებითაა დაშვებული. უფრო მეტსაც გეტყვით, დასავლეთ საქართველოში რეანიმაციული და ინტენსიური თერაპიის საწოლი არა გვაქვს. მთავარი ექიმები ნუ ეძახით რეანიმაციულ საწოლებს იმას, მხოლოდ კარიდორის თავში რომ წააწერთ – "რეანიმაცია". დასავლეთ საქართველოში არ არსებობს კომპიუტერული ტომოგრაფია და ანგიოგრაფი, რომელზეც ელემენტარული გამოკვლევების ჩატარება შეიძლება. ვერც ექოსკოპიის აპარატები პასუხობენ მოთხოვნებს,"** - აცხადებს ლადო ჭიპაშვილი.

რეგიონის სამედიცინო დაწესებულებების მიმართ სახელმწიფოს 7 მილიონ 431 ათასი ლარის დავალიანება გააჩნია. **"აღნიშნული დავალიანების მთლიანად დაფარვის შემთხვევაში იმერეთში თანამედროვე სტანდარტების სამედიცინო დაწესებულებების ქსელის მოწყობა იქნებოდა შესაძლებელი,"** - განმარტავს მხარის ჯანდაცვის ხელმძღვანელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაკვირი აღარ არის ის უარყოფითი სტატისტიკა, რომელიც იმერეთში შობადობის და სიკვდილიანობის მხრივ დაფიქსირდა. ამჟამად იმერეთში 699 666 ადამიანი ცხოვრობს, სიკვდილიანობა კი 11,8 პროცენტს შეადგენს. მოსახლეობის ბუნებრივი ნამატი, ხარაგაულის გარდა, არსად ფიქსირდება. იმერეთში ხუმრობენ, რომ ხარაგაულის აღნიშნული მაჩვენებელი რაიონში ენერგოკრიზისს უკავშირდებაო...

მხარის ჯანდაცვის სისტემაში ხშირია ჯანდაცვის პროგრამებით მანიპულირების შემთხვევები. მაგალითად, 2002 წელს თერჯოლის საკრებულოს, რაიონის მოსახლეობისთვის რატომღაც კბილების ამოღების პროცედურის დაფინანსება გადაუწყვეტია. ამჟამად უცნობია, ვის მოუვიდა ეს ნოვაცია თავში, სამაგიეროდ ცნობილია, რომ გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. სტატისტიკის მიხედვით, თერჯოლის სამედიცინო დაწესებულებებში 2002 წელს 3000 კბილი ამოუღიათ, ერთი კბილის ამოღება შვიდ ლარადაა შეფასებული, მაშინ, როდესაც იგივე პროცედურას ქუთაისში 5 ლარადაც მშვენივრად აკეთებენ. **"ასეთი შემთხვევები არა მარტო თერჯოლაში, სხვა რაიონებშიც ფიქსირდება. რაიონის საკრებულოები ამას, სხვა აუცილებელი პროგრამების დაუფინანსებლობის პარალელურად აკეთებდნენ. რა თქმა უნდა, აღნიშნულის უკან კერძო ინტერესები იმალება,"** - აცხადებს კილაძე. მხარის ჯანდაცვის სისტემის კიდევ ერთი მწვავე პრობლემა "კატასტროფის ცენტრის" დაუფინანსებლობაა. იგი ამჟამად ღუდუშაურის კლინიკის განყოფილებას წარმოადგენს და მთელ დასავლეთ საქართველოს ემსახურება. რამდენიმე თვეა, აღნიშნული ცენტრი უსახსრობის გამო გაჩერებულია. ლაშა კილაძის ინფორმაციით, რაიონებიდან ქუთაისში ავადმყოფები (ძირითადად ბავშვები) ავტომობილებით, ცხენებით და ურმებით მოჰყავთ. თბილისში კი კერძო ავტომობილებით გადაჰყავთ. აღნიშნული სამსახურის მოშლამ, რამდენიმე კვირის წინ, 24 საათში 5 ბავშვის დაღუპვა გამოიწვია.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის აზრით, აუცილებელია ჯანდაცვის რაიონული სისტემების ოპტიმიზება. **"მთავარი აქცენტი ჯანდაცვის სისტემის კონცეპტუალურ გაჯანსაღებაზე უნდა გავაკეთოთ. ამისათვის კი საწვავი ანუ ფული გვჭირდება,"** - აცხადებს ჭიპაშვილი. მისი განმარტებით, ჯანდაცვისთვის ბიუჯეტში, მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ პროცენტზე ნაკლებია გამოყოფილი. შედარებისთვის მას მეზობელი ქვეყნების მაგალითები მოჰყავს. სომხეთსა და აზერბაიჯანში ჯანდაცვის დაფინანსება ბიუჯეტის 2 პროცენტია; რუსეთში კი - 4,5 პროცენტი. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი გაცილებით მეტია.

**"ჩვენ უნდა წავიდეთ რეგიონული მედიცინის აღორძინების გზით. პირველ ნაბიჯს სწორედ ქუთაისში ვდგამთ. დაახლოებით 9-10 თვეში აქ დიაგნოსტიკური სამსახურების ოპტიმიზებას მოვახდენთ. ქუთაისში დავდგამთ ისეთ სამედიცინო აპარატურას, რომელიც არათუ აქ, თბილისშიც არ არის. გაკეთდება უახლოესი სტანდარტების დიაგნოსტიკური განყოფილებაც, რომელსაც ავტომატურად მოჰყვება ქუთაისის საავადმყოფოების სამკურნალო პოტენციალის გაუმჯობესება. შეიქნება სამკურნალო- დიაგნოსტიკური ცენტრი, სადაც განთავსდება კომპიუტერული ტომოგრაფია, თანამედროვე ანგიოგრაფია, თანამდროვე ფერადი ექოსკოპია და ციფრული რენტგენის აპარატი. ქუთაისი უნდა გახდეს ისეთივე ცენტრი ქართული მედიცინისთვის, როგორიც დღეს თბილისია,"** - განაცხადა ლადო ჭიპაშვილმა.

# რაში დავხარჯოთ ზედმეტი 250 ათასი ლარი?

*როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, თბილისის საკრებულოში დღეს დაგეგმილი სხდომა აჟიოტაჟის გარეშე არ ჩაივლის. მოსალოდნელი ხმაურის მიზეზი გახლავთ 2004 წლის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების პროექტი, რომლის მიხედვითაც, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ბიუჯეტს, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებისათვის, 250 ათასი ლარი ემატება. ამ 250 ათას ლარად კი საახალწლოდ "ყინულის შოუს" გვპირდებიან.*

ნანა ქადაგიშვილი

როგორც "24 საათმა" შეიტყო, 2004 წლის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ გადაწყვეტილების პროექტის თავდაპირველ ვარიანტში, რომელიც ფრაქციებს დაურიგდა, დაკონკრეტებული არ იყო, 250 ათასი ლარი რომელ კულტურულ ღონისძიებებს ხმარდებოდა. თუმცა, შემდეგ, ეჭვისა და წინააღმდეგობის საფუძველი რომ მოსპობილიყო, გადაწყვეტილების პროექტის მეორე ვარიანტში 250 ათასი ლარის მიმართულება დაზუსტდა. დღევანდელ სხდომაზე გამოსატან პროექტში უკვე აღნიშნულია, რომ ეს თანხა საახალწლო ღონისძიებებისთვის არის განკუთვნილი. თუმცა, საკრებულოს წევრების ნაწილს ასე ძვირი საახალწლო ღონისძიებები წინააღმდეგობის სურვილს უფრო უმძაფრებს.

2004 წლის საახალწლო ღონისძიებებისთვის ბიუჯეტიდან 50 ათასი ლარი დაიხარჯა. 2005 წლის საახალწლო ზეიმისთვის წლევანდელ ბიჯეტში ამდენივე თანხა უკვე ზის. თუმცა, როგორც კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსი დავით ოქიტაშვილი განმარტავს, თუ გვინდა, რომ ნორმალური ახალი წელი გვქონდეს, მეტი ფული უნდა დავხარჯოთ. ნორმალურ ახალ წელში კი, "ისთერნ პრომოუშენის" პროექტი იგულისხმება. როგორც კომპანიის მარკეტინგის დირექტორმა კახა კანდელაკმა განგვიმარტა, საახალწლოდ თბილისელებს არნახული შოუ ელით - მერიის შენობის წინ 16 ინგლისელი მოციგურავე ერთსაათიან წარმოდგენას მოაწყობს (3 ტონა სინთეტურ ყინულს ჩამოიტანენ); დაგეგმილია, აგრეთვე, ლაზერული შოუ და ქართული ესტრადის მომღერლების კონცერტი.

როგორც ოქიტაშვილი აცხადებს, წლევანდელ ბიუჯეტში შემოსავლების გაზრდა საახალწლო ღონისძიებებისთვის თანხის დამატების საშუალებას იძლევა. თუმცა, თბილისში, სადაც ათასობით უსახლკარო და გაჭირვებული მოქალაქე ცხოვრობს, ბიუჯეტის დამატებითი შემოსავლების ყინულის შოუს მოსაწყობად დახარჯვა სჯობს, თუ სოციალური პროგრამების დაფინანსება, სწორედ საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე გაირკვევა.

# ოზურგეთში გარემოვაჭრეებს ათვინიერებენ

თამაზ ხარაიშვილი
*ოზურგეთიდან*

რამდენიმე წელია, ოზურგეთში ე. წ. გარემოვაჭრეების პრობლემა დგას და მისი გადაჭრის არაერთი ცდა უნაყოფო აღმოჩნდა. ამ ცოტა ხნის წინ ყველა გარემოვაჭრეს, რომლებიც ოზურგეთის ბაზრის შესასვლელ-გამოსასვლელში მოქარავნეებივით იყვნენ კარვებსა და სხვა დროებით სადგომში დაბანაკებულნი, წინადადება მიეცათ, რომ ეს ადგილები დაეცალათ და ბაზრის შიგნით, ანუ კაპიტალურ ფარდულებში გაეგრძელებინათ თავიანთი საქმიანობა. გარემოვაჭრეები უხალისოდ მოეკიდნენ ამ ულტიმატუმს და აჩემებული ადგილებიდან ფეხს არ იცვლიდნენ. გუშინ შუაღამით, გუბერნატორის ინიციატივით, სამართალდამცველების, ბაზრის ადმინისტრაციის, ქალაქის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის, სხვა მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით ოზურგეთის აგრარული ბაზრის და მისი მიმდებარე ტერიტორიიდან გაიტანეს გარევაჭრობისათვის გამოყენებული ყველა ატრიბუტი, დაიშალა კუსტარული ფარდულები. დილით უკვე ბაზარი ბაზარს ჰგავდა და ქუჩა - ქუჩას. მოვაჭრეები ამიერიდან მხოლოდ ბაზრის შიგნით, გაცილებით კომფორტულ და ცივილიზებულ პირობებში გააგრძელებენ თავიანთ საქმიანობას. მათ, პირველ ეტაპზე, მიენიჭებათ გარკვეული შეღავათები დაკავებული ფართის გადასახადთან დაკავშირებით.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს გარკვეული ღონისძიებები ხორციელდება ქალაქ ოზურგეთის იერსახის გაუმჯობესებისათვის. ქალაქში განლაგებული კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულებების ხელმძღვანელებს დაევალათ თავიანთი შენობა-ნაგებობების წესრიგში მოყვანა. გურიის გუბერნატორის პრინციპული მოთხოვნის სისრულეში მოსაყვანად ბევრმა მათგანმა დაიკავა ხელში ჯაგრისი და ფუნჯი. ამ საქმეში აქტიურად არის ჩართული ქალაქის მერია, რომელიც კოორდინაციას უწევს კეთილმოწყობის მიმდინარე სამუშაოებს; უშუალოდ მერიისა და რამდენიმე საწარმოს კოალიციური თანამშრომლობით ქალაქის ცენტრში აღდგა გავერანებული სპორტული კომპლექსი.

# სატელეფონო ტერორისტები საქმიანობას არ წყვეტენ

მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელი აფეთქების თაობაზე ანონიმური ზარებისათვის უშიშროების სამინისტროს უკვე რამდენიმე პირი ჰყავს დაკავებული, მსგავსი ტიპის ცრუ ზარები მაინც თითქმის ყოველდღიურად ხორციელდება სხვადასხვა დაწესებულებაში.

სატელეფონო ტერორისტების საქმიანობა კვლავ არ წყდება. გუშინ, ბოლო ორი კვირის განმავლობაში უკვე მეხუთედ, უშიშროების სამინისტროს გამმნაღმველთა ჯგუფს მეექვსე გიმნაზიაში აძებნინეს ნაღმი. ამ მოტივით გიმნაზიაში მეხუთედ შეწყდა სასწავლო პროცესი. ანონიმმა ინფორმაცია შენობაში ნაღმის არსებობის შესახებ, კვლავ საპატრულო პოლიციაში დატოვა.

სატელეფონი ტერორისტმა საპატრულო პოლიცია და გამმნაღმველები გუშინ ვაკის პარკშიც გაგზავნა. უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლები, ისევე, როგორც მეექვსე გიმნაზიაში, ვაკის პარკის შესასვლელში დიდი ხნის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდნენ ნაღმებს. ვაკის პარკისკენ გამოძახებაზე მიმავალ პატრულს კი ყიფშიძის ქუჩაზე ავტოავარია შეემთხვა.

როგორც დაზარალებული პატრული აცხადებს, ყიფშიძის ქუჩის შესასვლელთან, სადაც მოხვევა არ შეიძლება, პატრულის მანქანას "აუდის" მარკის ავტომანქანამ გადაუჭრა გზა, რის გამოც პატრულის ავტომანქანა მიწისქვეშა გადასასვლელის ბორდიურს შეეჯახა. ინციდენტის შედეგად საპატრულო ავტომანქანის მძღოლმა თავის არეში მსუბუქი დაზიანება მიიღო.

**24 საათი**

*მოკლედ*

### გაერო აფხაზეთში მშვიდობის იძულებით დამყარებას არ აპირებს

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია წესდების მე-7 თავის ამოქმედებას არ აპირებს, რომელიც "მშვიდობის იძულებით დამყარებას" ითვალისწინებს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს სოხუმში მყოფმა გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში ჰაიდი ტალიავინიმ განუცხადა.

"გაერო-ს დამკვირვებელთა მისია დაინტერესებული არ არის აფხაზეთში სიტუაციის დესტაბილიზაციით და გამწვავებით, არც გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრებს და არც "გაერო-ს გენმდივნის მეგობარი ქვეყნების" ჯგუფს ამ მუხლის გამოყენების სურვილი არ გამოუთქვამთ," - აღნიშნა მან.

"გაერო-ს უშიშროების საბჭოს ბოლო სხდომაზე ამის შესახებ საუბარიც კი არ ყოფილა,"- განაცხადა ჰაიდი ტალიავინიმ.

დიპლომატის თქმით, გაერო-ს წესდების ეს მუხლი არ არის მარტივი და ერთგვაროვანი და უშიშროების საბჭო მას არცთუ ხშირად იყენებს.

"ერაყსა და კოსოვოში გაერო-მ ამგვარი ზომებისგან თავი შეიკავა," - დასძინა ტალიავინიმ. **პრაიმ-ნიუსი**

### ქართველი პარლამენტარები ოს კოლეგებთან თანამშრომლობისათვის მზადყოფნას გამოთქვამენ

ქართველი პარლამენტარები მზადყოფნას გამოთქვამენ თავის ცხინვალელ ოს კოლეგებთან დიალოგისთვის, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ცნობს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას და არც ამ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურების, მათ შორის საკანონმდებლო ორგანოს, ლეგიტიმურობას აღიარებს.

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვასილ მაღლაფერიძემ განაცხადა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ევროკავშირის წარმომადგენელთან ჰეიკი ტალვიტიესთან და საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელთან როი რივთან გამართულ შეხვედრაზე.

მაღლაფერიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრები სისტემატურად ჩადიან კონფლიქტის ზონაში იქ არსებული სიტუაციის ადგილზე გასაცნობად და ასევე, მზად არიან მონიტორინგი გაუწიონ 5 ნოემბერს სოჭში კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის შესახებ მიღწეული შეთანხმებების შესრულებას.

მან აღნიშნა, რომ ქართული ხელისუფლება მზად არის, განიხილოს რეგიონისთვის ნებისმიერი იმ სტატუსის მინიჭების საკითხი, რომელსაც იცნობს საერთაშორისო სამართალი, და ასევე, გაითვალისწინოს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები ამ საკითხთან დაკავშირებით.

თუმცა, მისი თქმით, პირველ რიგში უზრუნველყოფილი უნდა იყოს კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ნებისმიერი ეროვნების მოქალაქის უსაფრთხოება და გადაადგილების თავისუფლება, მოხდეს სრული დემილიტარიზაცია და დაიწყოს რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაცია.

ვასილ მაღლაფერიძემ ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებად მიიჩნია როკის გვირაბის გაკონტროლება - პირველ ეტაპზე, თუნდაც, საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით.

პარლამენტარის თქმით, საქართველო ყველაზე მეტად ამ მაგისტრალის გაკონტროლებით არის დაინტერესებული, რაშიც მას საერთაშორისო თანამეგობრობა უნდა დაეხმაროს.

ჰაიკი ტალვიტიემ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მშვიდობიანი მეთოდებით და მზად არის, ამ მხრივ ქვეყანას მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს.

მან დადებითად შეაფასა სოჭში მიღწეული შეთანხმება კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის შესახებ და აღნიშნა, რომ ევროკავშირის პრიორიტეტი რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაცია იქნება.

ტალვიტიეს ინფორმაციით, იგი ცხინვალში სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტს ედუარდ კოკოითს შეხვდა და მასთან სოჭის შეთანხმებების შესრულების და ეკონომიკური პროექტების განხორციელების საკითხები განიხილა.

ამასთან, ევროკავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოკოითთან შეხვედრაზე სამხრეთ ოსეთის მომავალი სტატუსის შესახებ არ უსაუბრია და ამ საკითხზე დიალოგის დაწყება თბილისისა და ცხინვალის პრეროგატივაა. **პრაიმ-ნიუსი**

### სერგეი ბაგაფში უხუცესთა საბჭოს წინადადებასაც არ ეთანხმება

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატი სერგეი ბაგაფში არ ეთანხმება უხუცესთა საბჭოს წინადადებას რესპუბლიკაში განმეორებითი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების თაობაზე.

"უხუცესთა საბჭოს წინადადება მიუღებელია," - განუცხადა მან ჟურნალისტებს.

ამასთან, ბაგაფში, რომელიც თავს არჩევნებში გამარჯვებულად მიიჩნევს, მთავრობის ჩამოყალიბებას არ ჩქარობს.

მისი თქმით, ამ ეტაპზე ის პრეზიდენტობის მეორე კანდიდატთან, რაულ ხაჯიმბასთან მოლაპარაკებებითაა დაკავებული, რომელსაც ჯერ არ სურს, თავი დამარცხებულად ცნოს. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო
FM 107,4
„რადიო დილა" ყოველდღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე

წამყვანები - ლეო ჯიბლაძე, გაგა გობრონიძე, გიორგი ბაბალაშვილი
სტუმარი - ნაირა გელშვილი, მწერალი, "კავკასიური სახლის" ხელმძღვანელი

ნაირა გელაშვილი:



"1944 წლის 15 ნოემბერს სამხრეთ საქართველოში სტალინის ხელისუფლებამ ჩაიდინა მორიგი დანაშაული კაცობრიობის წინაშე - 125 000 უდანაშაულო მაჰმადიანი მესხი ერთ ღამეში აყარა და სატვირთო მატარებლებით შუა აზიის გზას გაუყენა. ერთბაშად დაცარიელდა საქართველოს 220 სოფელი."



"1999 წელს ევროსაბჭოში გაწევრიანებისას საქართველოს დაევალა მესხების რეპატრიაციისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის შემუშავება და რეპატრიაციის განხორციელება 12 წლის განმავლობაში. "



"1956 წელს ყველა დეპორტირებულ ხალხს მიეცა სამშობლოში დაბრუნების უფლება მაჰმადიან მესხთა გარდა. ეს პრობლემა დღემდე გადაუჭრელი რჩება".



"საქართველოს ხელისუფლება დღემდე აცხადებს, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად მზად არ არის. თუმცა, იგი ამისათვის არც ემზადება. "

# ცესკო-ს დაკომპლექტების მორიგი მოდელი, არასამთავრობო სექტორი და ხანძარი სასტუმროში

პირველი გვერდიდან

საგულისხმო დეტალი - მრგვალი მაგიდა ერთი საათით ადრე დასრულდა, რადგან სასტუმროში სახანძრო განგაში ატყდა. მცირე ექსცესი, რომელსაც დისკუსიის ნაადრევად დასრულება მოჰყვა, ნაგვის ურნაში ჩაყრილი ქაღალდების აალებამ გამოიწვია. სასტუმროს მომსახურე პერსონალმა ხანძრის ჩაქრობა საკუთარი ძალებით მოახერხა, თუმცა ხანძრის ჩაქრობის შემდეგ შენობაში აღარც პოლიტიკოსები აღმოჩნდნენ, აღარც არასამთავრობოები და აღარც მედიის წარმომადგენლები - მათ სასტუმრო სასწრაფოდ დატოვეს.

მოგვიანებით, ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ოფისში შეკრებილმა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა ნაადრევად შეწყვეტილი მსჯელობა განაახლეს. თუმცა, მათ ოპონირებას მხოლოდ სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლები - იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი, მისი მოადგილე ნიკა გვარამია და საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია უწევდნენ. ამის მიუხედავად, ამ შეხვედრას არც სიმძაფრე აკლდა და არც ხელისუფლების კრიტიკა. არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა ჰქონდათ: როგორ და რა კრიტერიუმებით უნდა შეირჩეს ცესკო-ს წევრობის კანდიდატები, ვინ უნდა "გაფილტროს" ისინი მანამ, სანამ მათი მონაცემები პრეზიდენტს წარედგინება და ა.შ.

ფონდის დირექტორის დავით დარჩიაშვილის თქმით, უახლოეს დღეებში იურიდიულ კომიტეტს მიეწოდება კონკრეტული წინადადებები და შენიშვნები, რომელიც დისკუსიის დროს წარმოიშვა.

სხვათა შორის, გიგა ბოკერიამ, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მოსაზრებებს მოთმინებით უსმენდა, შეხვედრის დასასრულს განაცხადა, რომ არსებობს რამდენიმე ვარიანტი და ხელისუფლებამ ერთ-ერთი უნდა აირჩიოს - ან ამ ეტაპზე არაფერი მოიმოქმედოს და მხოლოდ ახალი საარჩევნო კოდექსის შემუშავების აუცილებლობაზე იმსჯელოს, ან კონკრეტული ცვლილებებით საარჩევნო კანონმდებლობა დახვეწოს. თუმცა, მისი თქმით, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ახალ საარჩევნო კოდექსზე მუშაობა არ უნდა დაიწყოს.

და რაც მთავარია - გიგა ბოკერიამ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ახალი მოდელით, **"საარჩევნო ადმინისტრაციებს სწორედ რომ ხელისუფლება აკომპლექტებს და ამიტომაც, ქვეყანაში გამართული ყველა არჩევნების სამართლიანობაზე პასუხისმგებლობას სწორედ მმართველი პოლიტიკური გუნდი იღებს."**

# იურიდიულ საკითხთა კომიტეტში როტაცია მზადდება

გიორგი ასანიშვილი

*იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის სხდომები თითქმის ყოველთვის 40-50 წუთის დაგვიანებით იწყება. მიზეზი საკმაოდ პროზაულია: დეპუტატების ნაწილი სხდომაზე გვიან ცხადდება და კვორუმის შეკრება ჭიანურდება. კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟანიშვილი დასახმარებლად ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" ხელმძღვანელობას მიმართავს და ხუთი პარლამენტარის (რომან კუსიანი, ქეთევან მახარაშვილი, ნიკა რურუა, ვასილ მაღლაფერიძე და პაატა ლეჟავა) როტაციას ითხოვს.*



იური [illegible] ფოტო

*იურიდიული კომიტეტი კატეგორიულად მოითხოვს, რომ ფინანსური ამნისტია არ გავრცელდეს სახელმწიფო მოხელეებზე.*

**"იურიდიულ საკითხთა კომიტეტში ყოფნა პრივილეგია არ არის. ეს, პირველ რიგში, დეპუტატების გაზრდილ პასუხისმგებლობას გულისხმობს,"** - აცხადებს ბეჟაშვილი, რომელიც დეპუტატების სისტემატურ დაგვიანებებს მხოლოდ იმით ხსნის, რომ ისინი **"უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით არიან დაკავებული."** კომიტეტის თავმჯდომარე აზუსტებს, რომ საუბარი ამ ხუთი დეპუტატის კომიტეტიდან გარიცხვაზე კი არ არის, არამედ იმაზე, რომ **"ფრაქციამ იურიდიულ კომიტეტში თავისი შემადგენლობის ოპტიმიზაცია მოახდინოს."**

ვინაიდან პარლამენტის რეგლამენტი მხოლოდ კომიტეტის სხდომის გაცდენის საკითხებს არეგულირებს და დაგვიანებებისთვის რაიმე სასჯელს არ ითვალისწინებს, ბეჟაშვილი არ გამორიცხავს, რომ საკანონმდებლო ორგანოს "შიდა კონსტიტუციაში" ცვლილებები შევიდეს და დეპუტატებს პასუხისმგებლობა კომიტეტის სხდომაზე გვიან მისვლისთვისაც დაეკისროთ.

დისციპლინაშესუსტებული კომიტეტი გუშინ დიდხანს უკირკიტებდა ე.წ "ფინანსურ ამნისტიას" და მას მეორე მოსმენით, მუხლობრივად იხილავდა (ეს მაშინ, როდესაც დოკუმენტი პარლამენტს პირველი მოსმენით ჯერ არ მიუღია). კანონპროექტის საბოლოო სახე ბევრად იქნება დამოკიდებული მთავრობის წევრებისა და პარლამენტის ხელმძღვანელობის პრეზიდენტთან კონსულტაციაზე, რომლის გამართვა გუშინდელი საღამოსთვის იყო დაგეგმილი. ალბათ, ამ კონსულტაციების დროს იმასაც მოეფინება ნათელი, რამაც აქამდე შეაფერხა "ფინანსური ამნისტიის" პირველი მოსმენით მიღება. კერძოდ, უნდა გავრცელდეს თუ არა ამნისტია სამოხელეო დანაშაულზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით გიგა ბოკერია აცხადებს, რომ საპარლამენტო უმრავლესობის პოზიცია უცვლელია - თანამდებობის პირებს ფინანსური ამნისტია არ უნდა შეეხოთ.

**"თუ კანონპროექტს მაინც ამ სახით შემოგვთავაზებენ, მაშინ ჩვენ ალტერნატიულ ვარიანტს წამოვაყენებთ,"** - იმუქრება იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

გუშინდელი საკომიტეტო მოსმენის დროს პარლამენტარმა ზურაბ ჯგუბურიამ "ექსიმბანკის" მეანაბრეთა საკითხიც წამოწია და აღნიშნა, რომ თავის დროზე ედუარდ შევარდნაძემ მოახდინა ანაბრების პრივატიზება და "გაერთიანებული ქართული ბანკისთვის" მათი გადაცემა. დეპუტატს მიაჩნია, რომ ამ სახის დანაშაულებრივი ქმედება ამნიასტიას არ უნდა ექვემდებარებოდეს. ამასთან, ჯგუბურია ითხოვს, გაირკვეს ამ ოპერაციებში ზაზა სიორიძისა და ვანო ჩხარტიშვილის ბრალეულობის საკითხი.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტს გუშინ კიდევ ერთ აქტუალურ საკითხზეც უნდა ემსჯელა. სატრანსპორტო საშუალებების მართვის დროს უსაფრთხოების ქამრების გამოყენების აუცილებლობასა და მობილური ტელეფონებით სარგებლობის აკრძალვას პარლამენტმა პირველი მოსმენით დაახლოებით ერთი თვის წინათ დაუჭირა მხარი. თუმცა, კანონპროექტის "წინ წაწევას" დეპუტატები აღარ ჩქარობენ. მათი აზრით, კანონის ამოქმედება ბევრ პრობლემას შექმნის და ამიტომ, მიზანშეწონილია მისი ამოქმედების გადავადება (კანონპროექტი ასეთ ვადად 2005 წლის 1 იანვარს აწესებს).

ამ თვალსაზრისს კომიტეტის თავმჯდომარეც ეთანხმება. ლევან ბეჟაშვილის აზრით, მომავალი წლის 1 იანვრიდან საპატრულო სამსახური მხოლოდ მძღოლების გაფრთხილებებით უნდა შემოიფარგლოს, საჯარიმო სანქციები კი დაახლოებით 6 თვის შემდეგ ამოქმედდეს.

მედიატექნოლოგიები

# ლიბერალი სპინ-დოქტორები და საქართველო

პირველი გვერდიდან

უკვე დიდი ხანია, რაც მეტად გავლენიან როლში გვევლინებიან. თუმცა, სპინ-დოქტორებსაც ჰყავთ საკუთარი უფროსები – ესენი არიან კორპორატიული ამერიკის უხილავი ბატონები. რა თქმა უნდა, ბილ გეიტსს ან დონალდ ტრამპს ყველა იცნობს, მაგრამ მათ გარდა ბევრი CEO (მთავარი კორპორატიული აღმასრულებელი ოფიცერი) ბევრ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს, რომელთა შესახებ ინფორმაციის მისაღებად ან "ბლუმბერგის" ტელევიზიის არხს უნდა უყურებდეთ, ან რომელიმე გავლენიანი კორპორატიული კლუბის წევრი უნდა იყოთ. სპინ-დოქტორების მიზანი ის არის, რომ უზრუნველყონ კორპორატიულ ბატონთა რაც შეიძლება კარგი ურთიერთობა მილიონობით ქვეშევრდომთან და მსოფლიოს მილიარდობით ღატაკ ადამიანთან. ისინი, რა თქმა უნდა, ამ ხალხს დიდად ვერაფრით ეხმარებიან, მაგრამ მათ მიერ გამომუშავებული "მესიჯების" საშუალებით ყველანაირი ჩაგვრა, შიმშილი თუ ძალადობა "პოლიტიკურად კორექტულ" ფორმას იღებს. ამიტომაც დასავლური მედიის მთავარი ბასტიონები "ვაშინგტონ პოსტი", "ნიუ იორკ ტაიმსი", "ნიუსუიკი", "ტაიმი" და სხვა გამოცემები ძირითადად ლიბერალურ გამოცემებად ითვლება, ისევე როგორც ინგლისში გამომავალი "ფაინენშლ ტაიმსი".

ლიბერალური მედია მეტად საინტერესო ფენომენია. ის თავისი არსით არ არის მემარჯვენე, უფრო მეტიც, მათი უმრავლესობა პრეზიდენტობის არჩევნებში უმთავრესად დემოკრატიული პარტიის კანდიდატებს უჭერს მხარს. ამ არჩევნებში, მაგალითად, ყველა ამ გამოცემამ ჯონ კერის გამოუცხადა ნდობა. თუმცა, ლიბერალური მედიისა და ამომრჩევლის აზრი რომ ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს, ეს დღეს უკვე ნათლად ჩანს. კონსერვატიულ და რადიკალურ მედიას გაცილებით ნაკლები მომხმარებელი ჰყავს, ვიდრე ლიბერალურს. მაგრამ ლიბერალები დღეს ღიად კითხულობენ, თუ რატომ დაკარგეს კავშირი ჩვეულებრივ ამომრჩეველთან და ვერ მოახერხეს "ტვინის გარეცხვა". ლიბერალურ მედიაში ასეთი დიდი ფანფარით მიღებული ჰომოსექსუალთა ქორწინებები ზედიზედ თერთმეტმა შტატმა უარყო რეფერენდუმებზე და ადამიანების დიდი რაოდენობა აბორტების წინააღმდეგაც გამოდის. ესე იგი, "ტვინის რეცხვის" ტექნოლოგიები ყოველთვის არ ამართლებს. ეს, ალბათ, იმიტომ მოხდა, რომ ადამიანებს სიმართლე უყვართ და როცა ნახევარი მსოფლიო შიმშილისაგან კვდება, მათ ნაკლებად აინტერესებთ, ვინ ვისთან წევს ლოგინში და, მით უმეტეს, თუ ამას ერთი და იგივე სქესის ადამიანები აკეთებენ. სიმართლე და პატიოსნება მაინც მეტად მნიშვნელოვანია საინფორმაციო სივრცეში, მიუხედავად იმისა, რომ "დაბოლების" ბევრი დახვეწილი ტექნოლოგია არსებობს. და ეს ყოველთვის ასე იქნება.

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტში უკვე დიდი ხანია, რაც მედიის ტექონოლოგიის საკითხებზე მუშაობენ. მსოფლიოში ამ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აკადემიური დაწესებულების წიაღიდან მოდის თანამედროვე კომუნიკაციის ინდუსტრიის უკვე ერთ-ერთი ქრესტომათიული ნაშრომი "მორჩილების (შინაარსის) დამზადება" (Manufacturing Con-(s)-(t)-ent), რომლის ავტორებიც ცნობილი ენათმეცნიერები ჩომსკი და ჰერმანი არიან. ამ წიგნში, რომელიც 80-იან წლებშია დაწერილი, თანადროული ლიბერალური მედიის მეტად ღრმა და ფაქტებზე დაყრდნობილი ანალიზია მოცემული. აქ განხილულია ის ტექნოლოგიები, რომელთა გამოყენების საშუალებითაც მედია დიდ დახმარებას უწევდა კორპორატიულ სექტორს. აგრეთვე მოთხრობილია იმაზე, თუ როგორ შეიძლება მედიის ძალის პოზიტიურად გამოყენება, რასაც აგრეთვე ჰქონია ადგილი ისტორიის მანძილზე.

მაგალითად, მედიის ტექნოლოგიების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ილეთია ყურადღების გადატანა არსებითი თემიდან შედარებით პერიფერიულ საკითხზე. მაშინ, როდესაც მექსიკისა და ბრაზილიის მოსახლეობის დიდი ნაწილი უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს, ამ ქვეყნებში საშუალო კლასის დიდ ნაწილს სთავაზობენ სენტიმენტალურ "საპნის ოპერებს", ანუ, როგორც მათ ჩვენთან უწოდებენ, სერიალებს. სექსუალური და ინტიმური თემის (და ეს უდავოდ ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინსტინქტია) წამოწევით ხდება სიღარიბისა და სიღატაკის თემიდან გადახვევა, დევიაცია. საზოგადოების ყურადღების კონცენტრაცია იკარგება და სოციალური საკითხები მხოლოდ აქტივისტთა პრეროგატივად რჩება. მეორე ტაქტიკა ითვალისწინებს საპროტესტო მოძრაობის დისკრედიტაციას, ანუ სოციალური პროგრესის მსურველთა შორის უნდობლობის დათესვას ამ მოძრაობის ლიდერთა დისკრედიტაციის გზით. ამ შემთხვევაში ლიბერალური მედია, პირდაპირი ბრალდებების ნაცვლად, რომელიც კონსერვატიულს უფრო ახასიათებს, ირიბ ბრალდებებს წამოატივტივებს და წყაროებად მოჰყავს ერთი შეხედვით დამოუკიდებელი პიროვნებები. მესამე ტექნიკა არის წინადადებების კონტექსტიდან ამოღება და განმათავისუფლებელი მოძრაობების ლიდერებისათვის იმ სიტყვების მიწერა, რომელიც მთლიან კონტექსტში მათ არ უგულისხმიათ. ამ ტექნოლოგიებს სპინ-დოქტორები" ხვეწავენ. ჩომსკის და ჰერმანს მაგალითად მოჰყავთ ელ სალვადორის არქიეპისკოპოს რომეროს კონტექსტიდან ამოღებული ნათქვამი, სადაც ის ერთ კონტექსტში განიხილავს "სიკვდილის ბრიგადებს" და აჯანყებულ ხალხს. ხშირ შემთხვევაში მედიის მანიპულაციებს საკუთარი დამკვეთი ჰყავთ: მაგალითად ის კომპანიები, რომლებიც გაზეთში თუ ტელევიზიაში საკუთარ რეკლამას ანთავსებენ. სხვათა შორის, ამ მანიპულირებებს თავის დროზე საკმაოდ იყენებდა საბჭოთა უშიშროების სამსახურიც, როდესაც ის დისიდენტებს ებრძოდა.

სპინ-დოქტორების საქმიანობა შეიძლება კონსტრუქციულიც იყოს. ვარდების რევოლუციის დროს ქართული მედიის მუშაობა, მასაჩუსეტსის ტექნოლოგთა აზრით, საკმაოდ მაღალი ნიშნით შეიძლება შეფასდეს. ბევრი სოციალური ინიციატივის წინა პლანზე დაყენების მხრივ ქართული მედია აშკარად ავლენდა საკუთარ ძლიერ მხარეებს. თუმცა, მასაჩუსეტსელ ტექნოლოგთა აზრით, შეიძლება კიდევ უფრო დიდი პროგრესის მიღწევა, პირველ რიგში ეკონომიკურ საკითხებზე მსჯელობისას. მედიას შეუძლია, უფრო მეტი დრო დაუთმოს კონკრეტული პრობლემის მოგვარების შესაძლო გზების იდენტიფიკაციას. პოზიციისა თუ ოპოზიციის გამოსვლების შემდეგ შესაძლებელია გამოსავლის გზების მოძიება.

ამისათვის მათ მეტად კონკრეტული მაგალითი მოიყვანეს:

ქართულმა მედიამ გააშუქა ენერგეტიკის მინისტრ ნიკა გილაურის მოხსენება საპარლამენტო მოსმენაზე. იქ ლაპარაკი იყო იმ ენერგეტიკულ კრიზისზე, რომელიც ამჟამად ქვეყანაშია შექმნილი. გაისმა მეტად მწვავე, სამართლიანი კრიტიკა და ამის პასუხი. საზოგადოდ, უდავოა, რომ არსებობს პრობლემა. მაგრამ ამ პრობლემის მოგვარება, ტექნოლოგთა აზრით, შესაძლებელია, თუკი საქართველოში ამოქმედდება მცირე ჰესები, რომლებიც ეკოლოგიურადაც უფრო უსაფრთხოა და უფრო პროდუქტიულიც. 1-დან 5 მეგავატამდე ელექტროენერგიის გამომმუშავებელი სადგურების მშენებლობა შეიძლება მალევე დაიწყოს, რომ მომავალ წელიწადს მაინც ეს პრობლემები გაჩერდეს. დაახლოებით 300 მილიონი დოლარის მობილიზაციით მთავრობას შეუძლია, კერძო სექტორის დახმარებით ეს პრობლემა გადაჭრას. მაგრამ, ამისათვის საჭიროა იმ ენერგოლობის გარღვევა, რომელიც აფერხებს ამ ელექტროსადგურების მშენებლობას, თორემ სახსრების მოპოვება ამ პროექტისათვის ახლა სულაც არ არის შეუძლებელი. ეს ნაწილობრივ შეიძლება ბიუჯეტმაც დაფაროს და ნაწილობრივ კერძო მეწარმეთა ინიციატივამაც. როდესაც ოპოზიცია ამ საკითხს სვამს, მას, რა თქმა უნდა, სრული უფლება აქვს, რადგანაც სწორედ ეს არის მისი ფუნქცია. ხოლო ისტაბლიშმენტმა ამ დროს შესაძლოა, მონახოს ეფექტური და კონსტრუქციული გამოსავალი ამ სიტუაციიდან.

ეს არის ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტის მედიამოდელის მიხედვით მოგვაწოდეს. ეს არის კონკრეტული მაგალითი საქართველოს რეალობიდან. რაც შეეხება ამერიკის რეალობას, აქ ბევრი ასეთი მაგალითია. თუმცა, რამდენად სრულდება ყველა, ამაზე ლაპარაკი მიჭირს. ფაქტი ის არის, რომ ლიბერალ სპინ-დოქტორებს ახალი სამუშაო ბევრი დაუგროვდათ. იმედია, მსოფლიოს დახსნა სიღატაკისაგან უფრო მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს ამერიკული მედიის რეპორტაჟებში, ვიდრე სექსუალური საკითხები. ჯობია, ეს საკითხები ფსიქოლოგებმა და სექსოლოგებმა განიხილონ. ეს ადამიანების უმრავლესობისათვის ნამდვილად საკმარისია.

# აჭარაში მიწის რეფორმა გაგრძელდება

*აჭარის ხელისუფლება რეგიონში განხორციელებული წარუმატებელი მიწის რეფორმის გაგრძელებასა და აჭარის მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწების სამართლიანად განაწილებას ითხოვს. ამ მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" კანონში დამატებების პროექტი მოამზადა.*

სოფიკო ოხანაშვილი

გუშინ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტში "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების და დამატებების კანონპროექტი განიხილეს, რომლის მიზანიც საქართველოში 1992-1998 წლებში ჩატარებული მიწის რეფორმის პერიოდში დაშვებული ხარვეზების აღმოფხვრა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სამართლიანი განაწილებაა. ამ კანონპროექტის საფუძველზე აჭარაში მცხოვრებ ოჯახებს, რომლებმაც მიწის რეფორმის პერიოდში კერძო საკუთრებაში ვერ მიიღეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, შესაძლებლობა ექნებათ, 2008 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ საკუთრებაში მიწის ნაკვეთები. აჭარის უზენაესი საბჭოს აგრარული და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის ზურაბ მიქელაძის განცხადებით, აჭარის რეგიონში, კერძოდ, ქობულეთსა და ხელვაჩაურში მცხოვრებ მოსახლეობას საკუთრებაში არ მიუღიათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რის გამოც დაირღვა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპი, ამიტომ აჭარის ხელისუფლება აუცილებლად მიიჩნევს რეგიონში მიწის რეფორმის სამუშაო პროცესის გაგრძელებას. მიქელაძის განმარტებით, აჭარის მცხოვრებლებს საშუალება უნდა მიეცეთ, დადგენილი ზღვრული ნორმების ფარგლებში უსასყიდლოდ მიიღონ მათი კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. (ცნობისთვის, აჭარის მიწის მთლიანი ფართობი 290 ათასს ჰა-ს შეადგენს. აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მხოლოდ 25,1 პროცენტი (72 ათას 862 ჰა) მოდის. აჭარა საქართველოს ერთ-ერთი მცირემიწიანი რეგიონია. აქ საშუალოდ ერთ კომლზე მხოლოდ 0,71 ჰა სასოფლო-სამურნეო სავარგული მოდის და იგი, რაიონების მიხედვით, 0,4-დან 0,8 ჰა-მდე მერყეობს).

საქართველოში მიწის რეფორმა 1992-98 წლებში ჩატარდა. მაშინ საქართველოში მცხოვრებ თითოეულ კომლს მიწის სავარგული უსასყიდლოდ გადაეცა. პარლამენტის 1996 წლის 22 მარტის დადგენილებით, აჭარლებს მიწის ნაკვეთები ეკუთვნოდათ, მაგრამ დადგენილი წესითა და ოდენობით არ გადაეცათ. ამის მიზეზად კი, უზენაესი საბჭოს აგრარული და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ასლან აბაშიძის რეჟიმს და მისი გარემოცვის ინტერესებს ასახელებს. **"ყველაფერი იმისთვის და ისე კეთდებოდა, რომ რაც შეიძლება დიდი ნაკვეთები ჩაეგდოთ ხელში,"** - "24 საათთან" საუბარში განაცხადა მიქელაძემ.

აჭარის მოსახლეობისთვის მიწების გადაცემის საკითხს მხარი დაუჭირა და აჭარის ხელისუფლებას დახმარებაც აღუთქვა „მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის“ პრეზიდენტმა ჯაბა ებანოიძემ. ერთადერთი შენიშვნა, რაც გუშინდელ სხდომაზე გამოითქვა, სავარგული მიწების საკუთრებაში გადაცემის ვადას ეხებოდა. აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი ხევიაშვილის თქმით, მიწების გადაცემის ვადა უნდა შემცირდეს. მისი მტკიცებით, რადგან პრივატიზების მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარებულია, ამ საკითხის მოგვარება ერთ წელიწადშიც, მაქსიმუმ, ორ წელშია შესაძლებელი.

გუშინდელ სხდომაზე აგრარული კომიტეტის წევრი ზურაბ ცქიტიშვილი არასასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების პროცესის გადახედვის ინიციატივითაც გამოვიდა. მიქელაძის განმარტებით, არასასოფლო დანიშნულების ე.წ. სამრეწველო მიწების პრივატიზების პროცესიც დამახინჯებული ფორმით განხორციელდა. საქმე ისაა, რომ, მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული პრივატიზების დასრულებისას აღმოჩნდა, რომ ფაბრიკა-ნაგებობების ქვეშ არსებული მიწა შენობის მფლობელს არ ეკუთვნოდა ანუ გამოდიოდა, რომ ფაბრიკა შენი იყო, მიწა კი - არა. ამ ლაფსუსის გასასწორებლად, 1998 წლის ოქტომბერში ძალაში შევიდა კანონი, რომლის თანახმად, მთელი ქვეყნის მასშტაბით ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა საწარმოო ობიექტების მფლობელებს მათი კუთვნილი ნაგებობების ქვეშ არსებული მიწის შესყიდვის საშუალება მიეცათ. ამ კანონის მიხედვით, ის, ვინც თანხის გადახდას 1998 წლის ბოლომდე მოასწრებდა, მიწას ერთჯერადი გადასახადით გამოისყიდდა, ხოლო ვინც წლის ბოლომდე ვერ მოასწრებდა, მას მიწის გამოსყიდვა გაორმაგებული ფასით მოუწევდა.

გუშინდელ სხდომაზე დაისვა საკითხი, რომ აჭარელ მეწარმეებსაც მიწის გამოსყიდვის საშეღავათო პერიოდი დაუწესდეთ. ზურაბ მიქელაძის განმარტებით კი, მოსახლეობას ეს მიწა უკვე ნაყიდი აქვს, უბრალოდ, ეს თანხა არამიზნობრივად, რამდენიმე ადამიანის ჯიბეში წავიდა. **"თუ მთავრობა ამ მიწას, რომელშიც მეწარმეს ფული უკვე გადახდილი აქვს, ისევ სახელმწიფოდ გამოაცხადებს და მის ხელახლა გაყიდვას დააპირებს, მთავრობის ასეთი ნაბიჯი მოსახლეობის უკმაყოფილებას გამოიწვევს,"** - "24 საათთან" საუბარში განაცხადა ზურაბ მიქელაძემ. აგრარულ საკითხთა კომიტეტმა, შესაძლოა, სასოფლო და არასასოფლო მიწების პრივატიზების საკითხი ერთ პაკეტშიც განიხილოს. ამ საკითხებთან დაკავშირებით, აგრარულ კომიტეტთან დეპუტატ ვალერი გელბახიანის თავმჯდომარეობით შეიქმნება სამუშაო ჯგუფი. კანონპროექტის საბოლოო ვარიანტს პარლამენტი პლენარულ სხდომაზე მომავალ კვირას განიხილავს.

# საავტომობილო გზების დეპარტამენტი პრეზიდენტს ანგარიშს აბარებს

*23 ნოემბრის მოახლოებასთან ერთად ფინიშს უახლოვდება სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მათ მიერ განხორციელებული სამუშაოების საზოგადოებისთვის წარდგენის ვადა. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა საქართველოს მთავრობას წლის საქმიანობის შესახებ ანგარიშს ოფიციალურად წარუდგენს, საზოგადოებას კი თავისი საქმიანობის შედეგებს უკვე ტრადიციადქცეული გასვლითი აქციის - "საქართველოს გზები - 2004" საშუალებით აცნობს.*

დიანა ჩაჩუა

საავტომობილო გზების დეპარტამენტი ორი დღის განმავლობაში გასვლით აქციას "საქართველოს გზები – 2004" სადახლოს და ლენტეხის რაიონის მიმართულებით მოაწყობს. მანამდე კი, გუშინ დეპარტამენტის თავმჯდომარემ მასმედიისა და არასამთავრობო სექტორის წინაშე თავი სამხედრო გზის მლეთა-გუდაურის მონაკვეთით მოიწონა. გზის ამ მონაკვეთზე მსოფლიო ბანკის კრედიტით მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია. საბოლოო ჯამში 15,3 კმ-ია რეაბილიტირებული. როგორც დეპარტამენტის თავმჯდომარემ რომან დალაქიშვილმა "24 საათთან" საუბარში განაცხადა, მსოფლიო ბანკის ექსპერტების დასკვნით, აღნიშნული მონაკვეთის დღევანდელი მდგომარეობა მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამება.

გუშინდელი აქციის ფარგლებში მონაწილეებმა მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში სონდის ხევზე მიმდინარე ხიდის მშენებლობა დაათვალიერეს, რომელიც წლის ბოლომდე დასრულდება. ასევე, რეაბილიტაციას გადის სამხედრო გზის 110 კმ-ში და 118 კმ-ში მდებარე ორი ხიდი.

ზაფხულში სხვა რეგიონებთან ერთად სტიქია სოფელ მლეთასაც დაატყდა თავს, რის შედეგადაც გზა 83-ე კმ-ზე ჩაწყდა.

**"ამ ადგილზე აშენებული დროებითი ხიდის დასასრულებლად მშენებლები საჭირო კონსტრუქციებს უახლოეს პერიოდში მიიღებენ,"** – განუცხადა დალაქიშვილმა აქციის მონაწილე ჟურნალისტებს.

ასევე ბუნებრივი მოვლენების ზემოქმედების შედეგად, გზის 81-86 კმ-ში მდებარე კლდე ჩამოიშალა, რამაც ავტოტრანსპორტის მოძრაობას საფრთხე შეუქმნა. ამ მომენტისათვის, აუცილებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებით საქართველოს სამხედრო გზაზე სპეციალური ტექნიკით, პერსონალით და მარილით სადღელამისო მორიგეობაა შემოღებული.

**"ჩვენ ყველა ღონისძიებას მივმართავთ იმისათვის, რომ საქართველოს სამხედრო გზაზე ზამთრის პერიოდში გზა არ ჩაიკეტოს და ტრანსპორტის მიმოსვლა არ შეფერხდეს,"** – განაცხადა დეპარტამენტის თავმჯდომარემ.

დღეს კი აქციის ფარგლებში საავტომობილო გზების დეპარტამენტი მასმედიისა და არასამთავრობოების თანხლებით თბილისი-მარნეული-სადახლოს მიმართულებით გაემართება, სადაც შულავერი-სადახლოს მონაკვეთზე 20,5 კმ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. **"თბილისი-მარნეული-სადახლოს საავტომობილო გზას, რომელიც ორ ქვეყანას აკავშირებს, სატრანზიტო გადაზიდვებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამიტომ მოექცა ეს მონაკვეთი მსოფლიო ბანკის და კუვეიტის ფონდის ექსპერტების ყურადღების ცენტრში. 31 კმ-იან საავტომობილო გზაზე სამუშაოები ორივე კრედიტის ფარგლებში განხორციელდა,"** – განაცხადა დალაქიშვილმა.

ხვალ კი აქცია "საავტომობილო გზები – 2004" ლენტეხის რაიონის მიმართულებით გაგრძელდება, სადაც სტიქიებისაგან დანგრეული გზებისა და ხიდების სალიკვიდაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. უკვე აღდგენილია ექვსი ხიდი, რომლის გახსნაც ხვალვე იგეგმება.

# პრემიერ-მინისტრი ფინანსთა სამინისტროს "გადაეფარა"

*ფინანსთა სამინისტროს საქმიანობით სამართალდამცავთა დაინტერესებას პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ეს ხელოვნურად შექმნილი აჟიოტაჟია. მან ზურაბ ნოღაიდელს "გამორჩეული მოღვაწე" უწოდა.*





ორი დღის წინ "24 საათი" უკვე წერდა, რომ ფინანსთა სამინისტრო საგამოძიებო ორგანოების ყურადღების ცენტრში მოექცა. ზურაბ ნოღაიდელის უწყებას ეს პატივი სახაზინო ვალდებულებების გამოშვების გამო ერგო. ამ ინფორმაციის თანახმად, სამართალდამცველთა ეჭვების საფუძვლად ის იქცა, რომ ფინანსთა სამინისტრო სახაზინო ვალდებულებებს იმ დროს უშვებდა, როდესაც ბიუჯეტში საკმარისი შემოსავლები იყო და სახელმწიფოს ფულის სესხება არაფერში სჭირდებოდა.

შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილი სამინისტროში შევიდა და დოკუმენტაცია ამოიღო. 18 ნოემბერს კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერთ კვირაში სამინისტროში მიმდინარე პროცესებით გენერალური პროკურატურაც დაინტერესდებოდა.

ეს ინფორმაცია გავრცელდა მას შემდეგ, რაც სახელმწიფო კანცელარიაში, ოთხშაბათს საღამოს, ანუ ამ საგულდაგულოდ "გასაიდუმლოებული" საკითხის "24 საათის" მიერ გახმოვანებიდან მეორე დღეს ძალოვანები საგანგებოდ შეიყარნენ და, არაოფიციალური ინფორმაციით, სწორედ შსს-ს ფინანსთა სამინისტროთი დაინტერესების საკითხი განიხილეს.

ოთხშაბათსვე ფინანსთა მინისტრმა ნოღაიდელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ფინანსური პოლიტიკის წარმოება ქვეყანაში მისი საქმეა და ამაში არავის ჩარევას არ აპირებს.

გუშინ ამ საკითხს უკვე პრემიერ-მინისტრი გამოეხმაურა: **"მაქვს ინფორმაცია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილი ფინანსთა სამინისტროში კონკრეტულ დოკუმენტაციას იკვლევდა და მიმაჩნია, რომ ისინი თავის საქმეს აკეთებდნენ. სამართალდამცავები ფინანსთა სამინისტროსა და ბანკების ურთიერთობით დაინტერესდნენ და, საკითხის შესწავლის შემდეგ, შესაბამის დასკვნებს გააკეთებენ,"** – განუცხადა ჟურნალისტებს გუშინ ზურაბ ჟვანიამ.

თუმცა, აქვე პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელის დამსახურებებზეც ალაპარაკდა. მისი შეფასებით, ქვეყანაში ფინანსური წესრიგის დამყარებაში ფინანსთა სამინისტროს უდიდესი როლი მიუძღვის და ეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სამინისტროა მთავრობაში. **"ყველაფერი, რაც დღეს კეთდება საქართველოში – დავალიანებების, პენსიებისა და ხელფასების გაცემა და უკლებლივ ყველა სოციალური პროგრამის განხორციელება, პირველ რიგში, არის იმ ადამიანთა დამსახურება, ვინც დაამყარა სრული წესრიგი ქვეყნის ფინანსურ პოლიტიკაში. შესაბამისად, ეს არის ფინანსთა სამინისტრო და მისი უწყებები, პირადად ფინანსთა მინისტრი კი ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწეა,"** – მიიჩნევს ჟვანია.

*24 საათი*

# "ბი-პი"-ს მძიმე დღე

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ოპერატორი კომპანია მშენებლობის შეფერხების შესაძლებლობას უარყოფს

მაია ურუშაძე

*გუშინ "ბი-პი"-ს დღე იყო. ჯერ იყო და, კომპანიამ ახალი საგრანტო პროგრამის დაწყება გამოაცხადა, მერე, "ბი-პი"-ს ახალციხის რაიონის მოსახლეობა გაეფიცა, დღის ბოლოს კი კომპანიას "თანამემამულე" გაზეთის The Sunday Times-ის ვარაუდების გაბათილება მოუწია.*

გუშინდელი დილა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ოპერატორმა კომპანია "ბი-პი"-მ მშვიდობიანად დაიწყო და ახალი საგრანტო პროგრამის დაწყება გამოაცხადა. კერძოდ, "ბი-პი"-მ თავის ძმობილ-შვილობილ "ბი-თი-სი კო"-სა (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია) და "ეს-ჯი-პი კო"-სთან (სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია) ერთად, ახალი ორწლინახევრიანი, 35-მილიონდოლარიანი გარემოსდაცვითი ინიციატივა დააფინანსა, საიდანაც საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებმა 10 მილიონი უნდა მიიღონ.

თუმცა, მოგვიანებით მოიღრუბლა: "ბი-პი"-ს ახალციხის რაიონის მოსახლეობა გაეფიცა და მიწის იმ ნაკვეთების სანაცვლოდ, რომელზეც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მონაკვეთი გადის, ფულადი კომპენსაციის დაუყოვნებლივ გაცემა მოსთხოვა. აქციის მონაწილეთა განცხადებით, კომპენსაციები მათ ოქტომბერში უნდა მიეღოთ, თუმცა იმ მოტივით, რომ სამშენებლო სამუშაოები ამ რეგიონში ჯერ არ დასრულებულა, ფულის გაცემაზე უარს ეუბნებიან. "ბი-პი"-მ აქციის მონაწილეებს განუმარტა, რომ სამუშაოები უამინდობის გამო შეფერხდა, ხოლო წლის ბოლომდე კი სამუშაოებიც და კომპენსაციების გაცემაც დასრულდება. ამ დაპირებით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ოპერატორმა გაფიცულები ორიოდე კვირით დააშოშმინა – კუთვნილი თანხის ნოემბრის ბოლომდე მიუღებლობის შემთხვევაში, ისინი მშენებლობის ბლოკირებით იმუქრებიან.

დღის ბოლოს კი კომპანიას საკმაოდ მძიმე დარტყმის მოგერიება მოუხდა, როცა "თანამემამულე" გაზეთის, The Sunday Times-ის ვარაუდების გაბათილება მოუწია. ინგლისურმა გაზეთმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის შეჩერება იწინასწარმეტყველა. შედეგად, ამ ვარაუდის გასაბათილებლად, "ბი-პი"-მ (British Petroleum) გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრა სასწრაფო რეჟიმში გადაწყვიტა.

გაზეთის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დიდი ბრიტანეთის პარლამენტი საქართველოში, აზერბაიჯანსა და თურქეთში კომპანია "ბრიტიშ ბი-პი"-ს საქმიანობის გამოძიებას იწყებს. გაზეთის ცნობით, დიდი ბრიტანეთის საზოგადოება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ნავთობსადენის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით გაკეთებულმა განცხადებებმა "დააბნია". კერძოდ, გაზეთი ვარაუდობს, რომ საზოგადოების ინტერესი მილსადენის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის გამოყოფილმა სოლიდურმა თანხამ – 60 მილიონმა ფუნტმა სტერლინგმა აღძრა.

The Sunday Times წერს, რომ გამოძიების დაწყება, სულ მცირე, ნავთობსადენის მშენებლობის შეჩერებას გამოიწვევს: **"საპარლამენტო გამოძიების დასრულების შემდეგ, "ბი-პი"-ს, შესაძლოა, დიდი ფინანსური ჯარიმა დაეკისროს. ანგარიშის ჩაბარება კი მას კონტრაქტორ საფინანსო ორგანიზაციების - მსოფლიო ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისთვისაც მოუწევს."**

"ბი-პი"-ს საქართველოს წარმომადგენლობა გაზეთის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს და აცხადებს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობა არ შეჩერდება. **"ამისთვის საფუძველი არ არსებობს,"** – განმარტავენ კომპანიაში.

კომპანიის საქართველოს წარმომადგენლობის მტკიცებით, მილსადენის მშენებლობაში არსებობდა ხარვეზი, რომელიც მილების ერთმანეთთან შეერთებას უკავშირდებოდა, მაგრამ ეს ხარვეზი უკვე აღმოფხვრილია. "ბი-თი-სი კო"-ში კი აცხადებენ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა გრაფიკის ფარგლებში მიმდინარეობს და შეფერხებები არ არსებობს. კომპანიის ცნობით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობაზე სამუშაოთა 95 პროცენტი უკვე დასრულებულია და მისი ექსპლუატაციაში შესვლა 2005 წლის მაისისთვის იგეგმება.

შეგახსენებთ, რომ "ბი-პი"-ს ბაქო-თბილის-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით პრობლემები პირველად მას შემდეგ შეექმნა, რაც საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ მას, "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" მოთხოვნით, ბორჯომის მონაკვეთის ეკოლოგიური უსაფრთხოების ზომების გამკაცრება მოსთხოვა. მაშინ კომპანიამ ამ ზონის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამატებითი ღონისძიებების გატარება გადაწყვიტა, რათა საქართველოს ხელისუფლებისგან გარემოსდაცვითი ნებართვა მიეღო.

წელს გაზაფხულზე კომპანიას პრობლემები საქართველოს პროფკავშირებთანაც ჰქონდა, როცა მილსადენის მუშათა პროფკავშირმა კომპანია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციათა მოთხოვნების უგულებელყოფაში დაადანაშაულა.

წელს ზაფხულში კი საქართველოს ხელისუფლებამ "ბი-პი"-ის ნავთობსადენის ბორჯომის მონაკვეთზე მშენებლობა შეუჩერა და უსაფრთხოების დამატებითი ზომების დაწვრილებითი გეგმა მოითხოვა, რომლის წარდგენის შემდეგაც მშენებლობა განახლდა.

გუშინვე, The Sunday Times-ში გამოქვეყნებულ ინფორმაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანიაც გამოეხმაურა. მისი თქმით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობას საფრთხე არ ემუქრება. **"მე გასულ კვირას შეხვედრა მქონდა "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობასთან, რომელმაც აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით არაერთი საინტერესო გეგმა წარმოადგინა. მე დღეს ვერ ვხედავ ვერანაირ საფუძველსა და საფრთხეს იმისათვის, რომ ეს პროექტი შეჩერდეს. თუ მილებთან დაკავშირებით რაიმე პრობლემა, ან რაიმე ეჭვის საფუძველი არსებობს, ეს აუცილებლად უნდა შემოწმდეს,"** – განაცხადა მან.

**"შარშან ზამთარში მილების ერთმანეთთან შეერთების არეებში ჩატარებული შედუღაბების სამუშაოებში ხარვეზები აღმოჩნდა. ეს ტესტირების დროს გამოიკვეთა, ამიტომ მისი გამოსწორება მშენებლობის პროცესშივე გახდა შესაძლებელი. ამჟამად ასეთი პრობლემები მილსადენის მშენებლობას აღარ აქვს,"** – ასეთ ინფორმაციას ფლობენ კომპანიის საქართველოს წარმომადგენლობაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის **პროექტის სახელწოდებისა** და **ლოგოს** შესაქმნელად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროექტი ითვალისწინებს:
- სკოლების აღჭურვას კომპიუტერებით;
- მასწავლებლების მომზადებას, რაც მათ სწავლის პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას მისცემს;
- ქართულენოვანი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას;
- საქართველოს ყველა სკოლის ჩართვას ერთიანი ინტერნეტის ქსელში;
- სასწავლო კურიკულუმების შეცვლას
- კომპიუტერიზაციის პროცესი რამდენიმე წლის განმავლობაში მოიცავს

საქართველოს უკლებლივ ყველა სკოლას.

**პროექტი ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ესტონური წარმატებული პროექტის "ვეფხვის ნახტომის" მოდელით.**

**საკონკურსო პირობები:**
- ლოგო და პროექტის სახელწოდება სიმბოლურად უნდა ასახავდეს აღნიშნული პროექტის ძირითად არსს და საბოლოო მიზნებს:
- ლოგოს სტილი, ფორმა და ფერთა შეხამება ეფექტური და ვიზუალურად საინტერესო უნდა იყოს;
- ლოგო შესრულებული უნდა იყოს მაღალ პროფესიონალურ დონეზე და მნიშვნელოვნად აუმჯობესებდეს პროექტის იმიჯს.

**გამარჯვებულთათვის დაწესებულია ფულადი პრემიები:**
**ლოგო** - 250 ლარის ოდენობით
**პროექტის სახელწოდება** - 250 ლარის ოდენობით

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ესკიზები უნდა წარადგინონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში, ოთახი N209**
**2004 წლის 30 ნოემბრამდე.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
თბილისი, უზნაძის 52, ტელ: 96 98 31

*შენიშვნა: ხუთშაბათის, 18 ნოემბრის N274 (823) ნომერში ლოგო შეცდომით იყო მითითებული.*

## ორი სიტყვით

**წყალტუბო.** წყალტუბოში მცხოვრებმა აფხაზეთიდან დევნილებმა, დენისა და სასმელი წყლის მიწოდების მოთხოვნით, წყალტუბოს პოლიციის შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართეს. დევნილები, ასევე, მოითხოვენ სასტუმრო "აიაში" მცხოვრები იმ ორი დევნილი ქალბატონის გათავისუფლებას, რომლებიც სამართალდამცავებმა 17 ნოემბერს, "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" წყალტუბოს სერვისცენტრის დარბევის ბრალდებით დააკავეს. აქციის მონაწილეთა განცხადებით, დენი და წყალი მათ თვეების განმავლობაში არ მიეწოდებათ, ქალაქში არ ცხვება პური. სადიტრიბუციო ენერგოკომპანიის ინფორმაციით, ენერგოკრიზისი მთელ იმერეთის რეგიონშია და ის ენერგოსისტემაში შექმნილი პრობლემებითაა გამოწვეული. კომპანიის ამერიკელი მმართველი დინ უაითი აცხადებს, რომ მომავალი კვირიდან იმერეთში ელექტროენერგიის გრაფიკით მიწოდება აღდგება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან გიორგი გოდაბრელიძესთან შეხვედრას მართავს. შეხვედრის სურვილი თავად ელჩმა გამოთქვა. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი ამერიკის საბაჟო სამსახურის პროგრამით წლების განმავლობაში მუშაობს. ჩანს, ამერიკის ელჩს სურს სამომავლო გეგმებსა და მიღწევებზე ისაუბროს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გარდაბანი.** გუშინ გარდაბნის მოსახლეობამ 24-საათიანი ელექტრომომარაგებას მოთხოვნით ცენტრალური გზა გადაკეტა. თუ ვითარება უახლოეს დღეებში არ გამოსწორდება, აქციის მონაწილეები მასობრივი აქციებით იმუქრებიან, რადგან დენი დღე-ღამეში მხოლოდ ხუთი საათით მიეწოდებათ. აქციის მონაწილეებს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ქვემო ქართლის ფილიალის მენეჯერი რევაზ ღლიღვაშვილი შეხვდა, თუმცა, საერთო მდგომარეობის გამოსწორებამდე, ვერაფერს დაჰპირდა. "თუ ბაზარი ლიმიტით გათვალისწინებულ ენერგიას არ მოგვაწვდის, კომპანიას არაფერი შეუძლია," – აცხადებს ღლიღვაშვილი. აქციის მონაწილეები კი ამბობენ, რომ არ შეიძლება, მათ დენი არ ჰქონდეთ, როცა "თბილსრესი" მათგან, სულ რაღაც, 300 მეტრშია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყაზბეგის რაიონის მოსახლეობამ გუშინ აქცია გამართა. მოსახლეობა აცივებასთან დაკავშირებით ყაზბეგისთვის მიწოდებული ბუნებრივი აირის წნევის მომატებას მოითხოვს. საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციაში აცხადებენ, რომ ბუნებრივი აირის წნევის მომატება დაგეგმილი არ არის, რადგან აირის ის მოცულობა, რომელიც ამჟამად ყაზბეგს მიეწოდება, სავსებით საკმარისია. "ამჟამად ყაზბეგის რაიონში 2000 ოჯახი ცხოვრობს. თუმცა, ყაზბეგში მდებარეობს 500 სათბური, რომლებსაც ბუნებრივი აირით ათბობენ. აირის ძირითადი ნაწილი სათბურების გათბობაზე იხარჯება, ამიტომ მოსახლეობას საკუთარი მოხმარებისთვის წნევა არ ჰყოფნის," – აცხადებენ კორპორაციაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "პროკრედიტ ბანკის" საბურთალოს ფილიალში სადეპოზიტო ანგარიშის გახსნის მსურველთათვის ერთთვიანი აქცია დაიწყო. 15 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე ბანკის საბურთალოს ფილიალში სადეპოზიტო ანგარიშის გახსნის შემთხვევაში მომხმარებელი წლიური 9,5-პროცენტიანი დანამატის ნაცვლად, 10 პროცენტით გაზრდილ თანხას მიიღებს. ამჟამად ბანკის წლიური საპროცენტო სარგებელი 9,5 პროცენტია, დანამატი კი 0,5 პროცენტს შეადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მენეჯერმა აბდალა რაჰმანმა მაღალმთიანი სოფლები მოინახულა და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის საქმიანობა წარმატებულად შეაფასა. IFAD-ის პროგრამის განმახორციელებელი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია MADI-ის სპეციალისტებმა და მისიის წევრებმა ასპინძის ფერმერის სახლის საწყობი, იმპორტირებული მაკრო და მიკრო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, პროგრამის ფარგლებში შექმნილი სოფელ ოშორაში საფუტკრე მეურნეობა დაათვალიერეს. IFAD-ის ხელმძღვანელმა აბდალა რაჰმანმა პროგრამის საქმიანობა წარმატებულად შეაფასა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში ჩატარებული ტენდერის შედეგები რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი. სატენდერო კომისიამ რამდენიმე წინადადება მიიღო. კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროს განვითარებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 300 ათასი ლარი უკვე გამოიყო. სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ ტენდერში გამარჯვებულებს საშუალება ექნებათ, თანადაფინანსების პირობებში შეისყიდონ და დაამონტაჟონ ტექნიკური მოწყობილობები. საბოლოოდ კი, ამ დახმარების მიზნობრიობა პრაქტიკულ მნიშვნელობას შეიძენს - შეიქმნება წარმოება, ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავების შესაძლებლობა, სამუშაო ადგილები და ინფრასტრუქტურა. **პრაიმ-ნიუსი**

# ორი ევროპელი ლიდერის ფარული დაპირისპირება

## ანტანტის ხელშეკრულების ასწლიანი ისტორიის ფონზე

ხათუნა გაბიევი

ერაყული კამპანიის შემდეგ ევროპის ორ წამყვან ქვეყანას – საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს - შორის ურთიერთობები ჰარმონიულობით მაინც და მაინც არ გამოირჩეოდა. საუკუნის უდიდესი გამოწვევის - ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თუ დიდმა ბრიტანეთმა აშშ-ს კოალიციაში ყოფნა ამჯობინა, დემოკრატიის სამშობლო საფრანგეთი ტერორიზმის ხელშემწყობ ქვეყანაში სამხედრო ჩარევის წინააღმდეგი აღმოჩნდა. ამ მიზეზით გართულებული ურთიერთობების ფონზე, საფრანგეთ-ბრიტანეთის ყოველწლიურ სამიტზე საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ლონდონს 18 ნოემბერს ეწვია. ფრანგული მხარის ვიზიტის ოფიციალურ მიზეზად ისტორიული ანტანტის ხელშეკრულების ხელმოწერის მე-100 წლისთავიც დასახელდა. ჟაკ შირაკს თან ახლავს 6 მინისტრი, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრი მიშელ ბარნიე და თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი მიშელ ალიო-მარი.



*"სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობამ მსოფლიოში საფრთხის კოეფიციენტი არანაირად არ შეამცირა" ამბობს ჟაკ შირაკი; **"C'est la vie** (ასეთია ცხოვრება)", აღნიშნავს ტონი ბლერი.*

დიდ ბრიტანეთში ჟაკ შირაკის ჩასვლამდე ლონდონის რატუშაში, გილდჰოლში ბრიტანეთის პრემირმინისტრმა ტონი ბლერმა თავის გამოსვლაში კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ევროპის ორი დიდი სახელმწიფოს აზრთა სხვადასხვაობის მიზეზებს. "ერაყის საკითხმა კიდევ უფრო გამოკვეთა ევროპასა და აშშ-ს შორის არსებული დაპირისპირება, თუმცა კარგად წარმოაჩინა ბრიტანეთის როლიც. დღეს, როცა მსოფლიოში ერთადერთი ზესახელმწიფოა დარჩენილი, ჩვენ მისი საიმედო მოკავშირე ვართ. ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალა კი ევროკავშირს გააჩნია, რომლის ერთ-ერთი წამყვანი წევრიც ჩვენი ქვეყანაა, რაც ძლიერ ხელსაყრელ მდგომარეობას ქმნის და ჩვენთვის ძალიან მომგებიანია," - აღნიშნა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა.

თუმცა, შირაკი სულაც არ იზიარებს ბლერის აღტაცებას. ბრიტანელ ჟურნალისტებთან ინტერვიუში ფრანგმა სახელმწიფო ლიდერმა კიდეც აღნიშნა, რომ აშშ-ს არაფრით დაუფასებია ბრიტანეთის თავდადება. ბრიტანეთს შეეძლო საიმედო მოკავშირის პოზიციით ესარგებლა და გარკვეული ზეწოლა მოეხდინა თეთრ სახლზე, რათა მას ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესი დაეჩქარებინა. თუმცა, ეს ასე არ მოხდა. ერაყის ომის შედეგებით ბრიტანეთისა თუ მთელი მსოფლიოს მოგებასთან მიმართებაში შირაკმა ასევე სკეპტიკური დამოკიდებულება გამოამჟღავნა. "სადამ ჰუსეინის წასვლა ხელისუფლების სათავეებიდან გარკვეულწილად პოზიტიურ მომენტებს შეიცავდა, მაგრამ ამან იმავდროულად, უარყოფითი რეაქციაც გამოიწვია, რაც ზოგიერთი ისლამური ქვეყნის მზარდ რადიკალურ განწყობაში გამოიხატა. ამან კი მსოფლიოში საფრთხის კოეფიციენტი არანაირად არ შეამცირა," - განაცხადა შირაკმა ბრიტანულ ტელეკომპანია "ბი ბი სი"-სთან ინტერვიუში.

ტონი ბლერი მოითხოვს, რომ ბრიტანეთმა ევროპასა და აშშ-ს შორის "ხიდის" ფუნქცია მოირგოს, რასაც შირაკი ეწინააღმდეგება. საფრანგეთის პრეზიდენტის აზრით, დღევანდელ ამერიკასთან შუამავლის ფუნქციის "პირნათლად" შესრულება არავის, მათ შორის ბრიტანეთსაც არ ძალუძს. ტონი ბლერის განცხადებით კი, პრეზიდენტ შირაკისაგან განსხვავებით, არც აშშ-სა და არც ბრიტანეთს არა აქვთ იმის ილუზია, რომ შესაძლებელია, არსებობდეს მშვიდობა, რომელიც გავლენის სფეროებისათვის ბრძოლაზე იქნება აგებული. ბლერის თქმით, შირაკთან მოლაპარაკებები არც თუ ისე მარტივი იქნება. "ასეთია ცხოვრება," - ამბობს ბრიტანელი ჩინოვნიკი.

როგორც ლონდონის ეკონომიკური სკოლის საერთაშორისო ურთიერთობათა პროფესორი უილიამ უოლესი მიიჩნევს, საქმე მხოლოდ კონკურენციაშია. "ბლერისა და შირაკის ურთიერთდამოკიდებულების ქვაკუთხედი აშშ-სთან ურთიერთობების გაუმჯობესების მისწრაფებაში ძევს. გარდა ამისა, ბრიტანეთს აქვს ამბიცია აშშ-სა და ევროპელ მოკავშირეებს შორის შუამავლის ფუნქციას ასრულებდეს," - აღნიშნავს ცნობილი ექსპერტი.

ისტორიის მანძილზე საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს გაცილებით მძიმე დღეებიც გადაუტანიათ, ამდენად ამ შემთხვევაში საქმე მხოლოდ ორი ლიდერის პირად მეტოქეობასთან შეიძლება გვქონდეს, - აღნიშნავს ცნობილი ექსპერტი. "შირაკი ევროპის სრული უფლებამოსილებით აღჭურვილ ლიდერად მიიჩნევს თავს. იგი 1960 წლებიდანაა ევროპული პოლიტიკით დაკავებული. ბლერს კი ძირითად კონკურენტად აღიქვამს. მიუხედავად იმისა, რომ ბლერი გაცილებით უკეთ საუბრობს ფრანგულ ენაზე, ვიდრე უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზე მყოფი სხვა პოლიტიკური ფიგურები, ხოლო შირაკი თავის წინამორბედებზე უკეთ ფლობს ინგლისურ ენას, ისინი ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას მაინც ვერ ახერხებენ."

ვიზიტის ფარგლებში ბლერი და შირაკი ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებზეც ისაუბრებენ. ყოველწლიურ სამიტზე ცალკე იქნება განხილული ევროპის კონსტიტუცია, აფრიკისა და კლიმატური ცვლილებების საკითხებიც.

დაბოლოს, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის გარდა, საფრანგეთის პრეზიდენტი დედოფალ ელისაბედ მეორესაც მოინახულებს. ეს უკანასკნელი მიმდინარე წლის აპრილში ჩასული იყო კიდეც საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტით ანტანტის საიუბილეო თარიღზე.

# თანაპარტიელები ჯონ კერის ფინანსურ პრეტენზიებს უყენებენ

დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ ჯონ კერის ფინანსური პრეტენზიები წაუყენა. დემოკრატების განცხადებით, პარტიულმა კანდიდატმა საარჩევნო კამპანიაზე 20 მილიონ დოლარზე მეტი თანხის ეკონომია გააკეთა და ახლა თანხის პარტიის ხაზინაში დაბრუნებაზე უარს ამბობს.



*კერი დემოკრატიული პარტიისათვის სადაო თანხის დაბრუნებას არ აპირებს.*

კერის საარჩევნო ტაქტიკა სულ უფრო მეტ კითხვებს ბადებს დემოკრატიული პარტიის რიგებში. შეგახსენებთ, რომ ჯონ კერის არჩევნების შემდეგ ნაჩქარევი განცხადებებისა და ტაქტიკური შეცდომებისათვის აკრიტიკებდნენ. მრავალი დემოკრატი მიიჩნევდა, რომ სენატორმა საკმაოდ სწრაფად აღიარა დამარცხება და შეეძლო, ოჰაიოს ხმებისთვის ცოტა მეტიც ებრძოლა. პარტიის ზოგიერთ წევრს და ანალიტიკოსებს ჯერ კიდევ სჯერათ, რომ შტატიდან მოწოდებული ყველა ხმის გადათვლის შემდეგ კერის ბუშისათვის გადასწრება შეეძლო. მათი აზრით, სენატორმა იჩქარა, როდესაც თავისი მარცხი აღიარა. ზოგი ექსპერტი მზადაც კი არის, რომ ოჰაიოს ხმების ფალსიფიცირება დაამტკიცოს. ისინი ემყარებიან "ეგზიტპოლების" საწყის მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც, ოჰაიოში (და ე.ი. მთელ ქვეყანაში) კერი ლიდერობდა.

მართლები არიან ისინი თუ არა, დეკემბრის პირველ რიცხვებში გახდება ცნობილი. ამ დროისათვის შტატში 155 ათასი დროებითი ბიულეტენის დამუშავება დასრულდება, რომელთა მონაცემებიც არჩევნების საბოლოო შედეგებს დაემატება. ექსპერტთა უმრავლესობა სენსაციას მაინც არ ელოდება. მათი პროგნოზებით, ბუშის დაახლოებით 130 ათას ხმიანი უპირატესობა მაინც შენარჩუნდება.

ოთხშაბათს დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ კერის ახალი პრეტენზიები წაუყენა. ამჯერად ეს პრეტენზიები ფინანსურ ხასიათს ატარებდა. პარტიის ეროვნულ კომიტეტში დაითვალეს, რომ სენატორმა ბუშთან ბრძოლაზე 15-დან 17 მილიონ დოლარამდე ეკონომია გააკეთა. დაახლოებით ეს თანხა ჯერ კიდევ ინახება მის საარჩევნო ფონდში. გარდა ამისა, ვარაუდობენ, რომ კერის ხელზე 7 მილიონი დოლარი კიდევ აქვს. ამ ფულის გადახდას კანდიდატი ადვოკატთა კომპანიისათვის აპირებდა, მაგრამ ეს არ გაუკეთებია. როგორც ცნობილია, არჩევნების შედეგების გამო სასამართლო გარჩევა საჭირო არ გამხდარა. დემოკრატების პიარ-მენეჯერის, დონა ბრეზილის თქმით, "ჯერ კიდევ უნდა გაირკვეს, რატომ "აჯდებოდა" კერი ამ ფულის ტომარას ნაცვლად იმისა, რომ ეს თანხა ბუშთან ბრძოლაზე დაეხარჯა ან კონგრესში დემოკრატიული პარტიის კანდიდატებისათვის მხარი დაეჭირა". USA Today-ს ცნობით, პარტიული ხელმძღვანელობა კერისაგან ახსნა-განმარტებას მოითხოვს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკული კანონების მიხედვით, კერის შეუძლია, შემოწირულობების სახით მიღებული თანხები პარტიას არ გადასცეს. მან დაახლოებით 215 მილიონი მიიღო შემოწირულობებიდან და 75 მილიონი მთავრობის მხრიდან. აქედან, მას 17 მილიონ დოლარზე მეტი არ დაუხარჯავს, რაც დაახლოებით 6 პროცენტს შეადგენს. პარტიის ხელმძღვანელობა მისგან ამ თანხის ნაწილის გადაცემას მაინც მოითხოვს.

თუმცა, როგორც ჩანს, კერი აღნიშნული თანხის დაბრუნებას არ აპირებს და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მის გაყინვას გეგმავს. ამასთან, საარჩევნო შტაბში აცხადებენ, რომ კამპანიის ყველა ანგარიშები ჯერ დაფარული არ არის.

ზოგიერთი მონაცემებით, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში კერიმ, შესაძლოა, თავისი კანდიდატურა კვლავ დააყენოს ან აღნიშნული თანხა სხვა კანდიდატს გადასცეს, რომლის ლობირებასაც ის შეუდგება. ამ შემთხვევაში, იგი დემოკრატიული პარტიის წამყვან ფიგურებთან ურთიერთობებს საბოლოოდ გაიფუჭებს. გამორიცხული არ არის, რომ დემოკრატიული პარტიის ნაციონალურმა კომიტეტმა არც მას და არც მის შერჩეულ კანდიდატს პრაიმერებში მხარი არ დაუჭიროს.

# გამალებული შეიარაღება ბრძელდება

## საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლიდან ახალ "ბირთვულ შეკავებამდე"

*ვლადიმირ პუტინი მსოფლიოს ახსენებს, რომ რუსეთი ერთ-ერთი წამყვანი სამხედრო ძალაა და აცხადებს, რომ მალე მას ისეთი ბირთვული რაკეტა ექნება, რომლის "ანალოგიც სხვა ბირთვული სახელმწიფოების არსენალში არ არის".*

რუსეთის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას ოთხშაბათს, უმაღლესმა მთავარსარდალმა განაცხადა, რომ მოკლე დროში რუსეთის არმიას ისეთი უახლესი სისტემები ექნება, რომელიც ჯერ არავის აქვს. მეტიც, პუტინმა იქვე დასძინა, რომ ასეთი იარაღის გამოცდები უკვე მიმდინარეობს.

"ეს ისეთი ტექნოლოგიაა, რომელიც სხვა ბირთვულ სახელმწიფოებს არ აქვთ და უახლოეს წლებში არც ექნებათ, - ამბობს პრეზიდენტი, - ჩვენ კვლავაც ვეცდებით შეიარაღებული ძალების, მათ შორის მისი ბირთვული ნაწილის თანმიმდევრულ გაძლიერებას".

პუტინის სიტყვები მსოფლიო საინფორმაციო საშუალებების ერთ-ერთი მთავარი თემა გახდა. მათ ახსნას ცდილობდნენ წამყვანი სააგენტოები და ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლები ამერიკიდან ავსტრალიამდე.

აშკარაა, პუტინი დასავლეთში რუსეთის სამხედრო ძლიერებაზე ჩამოყალიბებული წარმოდგენის გაფანტვას ცდილობდა. ბევრი დასავლელი ექსპერტი, არცთუ უსაფუძვლოდ მიიჩნევს, რომ რუსეთის ბირთვული ამბიციები წარსულს ჩაბარდა; რომ თანამედროვე რუსეთს აღარ აქვს სახსრები საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობით მიღებული ბირთვული არსენალის გასაახლებლად.

მართლაც, ბოლო დროს მოსკოვს ვადაგასული რაკეტების დემონტაჟი ყოველწლიურად უხდებოდა. ხოლო პერსპექტივაში, მხოლოდ იმ სახელგანთქმული "ნაკეთობების" მცირეოდენი მოდიფიკაცია რჩებოდა, რომლებიც ცივი ომის ეპოქაში დასავლეთს შიშის ზარს სცემდა.

"Тополь-M" – სუპერრაკეტა, მოდერნიზებული ბირთვული არსენალის სავარაუდო ხერხემალი – შეირაღებაში ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ უნდა დანერგილიყო. მაგრამ რუსეთის სამხედრო ბიუჯეტის ფინანსირების ქრონიკული დეფიციტის პირობებში, პროგრამა შეფერხდა, ხოლო ახალი იარაღის არცთუ ხშირი გამოცდები, უმრავლეს შემთხვევაში კრახით სრულდებოდა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში, გარდაქმნასთან ერთად დაწყებული და სხვათა შორის პუტინის მმართველობის პერიოდშიც გაგრძელებული (მაგალითად, პუტინმაც მოაწერა ხელი შეთანხმებას ბირთვული არსენალის შემცირების შესახებ) განიარაღების პროცესი, თითქოს ორი ზესახელმწიფოს დაპირისპირების დასასრული იყო.

თუმცა, რუსეთის პრეზიდენტის სიტყვებმა ბირთვული შეკავების იდეას კვლავაც შემატა აქტუალობა. მართალია, პუტინი აღიარებს, რომ რუსეთის მთავარი საფრთხე საეთაშორისო ტერორიზმია, მაგრამ აქვე დასძენს, რომ "წუთითაც თუ მოვადუნეთ ყურადღება ჩვენი თავდაცვის ისეთ შემადგენელზე, როგორიც ბირთვული სარაკეტო ფარია, ჩვენ უკვე სხვა საფრთხეების წინაშეც აღმოვჩნდებით".

პუტინის განცხადებამ ეჭვები გააჩინა ვაშინგტონშიც. იქნებ ეს კრემლსა და თეთრ სახლს შორის ურთიერთობების "გაგრილების" ნიშანია? მიუხედავად ბუშისა და პუტინის დეკლარირებული მეგობრობისა, რუსეთის ისტაბლიშმენტში ანტიამერიკანიზმი გაბატონებული განწყობაა. ცოტა ხნის წინ სერგეი ივანოვმა ღიად განაცხადა, რომ ნატო-ს ვერც ერთი წევრი-სახელმწიფო ვერ იქნება რუსეთის მოკავშირე.

პუტინის განცხადებებში ერთგარი ალოგიკურობა ადვილად შესამჩნევია. თუ ქვეყნის მთავარი საფრთხე საერთაშორისო ტერორიზმია, რა საჭიროა ბირთვული შეიარაღების გაძლიერება? არც ერთ ჭკუათმყოფელს არ მოუვა აზრად ატომური რაკეტებით კამიკაძე-ტეორისტებთან ბრძოლის წარმოება. თუმცა, გამონათქვამების ურთიერთგამომრიცხაობას პუტინის რუსეთისგან უკვე ჩვეულნი ვართ. არც ისე დიდი ხნის წინ ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით ე.წ. ხელისუფლების ოპტიმიზაციის (რეალურად გუბერნატორთა პირდაპირი დანიშვნის) კანონპროექტი შეიტანეს სახელმწიფო სათათბიროში. ასე რომ, რუსეთის მიმართ კითხვები ჩნდება, თუმცა მათზე პასუხები ან გაუგებარია, ან საერთოდ არ ისმის.

საგულისხმოა, რომ პუტინის აღნიშნული განცხადება აშშ-ს სახელმწიფო მდივნის პოსტზე კონდოლიზა რაისის წარდგენას დაემთხვა. ცნობილია, რომ განათლებით სოვეტოლოგი რაისის გადიპლომატებამ, შესაძლოა, რუსეთის მიმართ დამოკიდებულება გაამკაცროს. იქნებ ყველაფერი თავის შეხსენებისთვის კეთდება? სხვათა შორის, თავის დროზე ანალოგიურ მიზანს ("თავის შეხსენებას") ემსახურებოდა სერგეი ლავროვის დანიშვნაც, რომლის პოლიტიკა მისი წინამორბედისგან განსხვავებით უფრო მკვეთრი გახდა და ძლიერ დაემსგავსა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების მოღვაწეობის სტილს. სწორედ ამ პერიოდში ძლიერდება გაერო-ს, ეუთო-ს თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებზე ზეგავლენა-შანტაჟის მცდელობები.

თუმცა, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლას რომ ამ შემთხვევასთან საერთო არა აქვს, ცხადია. საქმე ეხება ზესახელმწიფოს სტატუსს - პუტინს სურს, რომ თუ რუსეთს მსოფლიოს ერთ-ერთი პოლუსის სტატუსს ვერ აღუდგენს, აშშ-ს შემდეგ მეორე სამხედრო ძალის სტატუსი მაინც შეუნარჩუნოს. ეგებ ამას ნიშნავს პუტინის განცხადება? მიუხედავად განცხადების ერთგვარი ბანალური ხასიათისა, იგი მაინც საინტერესოდ ეხმაურება უფრო ადრე სამხედრო ხელმძღვანელობისთვის გაკეთებულ დაპირებებს. აშკარაა, ვლადიმირ პუტინი მსგავსი განცხადებებით რუსეთის სამხედრო ელიტაში "ყოფილი დიდების" აღორძინების იმედს აღვივებს. აი, რას უქადის ეს მსოფლიოს და თავად რუსეთსაც, უკვე რთული წარმოსადგენია.


## მოწვევა ტენდერში მონაწილეობის მიღებაზე

CORE INTERNATIONAL Inc.

"ენერგეტიკის სამინისტროს საკონსულტაციო დახმარების" პროექტი

"ენერგეტიკის სამინისტროს საკონსულტაციო დახმარების პროექტი" აცხადებს ტენდერის პირველ ტურს სარეკლამო კომპანიებისთვის სარეკლამო და კომუნიკაციური მომსახურების განხორციელებაზე. კომპანიებს, რომლებსაც აქვთ სურვილი მიიღონ მონაწილეობა ტენდერში უნდა წარმოადგინონ შემდეგი სახის პირველადი ინფორმაცია:

- **კომპანიის აღწერა და ისტორია**
- კომპანიის მომსახურება
- მომსახურების ღირებულება (უხეში ფასფორმირება)
- სხვა კომპანიებისგან გასხვავებული მომსახურება (თუ არსებობს)
- კომპანიის მიერ შემუშავებული პროდუქციის, სარეკლამო მასალების და სარეკლამო სტრატეგიის მაგალითები
- კომპანიის კლიენტების სია (ბოლო სამი წლის განმავლობაში)
- რამოდენიმე კლიენტის საკონტაქტო ინფორმაცია რეკომენდაციებისთვის
- კომაპნიის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლის მექანიზმი და პროცედურები
- **სარეკომენდაციო წერილები (სასურველია)**

**სარეკლამო კომპანიამ უნდა განახორციელოს შემდეგი სახის ძირითადი მომსახურება**

- სატელევიზიო და რადიო რგოლების დამზადება და გაშვება
- ბეჭდვითი სარეკლამო მასალის შემუშავება და დამზადება
- გარე რეკლამა (შემუშავება, დამზადება, არენდა და მომსახურება)

თქვენი კომპანიის საქმიანობა შეფასებული იქნება საერთო კვალიფიკაციის, კომპანიის შესაძლებლობების და მოწოდებული მაგალითების ხარისხის მიხედვით, რის შედეგად შერჩეული იქნება რამოდენიმე კომპანია ტენდერში მონაწილეობის მიღებისათვის.

ტენდერში მონაწილეობის სურვილის დასაფიქსირებლად ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია და მასალები კომპანიების მიერ მოწოდებული უნდა იყოს ამობეჭდილი და ელექტრონული სახით 2004 წლის 26 ნოემბრის 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: btsirekidze@coregeorgia.ge

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ლერმონტოვის ქ. N10

ტელ: + 995 32 43 90 20; ფაქსი: +995 32 43 90 22;

**დეტალური ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ CORE Int.-ის ოფისს საქართველოში. საკონტაქტო პირი - ბუბა ცირეკიძე. მობ: 8 77 41 6888**



## მოწვევა ტენდერში მონაწილეობის მიღებაზე

CORE INTERNATIONAL Inc.

"ენერგეტიკის სამინისტროს საკონსულტაციო დახმარების" პროექტი

"ენერგეტიკის სამინისტროს საკონსულტაციო დახმარების პროექტი" აცხადებს ტენდერის პირველ ტურს საზოგადოებსთან ურთიერთობის, მედიის მონიტორინგისა და ანალიზის და საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრებისთვის. კომპანიებს, რომლებსაც აქვთ სურვილი მიიღონ მონაწილეობა ტენდერში უნდა წარმოადგინონ შემდეგი სახის პირველადი ინფორმაცია:

- **კომპანიის აღწერა და ისტორია**
- კომპანიის მომსახურება
- სატელევიზიო, რადიო და ბეჭდვითი სარეკლამო მასალის აუდიტის დროს გამოყენებული მეთოდოლოგია
- საზოგადოებრივი აზრის კვლევის დროს გამოყენებული მეთოდოლოგია
- მედიის მონიტორინგისა და ანალიზის დროს გამოყენებული მეთოდოლოგია
- იმ მედიის საშუალებების ნუსხა, რომლებიც მუშავდება მონიტორინგისა და ანალიზის დროს
- სხვა კომპანიებისგან განსხვავებული ნოუ-ჰაუ (თუ არსებობს)
- სარეკლამო მასალის აუდიტის ღირებულება (უხეში ფასფორმირება)
- საქართველოს მასშტაბით განხორციელებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის ღირებულება (უხეში ფასფორმირება)
- სარეკლამო მასალის აუდიტის, საზოგადოებრივი აზრის კვლევის და მედია მონიტორინგის და ანალიზის ანგარიშების ასლები
- კომპანიის კლიენტების სია (ბოლო სამი წლის განმავლობაში)
- რიგი კლიენტების საკონტაქტო ინფორმაცია რეკომენდაციებისთვის
- ხარისხის კონტროლის მექანიზმი და პროცედურები
- **სარეკომენდაციო წერილები (სასურველია)**

**კომპანიამ უნდა განახორციელოს რომელიმე ან ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი მომსახურება:**

- რეკლამის აუდიტი
- საზოგადოებრივი აზრის კვლევა საქათველოს მასშტაბით
- მედიის მონიტორინგი და ანალიზი

თქვენი კომპანიის საქმიანობა შეფასებული იქნება საერთო კვალიფიკაციის, კომპანიის შესაძლებლობების და მოწოდებული მაგალითების ხარისხის მიხედვით, რის შედეგად შერჩეული იქნება რამოდენიმე კომპანია ტენდერში მონაწილეობის მიღებისათვის.

ტენდერში მონაწილეობის სურვილის დასაფიქსირებლად ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია და მასალები კომპანიების მიერ მოწოდებული უნდა იყოს ამობეჭდილი და ელექტრონული სახით 2004 წლის 26 ნოემბრის 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: btsirekidze@coregeorgia.ge

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ლერმონტოვის ქ. N10

ტელ: + 995 32 43 90 20; ფაქსი: +995 32 43 90 22;

**დეტალური ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ CORE Int.-ის ოფისს საქართველოში. საკონტაქტო პირი - ბუბა ცირეკიძე. მობ: 8 77 41 6888**

## სამხატვრო აკადემიის სტუდენტური ფორუმის წევრთა მიმართვა სასულიერო აკადემიის სტუდენტთა ჯგუფისადმი

ძვირფასო მეგობრებო, თავს მოვალედ ვთვლით, გამოვხატოთ ჩვენი პატივისცემა თქვენი პრინციპული პოზიციისადმი, რომელიც სიმართლისა და ადამიანის ღირსებისადმი ღრმა რწმენას ეფუძნება.

სამწუხაროდ, საზოგადოებაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მრავლად არიან ადამიანები, რომელთაც ეკლესია დემოკრატიის ალტერნატივად მიაჩნიათ, ხოლო "საკუთარ ოჯახში" წლობით დაგროვილ "სიბინძურეზე" მეტად ის ერცხვინებათ, რომ ამ "სიბინძურის" შესახებ ვინმე "გარეშემ" შეიტყოს.

მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობენ თქვენნაირნიც, ისინი, ვინც იციან, რომ ყველანი, განსხვავებათა მიუხედავად, ერთი ოჯახის – ადამიანთა საერთო საზოგადოების წევრები ვართ, საზოგადოების, რომელსაც მხოლოდ მაშინ აქვს სრულფასოვანი მომავლის შანსი, თუკი თავისუფლებისა და სამართლიანობის ქრისტიანულ იდეალებს, სიბნელესა და განუკითხაობასთან შეურიგებლობას თავისი არსებობის უმთავრეს პირობად დაისახავს.

ადამიანებმა უნდა გამოთქვან თავიანთი აზრები. ეს მათი უფლება კი არა, მოვალეობაა – ეს სიტყვები დიდ პოეტს პერსი ბისი შელის ეკუთვნის, თუმცა მათში ჩადებული აზრის განსხეულებას ჩვენ ვხედავთ კაცობრიობის ყველა დროის უდიდეს მოღვაწეთა და წინამძღოლთა, მათ შორის უპირატესად იესო ქრისტეს ცხოვრებაში. ქრისტეს აქეთ ყველა ადამიანი თვით დაბადების ფაქტის ძალით კურთხეულია სიმართლის, სიყვარულისა და თავისუფლების მსახურებისათვის და ამაში ვერანაირ კორექტივებს ვერ შეიტანს 1995 თუ 1996 წელს შეცვლილი დებულების პუნქტები.

გთხოვთ გვიგულოთ თანამოაზრეებად და თანამებრძოლებად იქ, სადაც საერთო ღირებულებათა რეალობაში განხორციელება ძალისხმევათა გაერთიანებას მოითხოვს.

*პატივისცემით:*
*გიორგი კევლიშვილი*
*გიორგი დობორჯგინიძე,*
*ირაკლი სვანიძე*
*(სულ 45 ხელმოწერა)*

# მივესალმები იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც არც თუ ისე დაფარული გაასცხადეს

პირველი გვერდიდან

ჩემი უიმედობის საფუძველს სწორედ ის მყარი დუმილი წარმოადგენდა, რითაც ხსენებული სასწავლებლები უკვე რამდენიმე წელიწადია, პასუხობენ ცალკეული სასულიერო პირების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ინტელიგენციის წარმომადგენლების, ბოლოს უკვე ეპისკოპოსების ნაწილის სერიოზულ შეშფოთებას, განგაშის ზარს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში მიმდინარე მანკიერი პროცესების გამო, იმის გამო, რომ თვალსა და ხელს შუა ქვეყანა რელიგიურმა ფანატიზმმა, აგრესიულმა მასობრივმა ფუნდამენტალიზმმა მოიცვა.

ახლა კი ბოდიში უნდა მოვიხადო ჩემი პესიმიზმის გამო ღმერთის წინაშე, რადგან თითქოს დამავიწყდა, რომ იგი ჯერ არ ამბობს უარს, იყოს ყველგან, ვითარცა ნათელი – ბნელში, და მერე სასულიერო სემინარიისა და აკადემიის წინაშე, რომლის კედლებში თურმე ამდენი ნათელი: ზნეობა და გაბედულება გროვდებოდა.

ამ ოცდასამი ახალგაზრდის არსებობა დასაბუთებაა იმისა, რომ რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენს ძველ ქრისტიანულ ქვეყანაში ქრისტეს ნამდვილი მიმდევარნი, ანუ სიმართლისათვის დევნილნი არ დაილევიან.

და ურყევი კანონზომიერების ძალით, რაზეც მაცხოვარი ასე პირდაპირ მიგვითითებს, წერილის ავტორებს უკვე თავს დაატყდათ რისხვა, ცილისწამება, აბუჩად აგდება ამა ქვეყნის ძლიერთა, მაძღართა, ჩამყუდროებულთა, ჩამტკბართა თუ მშიერთა და აგრესიულთა მხრიდან! – ("და მოგიძულებთ ყველა ჩემი სახელის გამო, ხოლო ვინც ბოლომდე დაითმენს, ცხოვნდება").

როგორც ნამდვილად რელიგიურმა ადამიანებმა, მათ ეს, რა თქმა უნდა, წინასწარ იცოდნენ. ვის, ვის და მათ, ვისაც ბიბლიაზე დაუყრდნია საკუთარი სულიერი ზრდა, არავისგან ესწავლებათ, რომ „ვიწროა ბჭე და ძნელია გზა, რომელსაც მივყავართ სიცოცხლისაკენ და მცირედნი ჰპოვებენ მას", და რომ "სიცოცხლეში" მარტოოდენ ღმერთის ლოცვით-მჭერმეტყველობითი ძიება თუ ლიტურგია არ იგულისხმება, არამედ პატიოსანი, უანგარო, თავგანწირული ქმედებაც. ხოლო ქმედებაში – არა მხოლოდ მწყურვალთა დარწყულება, შიშველთა შემოსვა, მშიერთა დაპურება და ტანჯულთათვის ცრემლის შეშრობა, რასაც ამქვეყნად ვერაფერი ჩაენაცვლება (და რაც ჩვენი ეკლესიის ზრუნვის საგანი ნაკლებადაა), არამედ – მართალი სიტყვის თქმაც.

როდესაც ჩვენში სინდისისა და სიყვარულის სახით არსებული ღმერთი ამეტყველდება, განა უნდა ჩავახშოთ მისი ხმა და ანთებული სანთელი მაგიდის ქვეშ შევდგათ? განა არ გვევედრება თუ მოგვიწოდებს სიმართლისათვის ჯვარცმული ღმერთი: "რასაც სიბნელეში გეუბნებით, სინათლეზე თქვით, და რაც ყურში ჩაგესმით, ერდოებზე იქადაგეთო?"

ამ ახალგაზრდების სიმართლე განსხვავდება იმ სელექციური, პრიმიტიული, თვითმიზნური, პომპეზურ-რიტუალური, ანგარებიანი თუ ჰალუცინაციური „სიმართლეებისაგან", რომლებსაც სხვადასხვა სახის მიწიერი ჯილდოები მოაქვთ პოპულარობის, შთამბეჭდავი ხელფასებისა თუ სხვადასხვა სახის შემოსავალთა სახით.

ქრისტემიერი სიმართლე ტანჯვის გზაა და ხშირად სიცოცხლესაც ითხოვს საზღაურად, და არა მხოლოდ სასულიერო, არამედ საერო პირთა სიცოცხლესაც, როგორც კარგად მოგვეხსენება ილია ჭავჭავაძისა და კირიონ II-ის შთამომავალთ.

და აქამდე რომ არ მივიდეს საქმე, რაც არც ისე გამორიცხულია იმ ფიზიკური ანგარიშსწორების პირობებში, რაც აშკარად თუ ფარულად გაჩაღდა 23 მოწაფის მიმართ, დღეს ყველა ნორმალურმა ადამიანმა ხმა უნდა ამოიღოს. ხომ დიდი ხანია ხედავს ყველა, ვინც სულიერად თუ ფიზიკურად შეჯავშნულ სივრცეში არ იმყოფება, რომ ჩვენებური ფაშიზმი კარს გვიკაკუნებს!

ერთი წუთით დავუშვათ, რომ ყველაფერი, რაც სასულიერო სემინარიისა და აკადემიის ახლანდელ და ყოფილ მოწაფეთა წერილში წერია, ტყუილია. რომ, მაშასადამე, წერილის ავტორები ცდებიან. განა ასე მოექცევა ქრისტიანი მოძღვარი შეცდომაში შესულსა და გზიდან აცდენილს? სასწავლებლების დანარჩენ მოწაფეებს წააქეზებს „ეკლესიის შიდა მტერთა" წინააღმდეგ? დასწყევლის და შეაჩვენებს სულიერ შვილებს? ეს მოძღვარნი რაღაც სხვა, ჩვენთვის უცნობ სახარებას ხომ არ კითხულობენ? თუ ჩვენ მოგველანდა თუნდაც იგავი იმ კაცის შესახებ, ასი ცხვარი რომ ჰყავდა და ერთი დაჰკარგა?

(„განა არ მიატოვებს მთაში ოთხმოცდაცხრამეტს და არ წავა დაკარგულის საძებნად? და თუ მოხდა, რომ იპოვა, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, მას უფრო მეტად შეჰხარის, ვიდრე იმ ოთხმოცდაცხრამეტს, რომლებიც არ დაჰკარგვია").

ჩვენ უკან დასახევი გზა არა გვაქვს. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს სამშობლოში აღარ დაედგომებოდეთ, რომ მართლმადიდებლური ფანატიზმით გონებადაბნელებულმა მოწაფეებმა, სტუდენტებმა და მათმა მშობლებმა ჩვენს შვილებს სკოლაში თუ უმაღლეს სასწავლებელში ადამიანად ყოფნის საშუალება აღარ მისცენ, საითკენაც მიექანება ჩვენი ქვეყანა.

დღევანდელ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა ფეხით გათელვა არც ერთ სახელმწიფოს შიდა საქმედ აღარ ითვლება, არა თუ რომელიმე ინსტიტუტისა, იქნება ეს საერო თუ სასულიერო.

ხელისუფლება კი პირველ რიგში იმიტომ გვჭირდება, რომ იგი მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების, დეკლარირებული დემოკრატიული ღირებულების ერთმნიშვნელოვანი დამცველი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პომპეზურ საერო-სასულიერო რიტუალებში გაბრუებულებმა ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება გაურკვეველი სახის თეოკრატიულ დესპოტიაში გავიღვიძოთ.

# დროული დახმარება

*საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ სახალხო ბანკისგან გუშინ ღირებული საჩუქარი – ოთხი კომპიუტერი მიიღო. სტრუქტურისთვის, რომელიც წლების განმავლობაში დგას დაუზუსტებელი სიებისა და მკვდარი სულების პრობლემის წინაშე, ამგვარი დახმარება უმნიშვნელო ნამდვილად არ არის. ამით სამინისტროს საქმიანობის, საკუთარი სამწყსოს შესახებ ინფორმაციის ქონის ცივილური შესაძლებლობა ეძლევა.*

მაკა ჯაიანი

**"სახალხო ბანკთან ჩვენ მშვენიერი, საქმიანი ურთიერთობა გვაქვს, იმდენად ნაყოფიერი, რომ მასთან ხანგრძლივი ხელშეკრულების გაფორმებაზე ვფიქრობთ,** - აცხადებს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ეთერ ასტემიროვა, - **ჩვენი ექვსთვიანი თანამშრომლობა კი ასე ლამაზად გვირგვინდება. სამინისტროსთვის ეს უაღრესად დიდი საჩუქარია, რომელიც მუშაობაში მნიშვნელოვნად შეგვიწყობს ხელს. მისი საშუალებით არა მარტო დავაზუსტებთ, შევადარებთ ლტოლვილთა სიებს და, შესაბამისად, გამოვრიცხავთ კორუფციულ მომენტებს, არამედ სახალხო ბანკის ახალი სერვისით – პლასტიკური ბარათებით დევნილების მომსახურებისთვისაც სწრაფად მოვემზადებით. ეს მომსახურების ახალი და მეტად მოხერხებული საშუალებაა."**

პლასტიკური ბარათების საშუალებით, დევნილებს კუთვნილი დახმარების მიღება და სხვა საბანკო ოპერაციების წარმოება საქართველოს ნებისმიერ წერტილში შეეძლებათ, ყველაგან, სადაც სახალხო ბანკის ოფისები მოქმედებს. როგორც კი დევნილთა სიების ელექტრონული ვერსიები მომზადდება, სახალხო ბანკი ამ სერვისს უპრობლემოდ აამოქმედებს. ეთერ ასეტემიროვა გიორგი გოგუაძეს იმისთვისაც ემადლიერება, რომ იმ უბნებში, რომელიც დევნილთა მჭირდო ჩასახლებით გამოირჩევა, რიგების პრობლემის მოსახსნელად, სახალხო ბანკმა, დამატებით, სერვის-ცენტრები გახსნა. სახელმწიფო და კერძო სექტორის ამ ტანდემის ყველაზე თვალსაჩინო შედეგს მაინც ფულის ის ნაშთი წარმოადგენს, რომელიც დევნილთა სიების გადამოწმების შემდეგ დაგროვდა.

როგორ გამოიყურება ციფრებში ეს დანაზოგი 15 დეკემბრისთვის გახდება ცნობილი. თუმცა, დღეს უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველად, ამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ბანკს დევნილებისთვის დასარიგებელი ფულის თაობაზე არავინ ედავება. ეთერ ასტემიროვას სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, სახალხო ბანკის წინამორბედ საფოსტო ბანკზე იგივე არ ითქმება. ლტოვლილთა და განსახლების სამინისტროში თავს იყრის და სპეციალური ჯგუფის მიერ მოწმდება განცხადებები, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს იმ ხუთი მილიონის მისამართულობას, რომელიც საფოსტო ბანკს დევნილებზე გასაცემად გადაურიცხეს და მათამდე არ მიუღწევია. ეთერ ასტემიროვა დარწმუნებულია, რომ სასამართლო პროცესს საფოსტო ბანკს აუცილებლად მოუგებს.

პროცესის გამჭვირვალობა გახლავთ ის ძირითადი არგუმენტი, რომლითაც სახალხო ბანკი თავის გუშინდელ საჩუქარს ამაგრებს. **"ჩვენ თავიდანვე ვთხოვეთ მედიას, ჩვენ მიერ დევნილთა მომსახურების პროცესი მაქსიმალურად გაეშუქებინა,** - ამბობს ბანკის გენერალური დირექტორი გიორგი გოგუაძე, - **რთული მემკვიდრეობა გვერგო და საზოგადოების ყურადღება იმ ხარვეზების აღმოფხვრაში გვეხმარება, რომელმაც ნებისმიერი საქმიანობისას შეიძლება იჩინოს თავი. ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის აუცილებელია ბანკისა და სამინისტროს თანაბარ პირობებში ჩაყენება. ამდენად, ეს საჩუქარი განსაკუთრებული სულაც არ არის. მით უმეტეს, რომ დევნილების მომსახურება მარტო ერთი უწყების პრობლემა კი არა, მთელი ქვეყნის საქმეა."**

კოდი 04-ლ-02

### საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

### ა გ რ ძ ე ლ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს

### საქართველოს ბიბლიოთეკების ფონდების შევსებაზე

**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის წიგნისა და ლიტერატურის სახელმწიფო პროგრამის საქართველოს ბიბლიოთეკების ფონდების შევსების პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**
საქართველოს ბიბლიოთეკებისათვის ბოლო სამი წლის განმავლობაში ქართულ ენაზე გამოცემული წიგნების შეძენა და ამით ბიბლიოთეკების ფონდების შევსება თანამედროვე გამოცემებით.

**კონკურსის პირობები**:
70 რაიონულ ბიბლიოთეკას გადაეცემა 1000 ლარიანი ვაუჩერი წიგნების შესაძენად, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცემა 15 000 ლარიანი ვაუჩერი.

გამარჯვებული ორგანიზაცია ვალდებულია:

1. შექმნას, დაბეჭდოს და ყველა ბიბლიოთეკაში დაარიგოს ბოლო 3 წლის განმავლობაში გამომცემლობების მიერ ქართულ ენაზე გამოცემული და ამჟამად გაყიდვაში არსებული ყველა წიგნის გაერთიანებული კატალოგი
2. მოაწყოს ამ წიგნების გამოფენა
3. უზრუნველყოს ბიბლიოთეკარების ჩამოყვანა რაიონებიდან გამოფენის დასათვალიერებლად
4. დაამუშაოს ბიბლიოთეკების შეკვეთები
5. უზრუნველყოს შეკვეთილი წიგნების მიწოდება

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია წიგნით ვაჭრობის ნებისმიერ ორგანიზაციას (სამეწარმეო იურიდიულ პირს), რომელსაც აქვს ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 90 000 ლარს.

**პროექტის ჩაბარების ვადები:**
**პროექტის სამინისტროში განსახილველად წარდგენის უკანასკნელი ვადაა 2004 წლის 25 ნოემბერი**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

**მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქN4**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**
**ხელოვნების დეპარტამენტი**
**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
**ტელ. 99 03 06**

**გვესაჭიროება ჩეხურ-ინგლისურ-ქართული ენების გამოცდილი თარჯიმანი კომპიუტერის ცოდნით.**
**გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:**
**ტელ: 244310, 244305 ; მობილური: 899 176440**
**ელ. ფოსტა: tamriko.natsvlishvili@pagmbh.ge**

## ნაირობის სამიტი - ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების ხანის დასასრული

ICRC

1997 წლის დეკემბერში, როდესაც მთავრობებმა ხელი მოაწერეს კონვენციას ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის შესახებ, დაზარალებულ მოსახლეობას უკეთეს მომავალს დაპირდნენ. სახელმწიფოები პირველად შეთანხმდნენ უკვე ფართოდ გავრცელებული იარაღის სრული აკრძალვის თაობაზე, რადგან მან განუზომლად დიდი მსხვერპლი მოიტანა. ნაღმებით დაზარალებულ მოსახლეობას კონვენციამ ამ ფარული იარაღით სიკვდილისა და დასახიჩრების შიშის გარეშე ცხოვრების იმედი ჩაუსახა.




ორ კვირაში (29.11-3.12) მსოფლიოს ლიდერები შეიკრიბებიან ნაირობის სამიტზე - "მსოფლიო ნაღმების გარეშე" იმისათვის, რომ გაიაზრონ, თუ რას მიაღწიეს და რა არის ჯერ კიდევ გასაკეთებელი კონვენციაში გაცხადებული დაპირების შესასრულებლად. კონვენციაზე ხელის მოწერის შემდეგ ნაირობის სამიტი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვისათვის ბრძოლაში.

ათი წლის წინ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (წჯსკ) სამედიცინო პერსონალმა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებით გამოწვეული სიკვდილისა და დასახიჩრების მასიური შემთხვევები დაახასიათა როგორც ნაღმების "ეპიდემია". წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობამ მსოფლიო საზოგადოებას მოუწოდა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების სრული აკრძალვისკენ. წჯსკ-ს, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებების, ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის (ICBL) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ წამოწყებული კამპანიების წყალობით რეკორდულ ვადაში მოხდა ახალი საერთაშორისო ხელშეკრულების მიღება, რომელიც კანონგარეშე აცხადებს ამ იარაღს.

ეს უმნიშვნელოვანესი კონვენცია სრულიად კრძალავს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენებას, წარმოება-განვითარებასა და შენახვას და სახელმწიფოებისაგან მოითხოვს მიწაში დაფლული ყველა ნაღმის, ასევე საწყობებში დაცული მარაგის სრულ განადგურებას. თუმცა ეს ხელშეკრულება გაცილებით მეტს ითვალისწინებს, ვიდრე უბრალოდ იარაღის აკრძალვაა. ეს დოკუმენტი წარმოადგენს მოქმედების ჰუმანიტარულ პროგრამას, რომელიც გულისხმობს მიწაში დამონტაჟებული ნაღმების საფრთხის აცილებას, ნაღმების მსხვერპლთა დახმარებას და მოსახლეობის გათვითცნობიერებას ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების საფრთხის შესახებ.

კონვენციის ნორმები ნაღმების გლობალური ეპიდემიის შეჩერების თაობაზე აქტუალური აღმოჩნდა. მსოფლიოს ქვეყნების სამი მეოთხედი მიუერთდა კონვენციას. მათ შორის არის ქვეყნები ყველაზე მეტად დანაღმული ტერიტორიებით - ანგოლა, ავღანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, კამბოჯა, მოზამბიკი და ნიკარაგუა. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა უკვე გაანადგურეს 37 ათას მილიონზე მეტი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი. ეს საშინელი იარაღი დაგმობილია და ნორმები მისი გამოყენების წინააღმდეგ საყოველთაო ხდება. ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების წარმოება და გამოყენება საგრძნობლად შემცირდა მთელ მსოფლიოში. ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებით ვაჭრობა გლობალური მასშტაბით შეწყდა. ნაღმებით დაზარალებულ ქვეყნებსა და დონორ სახელმწიფოთა შორის მჭიდრო თანამშრომლობა უზრუნველყოფს განაღმვის ღონისძიებებს მსოფლიოს ყველა რეგიონში. რაც მეტად საგულისხმოა, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა აღმოაჩინა, რომ სადაც კონვენცია სრულად ხორციელდება ნაღმების მსხვერპლთა რაოდენობის წლიური მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა, ზოგიერთ შემთხვევაში ორი მესამედით და მეტითაც.

მიუხედავად კონვენციის შთამბეჭდავი მიღწევებისა, ბევრი რამ ჯერ კიდევ გასაკეთებელია, ვიდრე არ შესრულდება ნაღმების მსხვერპლთათვის მიცემული პირობა. ნამდვილ გამოცდად ისახება მომდევნო ხუთი წელი - 2009 წელს იწურება დანაღმული ტერიტორიების სრული გაწმენდისათვის სახელმწიფოებისათვის მიცემული ათწლიანი ვადა. ამ დროისთვის ნაღმებით დაზარალებულ ოცდასამ სახელმწიფოს დასრულებული უნდა ჰქონდეს ტერიტორიების განაღმვა. მსოფლიოს ყველაზე მეტად დაზარალებულ ქვეყნებს - ანგოლასა და ავღანეთს - 2012 წელს უწევთ საბოლოო ვადა. ეს ძალიან რთული ამოცანაა როგორც დონორი, ასევე დაზარალებული ქვეყნებისთვის. ამ უკანასკნელთაგან უმეტესი ნაწილი ძალიან ღარიბია და ჯერ ისევ ცდილობს ომის შედეგების დაძლევას. რამდენადაც ადვილია დანაღმვა, იმდენადვე საშიში და ძვირია განაღმვა. ამასთან, განაღმვა არის ერთ-ერთი იმ მრავალ სასწრაფოდ გადასაჭრელ პრობლემათაგანი, რომლებიც პოსტ-კონფლიქტურ საზოგადოებებს ექმნება.

ყოველწლიურად ათასობით მამაკაცი, ქალი და ბავშვი ისევ სახიჩრდება და კვდება ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აფეთქების შედეგად. ყოველდღიურად ახალი მსხვერპლი ემატება ნაღმით დაზარალებულ ასი ათასობით ადამიანს. მათ, ვინც გადაურჩა სიკვდილს ნაღმის აფეთქების შედეგად, როგორც წესი, ესაჭიროებათ ამპუტაცია, მრავალი ოპერაცია და ხანგრძლივი ფიზიკური რეაბილიტაცია. სამუდამოდ დაინვალიდებული ადამიანებისათვის აუცილებელია ხანგრძლივი მკურნალობა და მოვლა, რაც ხშირად შეუძლებელია ნაღმებით დაზარალებულ ქვეყნებში. ამ ადამიანებს, ასევე, დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ საზოგადოებებში ნაღმების მსხვერპლთა და, ზოგადად, ინვალიდთა დახმარება გაუმჯობესდა, საგრძნობი წინსვლა ამ მიმართულებით მაინც არ შეინიშნება არც სახელმწიფოებრივი და არც გლობალური მასშტაბით. ნაირობის კონფერენციამ უნდა უზრუნველყოს პროგრესი ამ სფეროში.

როდესაც სახელმწიფო კონვენციის მიღმა რჩება და იტოვებს უფლებას გამოიყენოს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები, იგი უბიძგებს სხვა სახელმწიფოებს და შეიარაღებულ დაჯგუფებებს მსგავსი ქმედებისკენ. საჭიროა იმ სახელმწიფოების დარწმუნება, რომლებიც ჯერ არ გამხდარან ამ კონვენციის მონაწილენი და რომელთა ნაწილი ფლობს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების დიდ მარაგს, ამ ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობაში. 1996 წელს წჯსკ-ს სახელით და 19 ქვეყნის სამხედრო ოფიცრის მხარდაჭერით ჩატარებული კვლევის დასკვნა ასეთია: "თანამედროვე კონფლიქტებში ჰუმანიტარული თვალსაზრისით ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების საზარელი შედეგები ბევრად აღემატება ამ იარაღის სამხედრო ეფექტს." (ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი: მეგობარი თუ მტერი? გამოკვლევა ქვეითსაწინაღმდეგო ნაღმების სამხედრო მიზნით გამოყენებისა და ეფექტურობის შესახებ. წჯსკ, ჟენევა 1996.) ყოველთვის შეიძლება ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების არსებობის გამართლება სამხედრო თვალსაზრისით, მაგრამ ისტორიის განაჩენი ნათელია: ამ იარაღის გამოყენება იწვევს უსაზღვრო ტანჯვას და მისი განადგურება გლობალური მასშტაბით ჰუმანიტარულ აუცილებლობას წარმოადგენს.

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის შესახებ კონვენციის მიღება არის არა საბოლოო არამედ პირველი ნაბიჯი ამ იარაღის ხანის დასრულების მცდელობაში. ახლა ჩვენთვის ცხადია, რომ კონვენციის ნორმები მოქმედებს. მაგრამ ხელშეკრულებაში გაცხადებული პირობის სრულად შესრულება შესაძლებელია მხოლოდ შეუპოვარი მცდელობის მეშვეობით. ლიდერები უნდა დაესწრონ ნაირობის სამიტს, რათა განიხილონ მიღწეული წარმატებული შედეგები, შეიმუშაონ სამოქმედო გეგმა და ფინანსური წვლილი შეიტანონ ხელშეკრულების მიზნების მისაღწევად. დღეს ჩვენ ამ საყოველთაო მცდელობის წარმატების მოწმენი ვართ. ეს წარმატება გამოიხატება ნაღმების მსხვერპლთა ძალისხმევაში, ხელახლა დაიწყონ ცხოვრება და გამნაღმველთა სიმამაცეში, რომლებიც ყოველდღე შედიან დანაღმულ ტერიტორიებზე. ნაირობის სამიტზე პოლიტიკურმა ლიდერებმა თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ იმ დიდ საქმეში, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიოს გათავისუფლებას ნაღმებისაგან.

**დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მიმართოთ:**
**მაია ქარდავა, წჯსკ თბილისი, ტელ: 35 55 10**
www.icrc.org/eng/mines

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ოსური მხარის მიერ კონტროლირებად სოფელ დისევთან, ერედვის პოლიციის ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა თბილისიდან გატაცებული ავტომანქანა დააკავეს. გამტაცებლებმა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა მოახერხეს.

"ზმვ"-ს მარკის ავტომანქანა თბილისში მცხოვრებ ვაჟა ტურაშვილს ეკუთვნის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 18 ნოემბერს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის საგადასახადო ინსპექციის გადასახადების ადმინისტრაციის ორი ინსპექტორი: ჯამბულ გოგია და თედო შუბითიძე. უშიშროების მინისტრის მოადგილის ბათუ ქუთელიას განცხადებით, დაკავებულებს ბრალად ედებათ ფულის გამოძალვა ერთ-ერთი კაფეს ადმინისტრატორისგან, რომელსაც 800-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად 400 ლარი გამოართვეს. დაკავებულები უშიშროების სამინისტროს იზოლატორში გადაიყვანეს და მათ ამ დანაშაულისთვის 5-დან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინწინ, საღამოს, იუსტიციის სამინისტროს მიმდებარე ტერიტორიიდან იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის ეკა გურეშიძის ავტომანქანა გაიტაცეს. ვერცხლისფერი, "BMW"-ს მარკის ავტომანქანა გრიბოედოვის ქუჩიდან დაიკარგა. მანქანის მოპარვა არც სამინისტროს დაცვის თანამშრომლებს და არც ავტომანქანის მძღოლს შეუმჩნევიათ. ადგილზე მივიდა მთაწმინდა-კრწანისის პოლიცია, თუმცა ბევრი ვერაფერი გაარკვია.

იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის ავტომანქანის გატაცების საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია იძიებს.

იუსტიციის სამინისტროს მიმდებარე ტერიტორიიდან მინისტრის მოადგილის მანქანის გატაცების ფაქტი მეორედ ხდება. პირველი შემთხვევა იუსტიციის ყოფილი მინისტრის მოადგილის გიორგი წკრიალაშვილის მანქანის გატაცებას უკავშირდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის განყოფილებამ ქუთაისში მდებარე შპს "აისის" ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხი შეამოწმა. შემოწმებამ 2001-2004 წლები მოიცვა, რის შედეგადაც ნათელი გახდა, რომ საგადასახო ინსპექციაში წარდგენილ ყოველწლიურ საგადასახადო დეკლარაციებში ფირმის დირექტორი თემურ გოგისვანიძე და ფირმის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი, ფრიდონ ბაკურაძე სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილ თანხებს სრულად არ იხდიდნენ. ამის გამო, ფინანსურმა პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე მათ მიმართ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისთვის თავის არიდების მუხლით აღძრა. ახლა კი სანქცია-საურავების ჩათვლით 118 034 ლარი აქვთ გადასახდელი. **მედია-ნიუსი**

# შოთა მეფარიძის ქონების ბედი შეფასების შემდეგ გადაწყდება

*თბილისის სატყეო მეურნეობის ყოფილი დირექტორის შოთა მეფარიძის შთამბეჭდავი ქონების კანონიერება-უკანონობას და, შესაბამისად, ჩამორთმევა-არჩამორთმევის საკითხს სასამართლო მას შემდეგ განიხილავს, რაც ექსპერტიზა სადავო ქონების ღირებულებას დაადგენს.*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*შოთა მეფარიძე თავისი ქონების უბრძოლველად დათმობას არ აპირებს.*

როგორც ცნობილია, თბილისის სატყეო მეურნეობის ყოფილი დირექტორი ამ თანამდებობაზე ყოფნისას წყნეთის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების უკანონო გასხვისებას შეეწირა. იგი თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, ბიუჯეტისთვის დიდი ოდენობით ზარალის მიყენების ბრალდებით წელს გაზაფხულზე დააკავეს. აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლომ, რომელსაც საპროცესო კანონმდებლობა, დაკავებულის ასაკის გათვალისწინებით, მისთვის წინასწარი პატიმრობის თავიდან აცილების სრულ საფუძველს აძლევდა, მას მაინც საპყრობილეში სამი თვის გატარება არგუნა და 80 წელს მიღწეული შოთა მეფარიძე პატიმრობიდან მანამდე არ გაათავისუფლეს, სანამ ბიუჯეტის სასარგებლოდ 100 ათასი ლარი არ გადაიხადა. მიუხედავად ამისა, მისი საქმის ძიება გაგრძელდა. მეტიც, გენერალურმა პროკურატურამ, რომელიც სატყეო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის, გივი ჯაფარიძის დაპატიმრების შემდეგ იმედს იტოვებდა, რომ მეფარიძის ბრალდებებს კიდევ რამდენიმეს დაუმატებდა, ამჯერად თბილისის სატყეო მეურნეობის ყოფილი ხელმძღვანელის ოჯახის ქონება აღნუსხა და სასამართლოს მისი ჩამორთმევის მოთხოვნით მიმართა.

11 საცხოვრებელი სახლი, მიწის 8 ნაკვეთი, 5 სავაჭრო ობიექტი და 8 ძვირად ღირებული ავტომანქანა – ასეთი გახლავთ მეფარიძისეული ქონების გენერალური პროკურატურის მიერ შედგენილი შთამბეჭდავი ნუსხა. ამ ქონების კანონიერების დადგენა სასამართლოს პრეროგატივაა. მანამდე კი ბრალდებისა და დაცვის მხარეები, ჩვეულებისამებრ, ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებს აკეთებენ.

პროკურორი ვლადიმერ ხუჭუა ამბობს, რომ გამოძიებას სადავო ქონებაზე დასაბუთებული ეჭვი გააჩნია, რომელიც გარკვეულ მტკიცებულებებს ეყრდნობა. შესაბამისად, დაცვის მხარეს შეუძლია ამ მტკიცებულებების გაქარწყლება სათანადო დოკუმენტების წარმოდგენის გზით.

თავის მხრით, მეფარიძეების ოჯახის ადვოკატი ლაშა ჭიჭინაძე კი აცხადებს, რომ პროკურატურის სარჩელი უსაფუძვლოა, რადგან მეფარიძეს 1957-1963 წლებში აშენებულ სახლებს ედავებიან, მაშინ კი ის სატყეო მეურნეობის თავმჯდომარე არ იყო.

**„მეფარიძეების ქონება, რომელიც ნუსხაშია შეტანილი, მხოლოდ შოთა მეფარიძეს არ ეკუთვნის და რა პრინციპით შეარჩია პროკურატურამ, გაუგებარია. თუმცა, იმედი მაქვს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას ბრმად არ მიიღებს,“** - აცხადებს ლაშა ჭიჭინაძე.

და კიდევ – ჭიჭინაძის აზრით, პროკურატურის ქმედება ანტიკონსტიტუციურია.

**“ადმინისტრაციული ნორმა, რომლის საფუძველზეც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, ანტიკონსტიტუციურია. საუბარია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შეტანილ ცვლილებებზე, რომელიც თანამდებობის პირთა უკანონო ქონების ჩამორთმევას და სახელმწიფოსთვის გადაცემას ითვალისწინებს. აღნიშნული ნორმა კოდექსში ახლახან შევიდა, მაგრამ პროკურატურამ ამ მუხლის გამოყენებით კანონს უკუქცევითი ძალა მიანიჭა, რაც კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. თუ კანონის მუხლი პირის პასუხისმგებლობას ამძიმებს, კონსტიტუციის თანახმად, მას უკუქცევითი ძალა არ გააჩნია”**, – ამბობს ჭიჭინაძე და დასძენს, რომ, სანამ პირის ბრალეულობა დამტკიცებული არ არის, ბრალდებულისთვის ქონების ჩამორთმევის საკითხის განხილვა უკანონოა.

*24 საათი*

# მოსკოვი ბესლანის ტერაქტში კვლავ ქართულ კვალს ეძებს

რუსეთის სპეცსამსახურები ტერორისტულ კვალს ამჯერადაც საქართველოში ეძებენ. საქმე ისაა, რომ გაზეთ “Время новостей”-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რომელიც გაზეთს რუსეთის სპეცსამსახურებმა მიაწოდეს, სამართალდამცველებმა აღმოაჩინეს ბესლანის სკოლაში განხორციელებული შტურმისას დაღუპული ორი ტერორისტის ცხედარი. ჩატარებული იდენტიფიკაციის შემდეგ დადგინდა, რომ მოკლულ ტერორისტთაგან ერთი ჩრდილოეთ ოსეთის მკვიდრი, 17 წლის ადამ კუშტოვი იყო, ხოლო მეორე - 31 წლის ბურან იოსების ძე თეთრაძე. **“თეთრაძე საქართველოს ქალაქ რუსთავის მკვიდრია და რუსეთის სპეცსამსახურებისთვის მის შესახებ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ის რუსლან გელაევის პირადი გამცილებელი გახლდათ, როცა გელაევის მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა რუსეთ-საქართველოს საზღვარი გადაკვეთა, ახლა კი ის ბესლანში აღმოჩნდა,”** – ასეთი ინფორმაცია გაავრცელა “Время новостей”-ის მეშვეობით რუსეთის სპეცსამსახურმა.

საქართველოს უშიშროების სამსახური ბესლანის ტერაქტში საქართველოს მოქალაქის ბურან თეთრაძის მონაწილეობის და რუსეთის სპეცსამსახურების მიერ მისი ცხედრის ამოცნობის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს. ამ საკითხთან დაკავშირებით ჭეშმარიტების დასადგენად და ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში რეალური წარმატების მისაღწევად ქართული მხარე რუს კოლეგებს თანამშრომლობისკენ მოუწოდებს.

საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილის ბათუ ქუთელიას განცხადებით, არავითარი მონაცემები თეთრაძეზე, როგორც ტერორისტსა და გელაევთან დაახლოებულ პირზე, არც საქართველოს უშიშროების სამინისტროსა და არც სხვა სამართალდამცველ უწყებას არ მოეპოვება. მისივე თქმით, როგორც წესი, ორი ქვეყნის სპეცსამსახურებს შორის ინფორმაცია უნდა გაიცვალოს, არადა, ამ ფაქტის შესახებ შეტყობინება საქართველოს უშიშროების სამინისტროში რუსეთის სპეცსამსახურებიდან არ მიუღიათ.

**“რუსეთიდან არანაირი ოფიციალური ცნობა თეთრაძის ცხედრის ამოცნობასთან დაკავშირებით არ მიგვიღია. თუ რუსულ მხარეს ამგვარი ინფორმაცია გააჩნია, ის ვალდებულია, ამის შესახებ ოფიციალურად გვაცნობოს,"** - განაცხადა ბათუ ქუთელიამ.

ბესლანის ტერაქტში საქართველოს მოქალაქის მონაწილეობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამაც გააკეთა.

**"ტერორისტი შეიძლება ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე იყოს, მათ შორის, ქართული წარმოშობის, მაგრამ ამ ტრაგედიაში ქართული კვალის ძიება ქართველების ბინძური შეურაცხყოფაა,"** - განაცხადა ზურაბ ჟვანიამ, რომლის თქმითაც, **"საქართველო ანტიტერორისტულ კამპანიაში ჩართული ქვეყანაა, რომელიც აქტიურად ებრძვის ტერორიზმს. აქამდე განხორციელებულ მასშტაბურ ტერაქტებში კი, ძირითადად, რუსეთის მოქალაქეები მონაწილეობდნენ,”** – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

როგორც ცნობილია, ბესლანის ტერაქტთან ქართული კვალის დაკავშირების მცდელობა რუსეთის სპეცსამსახურებს ტერაქტის პირველივე დღეებში ჰქონდათ. იგივე მოხდა "ნორდ-ოსტის" ტერაქტის დროსაც, როდესაც რუსეთის სპეცსამსახურები პანკისური კვალის, ტერორისტთა მიერ აღებულ შენობაზე გადმოკიდებული საქართველოს დროშისა და სხვა ქართული დეტალების შესახებ ავრცელებდნენ ინფორმაციას. საქართველოს ტერორიზმთან დაკავშირება რუსეთის სპეცსამსახურების ტრადიციაა და ის ერთ რამეს ისახავს მიზნად, საერთაშორისო სარბიელზე საქართველოს, როგორც ტერორისტული იმიჯის მქონე ქვეყნის წარდგენას.

სხვათა შორის, ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევისა და რუსთავის დაკავშირება რუსეთის სპეცსამსახურებმა ერთხელ უკვე სცადეს, როცა ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციების სამმართველოს რეგიონული ოპერატიული შტაბის წარმომადგენელმა ილია შაბალკინმა განაცხადა, რომ გელაევმა ქალაქ რუსთავში დიდი სახლი იყიდა, გვარი გადაიკეთა და საქართველოს მოქალაქეობა მიიღო. შაბალკინის ეს სენსაციური ინფორმაცია საქართველოს უშიშროების სამინისტრომ კომენტარის ღირსადაც არ მიიჩნია.

*24 საათი*

## მოკლედ

### ძებნილი ყალბი პასპორტით მიმოდიოდა

გლდანი-ნაძალადევის რაიონის სამართალდამცველებმა გუშინ დიდი ხნის განმავლობაში ძებნილად გამოცხადებული ჯონდი მოწონელიძე დააკავეს. მოწონელიძეს პოლიცია 1992 წლიდან, გეგუთის კოლონიიდან რამდენიმე მსჯავრდებულთან ერთად გაქცევის დღიდან ეძებდა. სწორედ ის სახელდება ციხიდან მაშინდელი ჯგუფური გაქცევის ორგანიზატორად. ჯონდი მოწონელიძე გუშინ გლდანში, საკუთარ საცხოვრებელ ბინაში სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს. “შავი სამყაროს ერთ-ერთი სერიოზული ფიგურა, სერიოზული კრიმინალი, რომლიც ასევე სერიოზულ კრიმინალურ დაჯგუფებას ლიდერობს,” - ასე ახასიათებენ სამართალდამცველები სხვადასხვა დანაშაულისთვის წლების წინ რამდენჯერმე გასამართლებულ ჯონდი მოწონელიძეს.

ჩვენი ინფორმაციით, მოწონელიძემ სასჯელი პირველად ავტომანქანის გატაცების ბრალდებით მოიხადა, მეორედ – საკუთარი სიძის მკვლელობისთვის. ძებნაში ყოფნის დროს კი, როგორც პოლიცია ირწმუნება, დანაშაული მან ცაგერში ჩაიდინა – თავს დაესხა ცხვედიანების ოჯახს, დააყაჩაღა და ოჯახის წევრებს სასტიკად გაუსწორდა.

როგორც ირკვევა, იმ დროს, როცა მოწონელიძე იძებნებოდა, ძებნილი ყალბი საბუთებით – ტარიელ ვაშაყმაძის სახელზე გაფორმებული პასპორტით უპრობლემოდ და საკმაოდ ხშირად ტოვებდა საქართველოს ტერიტორიას. ჩვენი ინფორმაციით, ის დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე დაბრუნდა რუსეთიდან.

**24 საათი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** იმერეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა სხვისი ქონების უკანონოდ გასხვისებაში სს "საზანოს მარნის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სოფელ ზედა საზანოს საკრებულოს გამგებელი, ავთანდილ ჩ. ამხილეს.

როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, აღნიშნული პიროვნება ეჭვმიტანილია 2003 წლის ნოემბერში 8 600 ლარის ღირებულების დაყადაღებული ქონების უკანონო გასხვისებაში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, მეტროს სადგურ "წერეთლის" მიმდებარე ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღითა და დანით შეიარაღებული სამი პირი თავს დაესხა თბილისელ, 16 წლის ალექსანდრე გრუდინინს, რომელსაც მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და გასტაცეს 16 ლარი. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოსა და რკინიგზის ქვეგანყოფილების თანამშრომლებს, დანაშაულის ფაქტზე დაკავებისას, შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია ზემოაღნიშნულმა ბოროტმოქმედთა ჯგუფმა. ამ დროს ხელში დაიჭრა სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების ინსპექტორი, პოლიციის კაპიტანი იოსებ ბუტიკაშვილი.

საპასუხო სროლის დროს დაჭრილი და დაკავებულ იქნა თბილისში მცხოვრები, სამჯერ ნასამართლევი, ქურდული ტრადიციების მიმდევარი, 33 წლის დავით შაყულაშვილი, რომლისგანაც ამოიღეს დასაკეცი დანა. ასევე დააკავეს მეორე ბოროტმოქმედი, ზესტაფონის რაიონში მცხოვრები 35 წლის შალვა ნებიერიძე, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული მესამე ბოროტმოქმედი, ზესტაფონის რაიონში მცხოვრები, მრავალჯერ ნასამართლევი, ე. წ. "სვირის საძმოს" წევრი, 30 წლის ზვიად ხუსკივაძე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა პირველ საპყრობილეში პატიმრისათვის ნარკოტიკების შეტანის მცდელობის ფაქტზე 22 წლის ავთანდილ მ. დააკავეს. როგორც იუსტიციის სამინისტროდან გვაცნობეს, პაემანზე მისულ ავთანდილ მ-ს პირადი ჩხრეკისას ფეხსაცმელში დამალული 0,41 გრამი ჰეროინი აღმოაჩნდა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა. ბოლო პერიოდის განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართათვის ნარკოტიკების შეგზავნის ორმოცამდე ფაქტია გამოვლენილი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის განყოფილებამ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, მცხეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ოთხი ავტომანქანა დააკავა. ავტომანქანები 5 200 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების აღურიცხავი პროდუქციით იყო დატვირთული, რის გამოც ისინი ტერმინალშია გადაყვანილი და ტვირთს ექსპერტიზა უტარდება. გარდა ამისა, ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის სხვადასხვა რეგიონულმა განყოფილებებმა აღურიცხავი პროდუქციით დატვირთული რვა ავტომანქანა დააკავეს. ავტომანქანები საჯარიმო ავტოსადგომებზეა გადაყვანილი და ტვირთს ექსპერტიზა უტარდება, რაც კანონდამრღვევების მიმართ ჯარიმის ოდენობას განსაზღვრავს. **მედია-ნიუსი**


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

### ანკეტა

**სახელი, გვარი** ..........................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ..........................................

**საკონტაქტო ტელეფონი** ..........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ “24 საათის” მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის “გაპისა” და გაზეთ “24 საათის” ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "ხოფშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# საგამოძიებო ვადების შემცირება - ახალი საკანონმდებლო ინიციატივა

ანა დოლიძე

17 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტთან არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანი ქვეყანაში არსებულ საჭირბოროტო პრობლემების მიგვარებისათვის პრეზიდენტისათვის სამოქალაქო საზოგადოების მოსაზრებათა მიწოდება იყო. ერთ-ერთი თემა, რომლის განხილვასაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო, იყო საპატიმროებში გავრცელებული წამების ალმოფხვრის აუცილებლობა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა წამოჭრეს საპატიმრო დაწესებულებათა გადატვირთულობის საკითხი, რასაც ყველაზე ხშირად იქ მყოფ ბრალდებულთა არაჰუმანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა მოსდევს შედეგად. ხსენებული პრობლემის ალმოსაფხვრელად პრეზიდენტმა გამოხატა ინიციატივა, რომლის მიხედვითაც, წინასწარი გამოძიების ვადა 120 დღემდე უნდა შემცირდეს. წარმოდგენილი ინიციტივის მიხედვით, გამოძიების ვადის ამგვარ შემჭიდროვებას გამოძიების ორგანოთა უფრო ეფექტიანი მუშაობა და ბრალდებულის უფლებათა უკეთესი დაცვა უნდა მოჰყვეს, ვინაიდან, თუ პროკურატურა ვერ შეძლებს ამ დადგენილ პერიოდში გამოძიების დამთავრებას, პირი პატიმრობიდან გათავისუფლდება.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი შეხვედრა არ იყო პირველი, სადაც საგამოძიებო ვადების შემჭიდროვების თემა განიხილეობოდა. 2004 წლის მაისიდან, როდესაც რეალურად დაიწყო მსჯელობა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ცვლილების აუცილებლობაზე, სპეციალისტთა შორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად სწორედ გამოძიების ვადის გაგრძელება-არგაგრძელების საკითხი მოიაზრება.

წინადადების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტების უკეთესად გასაგებად, აუცილებელია, დავახასიათოთ, თუ დღეს არსებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით როგორ არის მოწესრიგებული ეს საკითხი და როგორია ფაქტობრივი მდგომარეობა.

დღევანდელი კანონმდებლობით, ბრალდებულის პატიმრობის ვადა გამოითვლება ეჭვმიტანილის სახით პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის ორგანოში მიყვანის მომენტიდან, ან სხვა შემთხვევებში მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლოს ბრძანების აღსრულების მომენტიდან. პატიმრობის ვადა წინასასამართლო სტადიაზე განისაზღვრება სამი თვით. საქმის გამოძიებაში დაბრუნებისას სასამართლოს შეუძლია, ეს ვადა კიდევ ერთი თვით გააგრძელოს. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს შესაძლებლობას, ბრალდებულის პატიმრობის ვადა ექვსი თვით გაგრძელდეს. საქმის სირთულის გამო უზენაესი სასამართლოს კოლეგიის მოსამართლეს, უფლებამოსილი პროკურორის თანხმობით, გამომძიებლის შუამდგომლობის საფუძველზე, შეუძლია, გააგრძელოს ბრალდებულის პატიმრობის ვადა რვა თვემდე, ხოლო გენერალური პროკურორის თანხმობის შემთხვევაში - ცხრა თვემდე.

სამწუხაროდ, ფაქტია, რომ საქართველოს სისხლის სამართალწარმოების რეალობაში წინასწარი პატიმრობა გამოიყენება როგორც ერთადერთი აღკვეთის ღონისძიება. პრაქტიკაში ძალიან ხშირად აღრეულია თვით "აღკვეთის ღონისძიების" კონცეფცია "საგამოძიებო მოქმედების" კონცეფციასთან; ამგვარი აღრევა და წინასწარი პატიმრობის, როგორც გამოძიების ხელშემწყობი ზომის, გაგება აბსოლუტურად მიუღებელია. სასამართლოები, წინასწარი პატიმრობის, უმეტეს შემთხვევაში, ფაქტობრივად, ნოტარიალური წესით დამოწმების პრაქტიკის მიუხედავად, სრული პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ წინასწარი პატიმრობის შეფარდებას და გამოიყენონ უმკაცრესი სტანდარტები იმისათვის, რომ პირს უკანონოდ ან გაუმართლებლად არ აღეკვეთოს თავისუფლება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეჯიბრებითი პროცესის პირობებში, როდესაც წინასწარი პატიმრობა სერიოზულად უზღუდავს ბრალდებულს საკუთარი გამოძიების წარმოებისა და დაცვის ეფექტურად მომზადების შესაძლებლობას.

საპროცესო კანონმდებლობის რეფორმის პროცესში ჩართულ სპეციალისტებს ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ. ექსპერტთა ერთი ნაწილის პოზიცია ემთხვევა პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ წინადადებას და ემხრობა წინასწარი გამოძიების ვადის ასეთ რადიკალურ შემცირებას. საზოგადოებრივი დისკუსიების დროს წარმოდგენილი იყო წინადადებები საგამოძიებო ვადის 100 დღით შემცირებასთან დაკავშირებით, მისი შემდგომი გაგრძელების უფლების გარეშე. მათი მოსაზრებით, გამოძიების მჭიდრო ვადებში მოთავსებით საგამოძიებო ორგანოები იძულებულნი იქნებიან, უფრო მეტი პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით მოეკიდონ გამოძიების პროცესს და მოახდინონ რესურსების სრული მობილიზაცია, რათა 3 თვეში მოახდინონ გამოძიების დასრულება და საქმის სასამართლოსათვის გადაცემა. საწინააღმდეგო შემთხვევაში, ვინაიდან არ არსებობს გამოძიების 3 თვეზე (100 დღეზე) მეტი ხნით გაგრძელების უფლება, ამ ვადის ამოწურვისთანავე ბრალდებული პატიმრობიდან თავისუფლდება.

გარდა ამისა, არგუმენტად წარმოდგენილია მოსაზრება, რომ საგამოძიებო ვადების საგრძნობლად შეზღუდვა წინასწარი პატიმრობის გამოყენებისას სერიოზული არჩევანის ქვეშ დააყენებს სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს, მოთხოვნილ იქნეს თუ არა წინასწარი პატიმრობის გამოყენება კონკრეტულ შემთხვევაში. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც წინასწარი პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებას, ისე საგამოძიებო ვადების ფაქტობრივ არარსებობას ან ალტერნატიული ზომების გამოყენებისას ხანგრძლივი ვადების არსებობას. ეს, თავისთავად, წამახალისებელი იქნება საგამოძიებო ორგანოებისათვის, მიმართონ წინასწარ პატიმრობას მხოლოდ განსაკუთრებულ, აბსოლუტურად აუცილებელ შემთხვევებში და, ამასთანავე, პრიორიტეტი მიანიჭონ წინასწარ პატიმრობაში მყოფ ბრალდებულთა საქმეებს. შესაბამისად, სასამართლოებიც ანალოგიურად შეზღუდულნი იქნებიან სასამართლო პატიმრობის შეფარდებისას და, ასევე, პრიორიტეტს მიანიჭებენ პატიმრობაში მყოფ პირთა საქმეებს.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ამ პოზიციას არ იზიარებენ და მიიჩნევენ, რომ ვადების ასეთი შემცირება გაუმართლებელია და გამოძიების პროცესში არსებულზე უფრო მეტ დარღვევებს შეუწყობს ხელს. კერძოდ, პროკურატურის წარმომადგენელთა აზრით, ასეთი ცვლილება გამოძიების ორგანოებს, რომელთაც ისედაც აწუხებთ რესურსების უკმარისობის პრობლემა, გაუმართლებელი წნეხის ქვეს მოაქცევს და იძულებულს გახდის, რომ გამოძიების დადგენილ ვადაში დასრულების გამო, ათასგვარ ხრიკსა და უკანონო გამოსავალს მიმართონ. ეს, თავის მხრივ, ბრალდებულის უფლებრივ მდგომარეობასაც გაართულებს.

გარდა ამისა, არაერთხელ იქნა წამოყენებული მოთხოვნა შემოთავაზებული ცვლილების დაკონკრეტების თვალსაზრისით. ჩნდება კითხვა – 100-დღიანი საგამოძიებო ვადა შეეხება მხოლოდ ისეთ საქმეებს, სადაც ბრალდებული პატიმრობაში იმყოფება, ანუ მცირდება პატიმრობის ვადა, თუ ცვლილება ეხება მთლიანად წინასწარ გამოძიებას, მიუხედავად იმისა, გამოძიების პერიოდში ბრალდებული წინასწარ პატიმრობაშია თუ მის მიმართ გამოყენებულია აღკვეთის სხვა ღონისძიება. ეს კითხვა, ძირითადად, მომდინარეობს იქიდან, რომ ვადების შემცირებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ინიციატივაზე საუბარი სხვადასხვა წრეებში უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს, თუმცა, ჯერჯერობით, არ არსებობს საზოგადოებრივი განხილვისათვის წარმოდგენილი წერილობითი სახის კონკრეტული ინიციატივა, რომლიც გარშემოც სპეციალისტთა აზრების გამოთქმა მოხდება.

გარდა ამისა, აღსანიშნავია პროკურატურის მუშაკთა პოზიცია. მათი მოსაზრებით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში უნდა იქნას შენარჩუნებული სხვაობა საქმეებს შორის მათი სიმძიმის მიხედვით. შესაბამისად, გარკვეული მძიმე კატეგორიის, მრავალეპიზოდიანი საქმეების გამოძიებისათვის უნდა იყოს დაწესებული განსხვავებული საგამოძიებო ვადები. ისინი ამ მოსაზრებას ფაქტობრივი რეალობითაც ასაბუთებენ – დანაშაულები განსხვავდება სიმძიმით, ისევე, როგორც სირთულით. აგრეთვე, არსებობს დანაშაულთა კატეგორია, რომელთა შორისაც აღსანიშნავია ორგანიზებული დანაშაულებები, რომელთა გამოძიებისათვის 3 თვე საკმარისი ვერ იქნება. მეორე მხრივ, არსებობს მარტივი დანაშაულიც, რომლის გამოძიებისათვის 3 თვე საჭირო სულაც არ არის და რომელთა გამოძიებაც ვადის გასვლამდე ბევრად ადრე შეიძლება დასრულდეს. სწორედ ამ რეალობის დაფიქსირებას მიიჩნევენ ისინი საჭიროდ ახალ საპროცესო კანონმდებლობაში და, შესაბამისად, მიუთითებენ, რომ აუცილებელი გამონაკლისის წესით, განსაკუთრებით რთული საქმეებისთვის საგამოძიებო ვადის გაგრძელების საშუალება უნდა შენარჩუნდეს.

ამასათან, არსებობს მოსაზრებაც, რომ საგამოძიებო ვადის შემცირების აუცილებლობა არ არსებობს. შენარჩუნებული უნდა იყოს არსებული 9 თვიანი საგამოძიებო ვადა, მიუხედავად იმისა, იმყოფება თუ არა ამ პერიოდში ბრალდებული პატიმრობის ქვეშ, ვინაიდან ეს 9 თვე გამოძიების კანონიერად და სრულყოფილად წარმართვისათვის აუცილებელია.

გარდა ამისა, ხშირად გამოითქმის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რეფორმის წარმატების საკითხი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ საგამოძიებო ვადის შემცირებასთან ერთად, რამდენად გაუმჯობესდება საგამოძიებო ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები. იმ შემთხვევაში, თუ გამოძიების ორგანოები უზრუნველყოფილნი იქნებიან გაუმჯობესებული ტექნიკით, დაკომპლექტებულნი იქნებიან საჭირო რაოდენობის კომპეტენტური შტატით, გაიზრდება გამოძიების ეფექტიანობა და მოისპობა წინასწარი გამოძიებისათვის ხანგრძლივი ვადის არსებობის აუცილებლობაც.

ზემოთჩამოთვლილ მოსაზრებათა გარდა, რომელიც, ძირითადად, გამოხატულია საგამოძიებო ორგანოების მუშაკთა მხრიდან, არსებობს ალტერნატიული მოსაზრებაც წინასწარი გამოძიების 6-თვიანი ვადის დაწესების შესახებ. ამ მოსაზრების მომხრე იურისტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პრაქტიკაში დიდ პრობლემას წარმოადგენს წინასასამართლო და სასამართლო პატიმრობის ვადების უხეში დარღვევა და სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, ამ ვადების შემცირებაა საჭირო. ამასთან, სრულყოფილი საბრალდებო დასკვნისთვის 100-დღიანი გამოძიების ვადა ზოგიერთ რთულ და მრავალეპიზოდიან საქმეში აშკარად არ არის საკმარისი. შესაბამისად, ეს შეთავაზება, გარკვეულწილად, კომპრომისული ვარიანტია 100-დღიან და 9-თვიან ვერსიებს შორის. ამ მოსაზრების მომხრეები მიიჩნევენ, რომ გამოძიების საწარმოებლად სავსებით საკმარისია 6-თვიანი ვადა, რადგან სწორედ ეს პერიოდი შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს.

ამ წინადადების მიხედვით, პირველადი წინასწარი პატიმრობის ვადა მოსამართლის მიერ უნდა განისაზღვროს 2 თვით, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ, უფლებამოსილი პროკურორის დასაბუთებული შუამდგომლობით, საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეს შეუძლია, ბრალდებულის პატიმრობის ვადა კიდევ 2 თვით გააგრძელოს, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი, გამონაკლისის სახით, გენერალური პროკურორის ან მის მოადგილის შუამდგომლობით, საოლქო სასამართლოს კოლეგიას სამი მოსამართლის შემადგენლობით, შეუძლია კიდევ 2 თვით გააგრძელოს. ე. ი. წინასასამართლო პატიმრობის ვადების მაქსიმალური ზღვარი უნდა განისაზღვროს 6 თვით. ამასთან, თითოეული 2 თვის ამოწურვის თავზე უნდა გადამოწმდეს წინასწარი პატიმრობის შეფარდების საფუძვლები და სამართლიანობა.

მოსამართლეთა კორპუსს, პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, ალტერნატიული მოსაზრება გააჩნია. ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველოშიც უნდა იყოს დანერგილი დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში არსებული "გონივრული ვადის" სტანდარტი. მით უმეტეს, რომ ასეთი სტანდარტი მიღებულია ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მიერ და იურისპრუდენციაში არაერთხელ არის განმარტებული. ამ შემთხვევაში, გამოძიების წარმოებისათვის დაწესებული უნდა იყოს "გონივრული ვადა", როდესაც ბრალდების მხარეს ექნება უფლებამოსილება, თავად გადაწყვიტოს, თუ დროის რა პერიოდია საჭირო მოცემული დანაშაულის გამოძიებისათვის. თუმცა, ამ უფლებას, აგრეთვე, მოსდევს სამსახურებრივი პასუხისმგებლობაც, ვინაიდან ბრალდებულის საჩივრის საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტს, თუ რამდენად აუცილებელი იყო ამ კონკრეტული დანაშაულის გამოძიებისათვის გამოძიების ორგანოების მიერ დადგენილი დრო. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დანაშაულის გამოძიებისათვის აუცილებელი არ იყო ბრალდებულის განსაზღვრული ვადით პატიმრობა, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს უკანონო პატიმრობისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

თუმცა, "გონივრული ვადის" პრინციპის დაწესების შემთხვევაშიც კი, აუცილებელია გამოძიების მაქსიმალური ვადის განსაზღვრა, რომლის ამოწურვის შემდეგაც, ბრალდებული გათავისუფლდება. ამ შემთხვევაში, მაქსიმალური ვადა შეიძლება იყოს 9 ან 6 თვე.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმაზე მუშაობის პროცესში ამ საკითხთან დაკავშირებით გაცხოველებული დებატები მიმდინარეობს. სხვადასხვა მოსაზრებათა მომხრეების თანხმდებიან, რომ აუცილებელია, დაკონკრეტდეს წარმოდგენილი ინიციატივა. აქ საუბარია გამოძიებისა თუ პატიმრობის ვადის შემცირებაზე, ინიციატივა ყველა კატეგორიის საქმეების გამოძიებას ეხება თუ კვლავ შენარჩუნდება დანაშაულთა კატეგორიზაცია და თითოეული კატეგორიის დანაშაულისათვის სხვადასხვა ვადა იქნება დაწესებული. გარდა ამისა, მოსდევს თუ არა საგამოძიებო ორგანოთა პასუხისმგებლობის გაზრდას მათი მატერიალური საშუალებების პარალელური ზრდა. სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, მხოლოდ ამ და სხვა საკითხების დაზუსტების შემდეგ გახდება შესაძლებელი საკითხის უფრო საგნობრივი და ნაყოფიერი განხილვა.

მომზადებულია "ღია საზოგადოება - სამართლიანი ინიციატივის" ფინანსური მხარდაჭერით

# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - უმაღლესი განათლების კანონპროექტის განხილვის შესახებ

საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქვეყნის განათლების სტრატეგიის განსაზღვრას, ძნელია თავისი მნიშვნელობით და დანიშნულებით რაიმე მოვლენა შეადარო. ეს ხომ ფუნდამენტია, რასაც ათეული, შესაძლოა ასეული წლების მიღმაც დაეფუძნება საზოგადოებრივი ცნობიერება, მთლიანად სახელმწიფოს მომავალი. ეს ის გზაა, რომელმაც ტაძრამდე უნდა მიგვიყვანოს. სწორედ ამიტომ მას განსაკუთრებული შერჩევა სჭირდება. ამასთან, ძლიერ უნდა ვიჩქაროთ, დროულად უნდა მივიღოთ სწორი გადაწყვეტილება, რადგან თითოეული დაგვიანებული ნაბიჯი შესაძლოა, საბედისწეროც აღმოჩნდეს მომავლის პერსპექტივისათვის. ბოლო ხანს ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში დამკვიდრდა აზრი - მოწინავე ქვეყნებს იმიტომ აქვთ განათლების კარგი სისტემა, რომ მასში დიდი თანხები აქვთ განთავსებული. ვფიქრობ, აღნიშნული ქვეყნები სწორედ იმიტომ არიან მოწინავეები და მდიდრები, რომ მოწინავე და ეფექტური განათლების სისტემები გააჩნიათ.

როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა და ქვეყნის ხელისუფლებამ განათლება სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულად გამოაცხადა, უპირველესი განზრახვა განათლების სისტემის გაზრდილი დაფინანსება კი არა, თვით სისტემის ძირეული ცვლილება, მისი ფუნდამენტური პრინციპების რეორიენტაცია, მართვის, დაგეგმვის და მონიტორინგის საფუძვლების რეფორმირება იყო.

შესაძლოა, საზოგადოების ფართო წრეებში კანონპროექტს უმაღლესი განათლების შესახებ ისეთი მძაფრი ვნებათაღელვა და აზრთა ჭიდილი არც გამოეწვია, რისი ერთადერთი მიზეზი რიგ შემთხვევებში მხოლოდ განათლების სისტემაზე ზრუნვა არც იყო, განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროექტის პირვანდელი ვარიანტი საჯარო განხილვისთვის ხელმისაწვდომი რომ არ გაეხადა. მოვლენათა მსვლელობამ დაადასტურა ამ გადაწყვეტილების სისწორე. განხილვებისა და დებატების თითქმის ნახევარი წელი, გუშინწინ შეჯერდა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტში.

საკომიტეტო განხილვა საკმაოდ კონსტუქციული, აკადემიური, საგნობრივი ხასიათის იყო. ბევრი საგულისხმო, დასაბუთებული აზრი თუ შენიშვნაც გამოითქვა, როგორც პარლამენტარების, ასევე აკადემიური წრეების წარმომადგენელთა მიერ. განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მკაფიოდ, ლაკონურად და მოთმინებით განმარტავდა ამ უმნიშვნელოვანესი კანონპროექტის თითოეულ ასპექტს. ბუნებრივია, იყო დიდი შინაგანი ღელვა, რადგანაც განხილვის მონაწილეებს გაცნობიერებული ჰქონდათ ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც კანონპროექტის მიღების მნიშვნელობას უკავშირდებოდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობენ აღნიშნული კანოპროექტის განხილვასთან დაკავშირებით, რასაც თავისი წინაპირობები აქვს: 2001 წელს თსსუ-ში სწავლების ევროპული კრედიტ-სატრანსფერო სისტემა დაინერგა ყველა ფაკულტეტზე, რასაც წინ უძღოდა არაერთი ვიზიტი საერთაშორისო საგანმანათლებლო ასოციაციებსა და ორგანიზაციებში, უცხოელ ექსპერტთა მოწვევა, კონსულტაციები, ვრცელი მიმოწერა ევროპულ უნივერსიტეტებთან, ინფორმაციები უცხოეთში მოღვაწე ჩვენი კურსდამთავრებულებისგან. ამ სიახლეს არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა, მით უმეტეს, რომ მის დანერგვასთან დაკავშირებით მკვეთრად შემცირდა სასწავლო საათების რაოდენობა, 17 კათედრა რეორგანიზებული იქნა, შემცირდა სასწავლო - დამხმარე პერსონალის რიცხვიც. სასწავლო გეგმებში გაჩნდა ასარჩევი და ფაკულტატური დისციპლინები, შეიცვალა სასწავლო გეგმები და პროგრამები, სტუდენტების პასუხისმგებლობა გაიზარდა სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან მიმართებაში. ტრანსფორმაცია განიცადა შეფასების სისტემამ. ათწლეულების მანძილზე არსებული ე.წ. სახელმწიფო გამოცდების საბჭოთა წესი ჩავანაცვლეთ უმაღლესი სამედიცინო განათლების საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისი საეტაპო გამოცდებით, რაც გულისხმობს სწავლების თითოეული ეტაპის (საბაზისო, კლინიკური) შემდეგ კომბინირებული, ინტეგრირებული, კომპლექსური, ტესტირებული, კომპიუტერიზებული გამოკითხვის ჩატარებას, რომლის შეფასებასაც თვით სტუდენტები ახდენენ ადმინისტაციის ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

უმაღლესი განათლების რეფორმის ერთი სტრატეგიული მიმართულება უმაღლესი სკოლების აკრედიტაციის პროცესს უკავშირდება. დანაშაულებრივად გაჭიანურებულმა აღნიშნულმა პროცესმა სამწუხარო რეალობის წინაშე დააყენა ქვეყანა, რაც სწავლების ხარისხის უკიდურესად დაბალ მაჩვენებლებში გამოიხატა. ევროკავშირის სწავლების ხარისხთან დაკავშირებულ ცნობილ საგანმანათლებლო პროექტში -"სოკრატესი" გამარჯვებას თსსუ-ს ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის ინსტიტუციური შეფასების პროგრამაში მონაწილეობა მოჰყვა. ევროექსპერტთა საბოლოო დასკვნა, რომელიც 2003 წლის ნოემბერში ქვეყნის მთავრობასა და პარლამენტს დაეგზავნა, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ ჩვენი უმაღლესი სკოლისთვის, არამედ საზოგადოდ ქვეყნის განათლების სისტემისათვის, რამდენადაც იგი გამომდინარეობდა ბოლონიის პროცესის ფუძემდებლური პრინციპებიდან და ევროსაგანმანათლებლო არეალში ინტეგრაციის აუცილებელ მოთხოვნებს შეიცავდა. რასაკვირველია, ლოგიკურია ის გარემოება, რომ პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტის ძირითადი პარამეტრები სრულ შესაბამისობაშია ავტორიტეტულ ევროპელ ექსპერტთა რეკომენდაციებთან, რომელთა განხორციელებასაც თსსუ-ში დიდი გულისყურით ეკიდებიან.

სტუდენტთა დამოუკიდებელი საქმიანობა, მათი სულ უფრო მზარდი ჩართვა სასწავლო პროცესის ორგანიზებაში, სწავლების უახლესი ტექნოლოგიები - სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა მუშაობა თსსუ-ში უკანასკნელი წლების მანძილზე. შეიქმნა ოპტიკუ-ბოჭკოვანი კავშირებით აღჭურვილი ჰიბრიდული (წიგნად-ციფრული) ბიბლიოთეკა, მაღალი მსგავსების სიმულატორებით დაკომპლექტებული კლინიკური ჩვევების სწავლების უნიკალური ცენტრი, უმრავლეს კათედრებზე ამოქმედდა კომპიუტერული კლასები მულტიმედიური სასწავლო პროგრამებით, ასეულებს მიაღწია ყოველწლიურად პარტნიორ ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებში სტუდენტთა და პედაგოგთა სტაჟირებასა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეთა რიცხვმა, მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს დისტანციური სწავლების დასანერგად, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო საბჭოების შემადგენლობაში შევიდნენ სტუდენტები და რიგითი არჩევითი წევრები, საინტერესო და მრავალფეროვანი გახდა სტუდენტური ცხოვრება. მეორე წელია, ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის და პერსპექტიული დაგეგმარების საუნივერსიტეტო დეპარტამენტი. უნივერსიტეტმა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ წამოაყენა წინადადება დაფინანსების წესის ცვლილებაზე, რისი ძირითადი პრინციპებიც თითოეულ სტუდენტზე გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსება გახლდათ, რადგან იმთავითვე ცხადი იყო, თუ რა არაეფექტურად მოქმედებდა უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების არსებული წესი.

თსსუ-ში კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ცალკე აღებულ ერთ უმაღლეს სკოლაში, თუნდაც ყველაზე სკრუპულოზური ევრომონიტორინგის პირობებში განხორციელებულ წარმატებულ გარდაქმნებს არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია, თუ მთლიანად ქვეყნის განათლების სისტემა, მისი ორგანიზაცია, მართვა, დაფინანსება, განვითარების სტრატეგია სტაგნაციის პირობებში გააგრძელებდა არსებობას. ამიტომ აუცილებელი იყო სწორედ ახლა მომხდარიყო განათლების სისტემის ძირეული რეორგანიზაცია, მისი ახალი საკანონმდებლო ფუნდამენტის შექმნა.

უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტობას კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ თუნდაც ყველაზე თანამედროვე, გამართული კანონპროექტი არ ნიშნავს უპირობოდ რეფორმის წარმატებას, მას ყოველდღიური ინტენსიური მუშაობა ესაჭიროება; უმაღლესი სკოლის მენეჯმენტის ცვლილებას აუცილებლად უნდა დაერთოს ცვლილებები სწავლებასთან მიდგომებში, საზოგადოების თითოეული წევრის მენტალიტეტში, რადგან ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრას ყველა ის მანკიერება, რაც ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოების ყოფიერების დღევანდელ ანარეკლს წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში სწავლების ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიების, უახლესი ბიბლიოთეკების, ლაბორატორიების თუ მაღალკვალიფიციური პედაგოგ-მასწავლებლების არსებობის პირობებშიც კი ყველანაირი რეფორმა თუ განვითარების, პროგრესის პერსპექტივა, დასაღუპად იქნება განწირული.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში კანონპროექტის განხილვას საქმიანი წინადადებები და შენიშვნები ახლდა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა სრულად იქნა გაზიარებული. ეს გარემოება, ფაქტობრივად, პროექტის თანაავტორებად გვაქცევს, რაც ორმაგად ზრდის ჩვენი პასუხისმგებლობის გრძნობას, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ 2001 წლიდან ვმონაწილეობდით ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" მიერ ორგანიზებულ საექსპერტო ჯგუფში, რომელიც ქვეყნის განათლების სისტემის განვითარების ძირითად მიმართულებსა და განათლების ახალ კანონპროექტზე მუშაობდა. ვფიქრობ, რომ 2004 წლის 17 ნოემბერი ისტორიული მოვლენა იყო არა მხოლოდ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის წევრების, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელობის და მოწვეული სტუმრებისთვის, არამედ თითოეული ქართველისთვის, ვისთვისაც ძვირფასია ქვეყნის მომავალი, მისი ხვალინდელი დღე, რაც უშუალო კავშირშია უმაღლესი განათლების ეფექტურ, განვითარებულ, მძლავრ, პროგრესულ სისტემასთან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები იწონებენ და მხარს უჭერენ უმაღლესი განათლების კანონპროექტს და მიაჩნიათ, რომ მისი ეფექტური განხორციელება თითოეული ჩვენგანის წარმატების საწინდარია.

*თსსუ რექტორატის სახელით,*

*პრორექტორი სასწავლო დარგში,*
*მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ზ. ავალიანი*

ახალი საქართველოსთვის!



მე მიშამ არაფერი მაჩუქა...

B3

რონალდო დაიკარგა



B4

ჩინური ლაოკოონი ტაივანს



B5

ნომრის სტუმარი

# ქვეყანას ფეხზე ვერ დავაყენებთ

## დიდი რისკი თუ არ გავწიეთ

მაია ჭალაგანიძე

*ერთი წელი პოლიტიკური შეფასებებისა და რევოლუციური რყევებისგან გამოსვლისთვის ცოტაა. ცოტაა აგრეთვე გლობალური, შორს გამიზნული ცვლილებებისთვის, მაგრამ ამ ქვეყანაში მცხოვრები თითოეული ადამიანისთვის, რომელიც ხელშესახებ შედეგებს ელოდება, ეს დრო უსასრულოდ ბევრია. დღეს ეს სამეული და ახლა უკვე ხელისუფლებაში მოსული მათი აქტიური თანამებრძოლები, ბუნებრივია, დიდად განსხვავდებიან იმისგან, რაც ერთი წლის წინ ამ დროს, სახელისუფლებო ვერტიკალური შესაძლებლობების გარეშე იყვნენ. რა შეიცვალა მათში - საზოგადოების პრობლემები არის თუ არა ისევე ახლობელი და გასაგები, როგორც ადრე? ხელისუფლებაში მყოფნი გრძნობენ თუ არა იმ მორალურ საფრთხეებს, რაც მათ შეიძლება დაემუქროთ? კვლავ მკაფიოდ ხედავენ თუ არა სახელმწიფოში მიმდინარე ცუდ მოვლენებს, ხომ არ იბადება მათში ახალი ოდიოზური ფიგურები... ყოველი შეკითხვა გარკვეულ ბრალდებასაც შეიცავს და მათზე პასუხის გაცემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სწორედ ამ საზეიმო დღეებშია.*
*პარლამენტის თავჯდომარე ნინო ბურჯანაძე განვლილი თითქმის რეაქტიული წლის შესახებ.*

**- ერთი წელი გავიდა, დადგა საფუძვლიანი შეფასებების დრო?**

- ცხადია, ერთი წელი ცოტაა იმისთვის, რომ ობიექტურად შეაფასო მოვლენები. იმითაც რთულია, რომ ამ პროცესის მონაწილენი ვართ და ობიექტური შეფასება წლების შემდეგ იქნება შესაძლებელი, მაშინ, როდესაც ყველაფერი დალაგდება და ადამიანები ცივი გონებით შეხედავენ შარშანდელ მოვლენებსაც და ამ ერთ წელსაც. მაგრამ, იმის შეფასება, რაც ზედაპირზე დევს, უკვე შეიძლება.

**- მოარული ფრაზაა, რომ რევოლუციებს იმედგაცრუება მოსდევს. ეს ის დოზაა იმედგაცრუებისა, რასაც ელოდით?**

- რევოლუციების შემდეგ, თუნდაც წარმატებული პროცესების შემთხვევაში, ადამიანების გარკვეულ ნაწილს, ცხადია, იმედგაცრუების შეგრძნება აქვს. რევოლუცია ხომ რადიკალიზმს ნიშნავს, ეს კი ყოველთვის მაქსიმალიზმია და ადამიანებს აქვთ უზარმაზარი მოლოდინი, რომ ყველაფერი ისევე სწრაფად და წარმატებულად დაგვირგვინდება, როგორც რევოლუცია. მაგრამ ბუნებაში მსგავსი რამ არ მომხდარა. ნამდვილად არ ვარ იმედგაცრუებული, თუმცა, არც ის მინდა, ისეთი გრძნობა დაგრჩეთ, რომ ხელისუფლება თვითკმაყოფილებას მიეცა. ასე ნამდვილად არ არის. შეიძლება, ბევრ რამეს კრიტიკულად შეხედო, მაგრამ ამ ერთი წლის განმავლობაში რომ ბევრი რამ გაკეთდა, ხომ შესამჩნევია?! რევოლუციაზე ათასი რამ ითქვა და ბევრჯერ დავრწმუნდით, რომ ის, რაც მოხდა, გარდაუვალი და მართლაც მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. უამრავი ექსპერტი ამბობდა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნება, ეს კი - მოხერხდა. სრულიად ახალგაზრდა ხელისუფლებამ (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) მოახერხა, რომ ქვეყანა რევოლუციის ქარცეცხლში არ გაეხვია და რევოლუციურ რეჟიმზე არ გადავიდა, თუმცა ამგვარი რეჟიმი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნამდვილად არსებობდა. გახსოვთ, ბევრი ჩვენდამი კეთილგანწყობილი ადამიანი და ოპონენტიც ამბობდა, რომ დაიწყებოდა არეულობა, საზოგადოება დაიყოფოდა, რომ სამოქალაქო ომი გველოდა, მაგრამ, ღვთის წყალობით, ხელისუფლებისა და ხალხის მეშვეობით, ცოტად თუ ბევრად, ეს პროცესი დალაგდა.

ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე თვეში ხელფასებისა და პენსიების დროულად დარიგება და დავალიანებების დაფარვა დაიწყო. პენსიებმა და ხელფასებმა მცირედ, მაგრამ მოიმატა. რა თქმა უნდა, ადამიანები ვერ იქნებიან ბედნიერები იმით, რომ 14 ლარის ნაცვლად თუნდაც 17, 20, ან 25 ლარი აქვთ, მაგრამ, ხომ არის ტენდენცია უკეთესობისკენ?!

ყველაზე მეტად ხალხის მოლოდინის გაცრუებისა მეშინია, ძალიან ფრთხილი ვარ დაპირებებში. კარგად მახსოვს, წინასაარჩევნო შეხვედრებისას და რევოლუციის პერიოდშიც, როდესაც მოსახლეობასთან ჩავდიოდით, ვეუბნებოდით, რომ აუცილებლად გადავდგამდით რადიკალურ ნაბიჯებს, მაგრამ ერთ წელიწადში ქვეყანა ვერ აყვავდება. უმრავლესობას ეს ესმოდა. გვეუბნებოდნენ: იბრძოლეთ კორუფციასთან, თუნდაც ეს მცირე ხელფასები დაარიგეთ, ოღონდ დაგვანახეთ, რომ ქვეყანა უკეთესობისკენ მიდისო.



ბესო გულაშვილის ფოტოები

**შეცდომებზეც ვისწავლეთ, კონკრეტულ ნაბიჯებზეც, მაგრამ ქვეყნისთვის ტრაგიკული შედეგების მომტანი ნაბიჯები არ გადაგვიდგამს.**

**ძლიერი ოპოზიციის არსებობის მომხრე ვარ, მაგრამ იმედი მაქვს, არ დავუშვებთ ისეთ შეცდომებს, რომ ოპოზიცია სერიოზულად გაძლიერდეს.**

**ალბათ, შეიძლება ამ ყველაფრის უკეთ გაკეთება, მაგრამ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ასეთ ძალას ვერ ვხედავ.**







**- ახლა რას გეუბნებათ ხალხი?**

- ძალიან ბევრი ისევ ასე ამბობს. პრეზიდენტით დაწყებული, ნებისმიერი არაპოლიტიზებული ადამიანით დამთავრებული, ყველას სურს, რაც შეიძლება მეტი გაკეთდეს. მაგრამ გვესმის, რომ ეს რთულია. შარშან ამ დროს ფიქრიც არ შეიძლებოდა იმაზე, რომ 2-3 თვეში ხელისუფლება ხელფასებისა და პენსიების დროზე გაცემას დაიწყებდა. ბიუჯეტის გაორმაგებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. კარგად მახსოვს 1 წლის წინანდელი მდგომარეობა ჯარში, როცა მშრალი საკვების 3 დღის მარაგი იყო დარჩენილი და ჯარისკაცებს ცალ-ცალი ჩექმა ეცვათ. როცა პრეზიდენტის მოვალეობას ვასრულებდი, რუსეთის ვიზიტამდე პანკისის მოსანახულებლად წავედი, რათა დამეთვალიერებინა, როგორ ვიცავთ საზღვარს და როგორ ვაკონტროლებდით პანკისს. იქ ნანახმა შემძრა - არსებობს კადრები, როგორ იყვნენ ჯარისკაცები საზაფხულო ფორმით სიცივესა და თოვლში. დღეს ჯარს არ შია, აცვია, ახურავს.

**- რისი ხილვა გინდოდათ კიდევ ამ ერთ წელიწადში?**

- მეტის გაკეთების სურვილი ყოველთვის არის. 2 დღის წინ ქუთაისში ვიყავი. უკანასკნელი 2 კვირის გნმავლობაში ელექტროენერგიით მომარაგება გართულდა, რასაც ავტომატურად მოჰყვა წყლის პრობლემა. ბევრი პრობლემაა, მაგრამ ვფიქრობ, რომ მოსახლეობამ, იმან მაინც, ვისაც თვალის დახუჭვა არ სურს, მთავარი დაინახა - ხელისუფლება ცდილობს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დანაპირები შეასრულოს. ჩვენ რეალურად შევებრძოლეთ კორუფციას, მაგრამ არავინ ამბობს, რომ მთლიანად აღმოვფხვერით. კორუფციის დონე საგრძნობლად შემცირდა და ფაქტია, რომ ყველას ებრძვიან, ვისაც რაიმე კორუფციულ ქმედებას შენიშნავენ - ჩვენი თანაგუნდელი იქნება ის თუ არა.

**- ხომ არ ამჩნევთ ახალი კორუმპირებული, ოდიოზური ფიგურების ჩამოყალიბების ტენდენციას მაღალი ეშელონების გამოჩენილ რევოლუციონერებში?**

- ასეთი ფიგურების დროდადრო გაჩენას არ გამოვრიცხავ, მაგრამ დღეს ამგვარი ინფორმაცია არ მაქვს. გარწმუნებთ, რომ თუ ასეთი რამ მოხდა, მათ ხელს არავინ დააფარებს. როგორც თქვენ ბრძანეთ, გამოჩენილ რევოლუციონერებს, ხელმძღვანელებს, პოლიტიკურ ფიგურებს შორის თუ ვინმე გამოჩნდება ისეთი, ვინც სილას გააწნავს ხალხს და თითოეულ ჩვენგანს - არა მგონია, რომ ვინმემ და, პირველ რიგში, პრზიდენტმა მას ხელი დააფაროს. მიშა სააკაშვილი ნამდვილად არ არის ის ადამიანი, ვინც გვერდით კორუმპირებულ ჩინოვნიკს მოითმენს, თუ მას ექნება დადასტურებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის ადამიანი კორუმპირებულია.

**- თეორიები და სწავლებები არსებობს იმის შესახებ, თუ როგორ არ უნდა გაფუჭდეს ხელისუფლება. თუ გაქვთ ამისგან დამცავი საკუთარი მეთოდები?**

- არ უნდა მიეცე თვიკმაყოფილებას, მაქსიმალურად უნდა ეცადო, რომ მიიღო ობიექტური ინფორმაცია და ადამიანს არასდროს არ უნდა აგრძნობინო, რომ ის შენთვის არასასიამოვნო ინფორმაციას გაწვდის. შეცდომები ყოველთვის არ არის ხელისუფლებისა და მაღალი თანამდებობის პირების ბრალი. ეს მათ ირგვლივ მყოფი ადამიანების ბრალიც ხშირად არის ხოლმე. როდესაც გატყობენ, რომ ერთი-ორჯერ არ გესიამოვნა ამბავი, ცდილობენ, აღარ მოგაწოდონ ობიექტური ინფორმაცია, ან არ იწუხებენ თავს და დისკომფორტს არ იქმნიან.

ჩვენ, თანაგუნდელებს შეგვიძლია, ძალიან მწარე სიმართლე ვუთხრათ ერთმანეთს და ცხადია, ამას სასიამოვნოდ, გაღიმებული სახით არ ვაკეთებთ ხოლმე, მაგრამ, მაინც ვისმენთ. ყველაზე მთავარია, ერთმანეთის მიმართ კრიტიკულობის განცდა არ დავკარგოთ. შეიძლება, ეს კრიტიკა ზოგჯერ არაობიექტურიც იყოს, მაგრამ სჯობს, იყოს არაობიექტური და გულწრფელი, ვიდრე იყოს არაგულწრფელი.

**- არის ისეთი თემები, რის შესახებაც მხოლოდ თქვენ, პრეზიდენტი და პრემიერი საუბრობთ?**

- არის საკითხები, რომელიც პრემიერმა და პრეზიდენტმა უნდა გადაწყვიტონ, ან რომელიც პარლამენტის თავმჯდომარისა და პრეზიდენტის პრეროგატივაა. არსებობს საკითხები, რომელსაც სამივეს ყოფნა სჭირდება.

**- და ასეთი შეხვედრები გულწრფელ გარემოში იმართება?**

- ყოველთვის აბსოლუტურად გულწრფელი ვარ. გარემო ნორმალურია. პრეზიდენტს ყოველთვის იმას ვეუბნები, რაც სწორად მიმაჩნია. შეიძლება, ვცდებოდე, მაგრამ მჯერა, რასაც ვამბობ.

არასდროს არ მოვითხოვ ჩემი მოსაუბრისგან, რომ ჩემი ნათქვამი ჭეშმარიტების ბოლო ინსტანციად მიიღოს. ეს შეიძლება საკუთარ შვილებს მოვთხოვო და ისიც ყოველთვის არა. ადამიანებს ვთხოვ, ყოველთვის კრიტიკულად შეაფასონ ჩემი ნათქვამი და ისე მიიღონ გადაწყვეტილება. ყოველთვის ვცდილობ, გულწრფელი ვიყო. ეს კარგად იცის პრეზიდენტმა და რამდენადაც ვგრძნობ, აფასებს კიდეც ამას.

**- ამ ერთ წელიწადში სამეული გაიზარდა?**

- მგონი, კი. ამ წელიწადში ბევრი რამ დავინახეთ და ვისწავლეთ. ხანდახან არაპოპულარულია იმის თქმა, რომ თან ისწავლე - შეიძლება, ეს ვინმეს არ მოეწონოს, მაგრამ ადამიანი სიცოცხლის ბოლომდე უნდა სწავლობდეს. რა თქმა უნდა, შეცდომებზეც ვისწავლეთ, კონკრეტულ ნაბიჯებზეც, მაგრამ ქვეყნისთვის ტრაგიკული შედეგების მომტანი ნაბიჯები არ გადაგვიდგამს და იმედი მაქვს, რომ ეს ხელისუფლება ამას არც დაუშვებს.

**- და არც ცხინვალის რეგიონში ჯარის შესვლა იყო შეცდომა?**

- ცხინვალში ამ საპასუხო ნაბიჯების გადადგმა გვაიძულეს, ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით. სხვა შემთხვევაში, შეიძლება, სხვაგვარად განვითარებულიყო მოვლენები, ამის თქმა ახლა რთულია. იყო თუ არა ეს ტრაგიკული შეცდომა, ან საერთოდ იყო თუ არა შეცდომა - ამას დრო გვიჩვენებს.

**- პოლიტიკაში შეფასებების დრო როდის დგება? თქვენთვის როდის დადგება ეს დრო?**

- ბევრი რამ შედეგების მიხედვით შეიძლება ძალიან მალე შეფასდეს. ქვეყანა ისეთ მდგომარეობაშია, რომ, ერთი მხრივ, დიდი რისკის უფლება არ გვაქვს, მაგრამ დიდი რისკი თუ არ გავწიეთ, ქვეყანას ფეხზე ვერ დავაყენებთ. ბათუმის მოვლენების დროს პრეზიდენტი უმძიმეს რისკზე რომ არ წასულიყო, რომელიც ცუდად შეიძლება დამთავრებულიყო, დღეს ბევრად უფრო უარესი რეალობა გვექნებოდა. სიმართლე გითხრათ, მაშინ ძალიან მეშინოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს რისკი ერთადერთი სწორი ნაბიჯი იყო. საერთოდ, მიჭირს სარისკო ნაბიჯების გადადგმა, რომელიც მხოლოდ მე არ მეხება, მაგრამ ქვეყანა რადიკალური, რევოლუციური და რისკიანი ნაბიჯების გარეშე ფეხზე ვერ დადგება.

**- 40 დღის განმავლობაში შეზღუდული უფლებებით, მაგრამ ქვეყნის პირველი პირი იყავით. ბევრი რამის გაკეთებაც შეიძლებოდა და გაფუჭებაც. თქვენ რა მოახერხეთ?**

- ეს უნდა თქვას ხალხმა, ვინც ამას უყურებდა და ხედავდა, რა ხდებოდა იმ 40 დღის განმავლობაში.

**- რა ტიპის წინააღმდეგობები გხვდებოდათ?**

- ერთგან ვთქვი - თითოეულ ჩვენგანს უმძიმესი ტვირთი დაგვაწვა მხრებზე-მეთქი და მკითხეს - როგორ, თქვენ ამისთვის მზად არ იყავითო? რა თქმა უნდა, მზად არ ვიყავით. ჩვენ ხომ არ ვიბრძოდით პრეზიდენტობისთვის?! ყოველ შემთხვევაში, იმ ეტაპზე. მე ნამდვილად არ ვიბრძოდი და ეს გამოჩნდა კიდეც.

**- და არც ხელისუფლებისთვის იბრძოდით?**

- ჩვენ ვიბრძოდით საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისთვის და ამისთვის მზად ვიყავით. ლოგიკურად, 2005 წელს ეს პრეზიდენტობისთვის ბრძოლა იქნებოდა, თუმცა, ავტომატურ რეჟიმში ამას არასდროს არ ვუშვებდი. ეს იყო ხელისუფლებისთვის ბრძოლა, მაგრამ სხვა ტიპის პასუხისმგებლობაა, როდესაც საპარლამენტო არჩევნების გზით მოდიხარ პარლამენტში და სხვა რამ ხდება, როდესაც მთლიანად გბარდება ხელისუფლება. დიახ, ეს იყო უმძიმესი პასუხისმგებლობა. ყველაზე მძიმე ქვეყნის რევოლუციური სიტუაციიდან გამოყვანა იყო. ეს იყო ხავერდოვანი რევოლუცია, მაგრამ იყო რევოლუცია და უზარმაზარი რყევა. გაიხსენეთ, ჩვენი მომხრეებიც კი ცდილობდნენ რეგიონებში ხელისუფლების აღებას. ამის შეჩერება და ნორმალურ კალაპოტში გადაყვანა რთული იყო. მიხეილ სააკაშვილიც გამოვიდა პირდაპირ ეთერში და თქვა - პარტიიდან გაირიცხება ნებისმიერი, ვინც გამგეობებში შეიჭრება და ადგილებს დაიკავებსო. შეიძლება ითქვას, რომ შოკური ტრავმები გადავიტანეთ, რადგან ყოველი ასეთი ინფორმაცია ჩემთვის შოკი იყო. ამ ფონზე რევოლუციიდან 2 თვეში ნორმალური, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება შევძელით. ხანდახან, ეს ყველაფერი ისე აღიქმება, თითქოს თავისთავად მოვიდა და ამას არანაირი ძალისხმევა არ სჭირდებოდა. ჩვენ უზარმაზარ გართულებებს გადავრჩით.

**- წინა პარლამენტში უმრავლესობა გებრძოდათ. ახალი პარლამენტის უმრავლესობა ვიხილეთ, თუ ჩანს სერიოზული ოპოზიციის ჩამოყალიბების ნიშნები?**

- პარლამენტში არის ოპოზიცია, თუმცა არამრავალრიცხოვანი. ჩვენ თვითონ ვართ კრიტიკულნი და მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობაში ვართ, ყველაფერზე თვალს არ ვხუჭავთ. ამიტომ, ოპოზიციას ძალზე მცირე ფუნქცია რჩება. ძლიერი ოპოზიციის არსებობის მომხრე ვარ, ძლიერი და კონსტრუქციული ოპოზიცია ხელისუფლებას აფხიზლებს - მაგრამ, იმედი მაქვს, რომ არ დავუშვებთ ისეთ შეცდომებს, რომ ოპოზიცია სერიოზულად გაძლიერდეს.

**- თქვენ მაინც სამუდამოდ გამოაფხიზლეთ წინა ხელისუფლება...**

- ძალიან მძიმე შემთხვევა იყო და ვერ გამოვაფხიზლეთ.

**- თავიდან ახალ ხელისუფლებას უფრო შეურიგებელი კურსი ჰქონდა აღებული და რეფორმებსაც სხვა ტემპით შეუტიეთ. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურას რეფორმატორი ზურაბ ადეიშვილი ხელმძღვანელობს, ამ უწყებაში ხელშესახები რეფორმები არ ჩანს. საპატრულო პოლიციას და გამუდმებულ საკადრო ცვლილებებს თუ არ ჩავთვლით, შსს-შიც არ ხდება რეფორმები. ბევრ მინისტრს ეს უწყება თუ სისტემა, უბრალოდ, ყლაპავს...**

- მინისტრები კი არ იყლაპებიან, არამედ იმდენად ბევრი პრობლემებია, რომ შეუძლებელია მათი ერთი ხელის მოსმით გადაჭრა. რეფორმები უდავოდ გასატარებელია, მაგრამ ყველა მიმართულებით ერთბაშად რადიკალური რეფორმების გატარება ცოტა საშიშიც არის.

ნამდვილად არ ვარ ბედნიერი, როდესაც ინფორმაციებს ვისმენ ტელევიზიით და, სხვათა შორის, იმიტომაც შეხვდა პრეზიდენტი არასამთავრობოებს, რომ არ მოგვწონს ის, რაც სამართალდამცავ ორგანოებში და სასამართლოში ხდება. უზენაესი სასამართლოს რეფორმებზე ახლა სერიოზულად მუშაობს ჯგუფი. რეფორმები მართლაც ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ რევოლუციურად რეფორმების გატარება ხანდახან, შეიძლება, არ იყოს ჩვენთვის სასურველი შედეგების მომტანი.

**- დისონანსი ხომ არ გამოდის - რევოლუციური ცვლილებები და არარევოლუციური რეფორმები?**

- ასე არ ვამბობ - რეფორმები უნდა იყოს რევოლუციური, მაგრამ ფორმები უფრო გაწონასწორებული უნდა იყოს.

**- თქვენ, როგორც იურისტს, შეგიძლიათ თქვათ, რომ სასამართლომ დაკარგა დამოუკიდებლობა?**

- დიახ, სასამართლომ მნიშვნელოვანწილად დაკარგა ნდობა, და სწორედ იმიტომ, რომ დაკარგა დამოუკიდებლობა. ამიტომ რეფორმა აუცილებელია და აქ ხელისუფლების ყველა რგოლი ერთიანია.

**- ხელისუფლება მოსახლეობის დემოკრატიულ პროცესებში აქტიურ ჩართვას დეკლარირებს, მაგრამ ბევრი რამ მაინც დაფარულია საზოგადოებისგან - ვის რამდენი ფული მიატანინეს და სად წავიდა ეს ფული...**

- არ გეთანხმებით, რომ ეს თანხები არ ჩანს. ზაფხულში პარლამენტმა განიხილა გაზდილი ბიუჯეტი და თანხების დიდი ნაწილი სწორედ ამ გზებით იყო შემოსული. ჯარმა ჩაიცვა, მომარაგებულია, ჩატარდა აღლუმი, ტექნიკა გამოვიდა, პენსიების და ხელფასების დროულად გაზრდა და გაცემა დაიწყო...

**- პარლამენტის თავმჯდომარემ იცის, რა რაოდენობის არის ეს თანხა?**

- ზუსტი ციფრი არ ვიცი, მაგრამ ამის გაგება შეიძლება.

**- "ნაციონალ-დემოკრატების" ყრილობა ახლოვდება. ამ ბოლო ხანებში და განსაკუთრებით, პარტიის რეგიონულ ოფისებში სკანდალები გახშირდა. შედგება ეს გაერთიანება და თქვენ იქ იქნებით?**

- ერთიანი გუნდის წევრი ვარ და ჩემს თავს ამ გუნდში ვხედავ. ეს ორი პარტია, ალბათ, გაერთიანდება და რომც არ გაერთიანდეს, ამას პრინციპული მნიშვნელობა არ ექნება. არ იყო გაერთიანებული და ჩვენ მაინც ერთი გუნდი ვიყავით. ჩემთვის მთავარი ის არის, რომ პრეზიდენტს, პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს ქვეყნის განვითარების თითქმის ერთნაირი ხედვა გვაქვს და ვართ თანამოაზრეები. დეზინტეგრაციისკენ და დაქსაქსულობისკენ პირველი ნაბიჯი ჩემი მხრიდან არასოდეს გადადგმულა. რაც შეეხება იმას, რომ ადგილებზე გარკვეული უთანხმოებაა, ამაშიც ვერ ვხედავ კატასტროფას. განსხვავებული მოსაზრებები იქნება და გაერთიანება სწორედ იმისკენ არის მიმართული, რომ ეს ყველაფერი თანდათან დალაგდეს.

**- საპარლამენტო არჩევნებისას თქვენი კვოტა საკამათო თემა იყო. ჩამოაყალიბეთ თქვენი გუნდი? ვინ არიან ეს ადამიანები?**

- ჩემი გუნდი ნამდვილად არის მთელი უმრავლესობა. ძალიან კარგად ვთანამშრომლობ ამ ადამიანებთან. ბურჯანაძის გუნდზე აქცენტის გაკეთება თავიდანვე შეცდომად მიმაჩნდა იმიტომ, რომ დანარჩენებისგან დისტანცირებას არ ვაპირებდი. დამსახურება მქონდა და ვცდილობდი კიდეც, ამ გუნდში ნორმალური ხალხი ყოფილიყო. "ნაციონალებიცა" და "დემოკრატებიც" აღნიშნავენ, რომ ვინც ჩემი რეკომენდაციით შემოვიდა, პროფესიონალები არიან და არაჩვეულებრივი ურთიერთობები აქვთ ყველასთან.

**- ერთ გამონათქვამს მოვკარი ყური - "სამეულის 2003 და 2004 წლის გამოშვება ძალიან განსხვავდებაო"...**

- მაინცდამაინც კარგი ტერმინი არ არის. მაშინ სრულიად სხვა ვითარება იყო. დღეს რომ ისევე ვიქცეოდეთ, როგორც ერთი წლის წინ - ანომალია იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გადაწყვეტილება ჩხუბისა და კამათის შედეგად მიიღებოდა, იმ ვითარებაში ჩვენი ქმედებები სწორი და გამართლებული იყო. დღესაც მგონია, რომ სწორად ვიქცევით. ალბათ, შეიძლება ამ ყველაფრის უკეთ გაკეთება, მაგრამ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ასეთ ძალას ვერ ვხედავ. გარწმუნებთ, თუ დავინახე, რომ რომელიმე ძალა ჩემს ქვეყანას უკეთეს სამსახურს გაუწევს, პირადად მე მათ ნამდვილად არ გადავეღობები.

B2 რევიუ B3 რევიუ B4-5 სპორტი B6 დისკუსია B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა



# აფიშა

## კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სპექტაკლი
ჯუზეპე ვერდი
"ტრავიატა"
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ნინო ბასილია
"თაგვი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ვაჟა-ფშაველა
"გველისმჭამელი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ედუარდო დე ფილიპო
"აჩრდილები"
რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
მარიო სანტანელი
"დედა-დედოფალი"
კითხულობენ: მურმან ჯინორია და სოფიკო ჭიაურელი
ფასი: 2-3 ლარი
დას: 18:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
"ოცნება და სინამდვილე"
რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
პაზოლინის ფილმების ჩვენება
"თეორემა"
დას: 18:00 სთ.

**რუსთაველი**
"ევროტური"
დას: 12:00; 18:00 სთ.

"თეთრი გოგონები"
დას: 14:00; 20:00 სთ.

"უცხო მტაცებლის წინააღმდეგ"
დას: 16:00; 22:00 სთ.

15 საათზე კინოთეატრის წინ ნატო ვაჩნაძის ვარსკვლავის გახსნა

**ამირანი**
"ტერმინალი"
დას: 22:00 სთ.

"რიდიკის ქრონიკები"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30 სთ.

## გამოფენები

**ქარვასლა**
"ყალბი ამბები"
(გამოფენა ქართულ-შვედური კულტურის ფესტივალის ფარგლებში)

**TMS**
ნანა ბოტკოველის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ბაია გალერეა**
ლევან მარგიანის ნამუშევრების გამოფენა
"მწყემსი კეთილი"

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ძველი თბილისი"

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
თბილისური შემოდგომა
(ფერწერა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე"
გამოფენა-გაყიდვა

**ძველი გალერეა**
თემურ სხულუხიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
"სამეფო პალიტრა"
(ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

**ჰობი**
სალონი "თექა მიქსი" წარმოადგენს
თექის ნაწარმს

**სამხატვრო აკადემია**
აკადემიის დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვა

**ცირკი**
რუსეთის საცირკო პროგრამა. ნაჩვენები იქნება
ხუთი კონტინენტის 89 სახეობის ცხოველი.
ფასი: 3-7 ლარი
ლოჟა: 15 ლარი
დას: 15:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

**პარასკევს, 19 ნოემბერს, 15.00 საათზე** ეროვნულ ბიბლიოთეკაში (გუდიაშვილის ქ.N7) შედგება პრეზენტაცია ჯემალ აჯიაშვილის წიგნისა "ვარსკვლავთა ჩრდილში მაღალთა თანა".

# "თვითშეყვარებულის" მონოლოგი

### "წიგნი ქალს ჰგავს - რომელსაც, თუ შეგიყვარდა, სიცოცხლის ბოლომდე უერთგულებ"

ვერა ნეფარიძე

*უცნაური და თავისებური ციკლია ზაალ სამადაშვილის "სამაგიდო წიგნები". მოქმედება ხდება ერთ დროს - ხუთშაბათს, საღამოს ხუთ საათზე (ჩვენთან რომ ბნელა უკვე) და შეხვედრის ადგილიც უცვლელია - "წიგნის სახლი". მაგრამ, ყოველი შეხვედრა, ერთნაირად მცირერიცხოვანი აუდიტორიის მიუხედავად, მაინც განსხვავებულია. გააჩნია, რამდენად გადამდებია მიწვეული სტუმრის მონოლოგი სამაგიდო წიგნებზე. გუშინ ეს მისია გიგი სულაკაურს დაეკისრა.*

აუცილებლად უნდა დავეთანხმო ზალიკო სამადაშვილს: ამ შეხვედრებზე მსმენელი ახალ წიგნს თუ არა, უკვე წაკითხულს ხელახლა მაინც აღმოაჩენს. მაგალითად, ვინც გუშინ ამინდის მიუხედავად წიგნის სახლს მიაშურა, აუცილებლად ახლებურად გაიაზრებდა მელვილისა თუ ვაჟას შემოქმედებიდან თითო ფრაზას; ასეა, ხანდახან ერთი ფრაზა საკმარისია, რომ ჩვენს მაგიდებზე დაბინავდნენ.

ტრადიციულად, ლიტერატურული შეხვედრების ავტორმა და მასპინძელმა წარადგინა გუშინდელი სტუმარი - მეგობარი და მისი საყვარელი პოეტი, გიგი სულაკაური და არენაც დაუთმო. თუმცა, თავად მასპინძელი მწერალი ამ არენიდან გუშინ არ გასულა. გუშინდელი საღამო ამითაც იყო განსხვავებული, რომ სტუმრის მონოლოგი შიგადაშიგ საინტერესო დიალოგებით იცვლებოდა.

"მონოლოგისა რა მოგახსენოთ. რაც მომივა თავში, მოგითხრობთ", - თქვა გიგი სულაკაურმა და აუდიტორიასთან ურთიერთობა ბავშვობის მოგონებებით დაიწყო. დედა უფრო გიყვარს თუ მამა? - უფროსების ამ ყოვლად უაზრო შეკითხვაზე მოგეხსენებათ, როგორ იბნევიან პატარები და ცდილობენ, პასუხის გაცემისას მაქსიმალურად გულწრფელები იყვნენ. ბავშვობის ამ დეტალის გახსენება მწერალს იმისთვის დასჭირდა, რომ გადმოეცა, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს პროზისა და პოეზიის, ან კონკრეტული ავტორების მიმართ. "ჩვენი სამაგიდო წიგნები ბავშვობიდან ივსება ხოლმე. ამ ხნის განმავლობაში იმდენი წიგნი დამიგროვდა ჩემს მაგიდაზე, ცაზე წეროების ხაზს თუ შევადარებ. წიგნი ჰგავს ქალს, რომელსაც თუ შეგიყვარდა, სიკვდილის ბოლომდე უერთგულებ. ნარკოტიკივითაა. მაგრამ, ნარკოტიკს კიდევ გადაეჩვევი. ერთხელ მიჩვეული წიგნის კითხვას კი ვერასოდეს".

გიგი სულაკაურის გუშინდელი მონოლოგი იმითაც იყო თავისებური, რომ მთხრობელი ცალკეულ წიგნზე არ შეჩერებულა (თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ციტატას). ბავშვობის ლიტერატურული შთაბეჭდილებებიდან ოსკარ უაილდის "ბროწეულის ხე" და ალფონს დოდეს "წერილები ჩემი წისქვილიდან" გაიხსენა. სხვათა შორის, ამ უკანასკნელის არაჩვეულებრივი თარგმანის (ავტორი - გერონტი ქიქოძე) დამსახურებად ისიც მიიჩნია, რომ ბავშვობაში გულუბრყვილოდ სჯეროდა, წიგნში მოქმედება საქართველოში ვითარდებოდა. თარგმანთან ერთად, ლიტერატორმა რამდენიმე სიტყვა ილუსტრაციის მნიშვნელობაზეც თქვა. რაც შეეხება ქართულ ლიტერატურას: "ეს ძალიან სპეციფიკურია. ჩემი აზრით, ჩამოყალიბებული ადამიანი უნდა იყო, რომ შეიცნო". და აქვე სიტყვა შეჩერდა "შუშანიკის წამებაზე", რომელიც დღემდე გიგი სულაკაურის სამაგიდო წიგნად რჩება თურმე. ჰესეს "იოსები და მისი ძმების" ხსენება კი, იმის საილუსტრაციოდ დასჭირდა მწერალს, რომ ხანდახან, შესაძლოა, კარგი წიგნებიც ვერ მოხვდნენ ჩვენს მაგიდებზე. რაც შეეხება უშუალოდ სამაგიდო წიგნებს, მათი სრული ჩამონათვალი გუშინ არ გაკეთებულა. გაიხსენეს: დიკენსი, ბალზაკი, ანატოლ ფრანსი, ვაჟა, ბიბლია, ბორხესი, მელვილი, სტივენსონი... გიგი სულაკაურმა ისიც გაგვიმხილა, რომ მის მაგიდაზე საკუთარ წიგნსაც დაუდევს ბინა. "ასეთი თავშეყვარებული ვარ", - იხუმრა მთხრობელმა და ლიტერატურულ გაზეთ "ქომაგში" დაბეჭდილი საკუთარი წერილიდანაც წაგვიკითხა იმ ავტორების ჩამონათვალი, ვინც მისი აზრით, 20 წლამდე ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს წაკითხული. დაბოლოს: გუშინდელი შეხვედრის სტუმარიც და მასპინძელიც ერთნაირ სურვილს შეუპყრია: ზალიკო სამადაშვილიცა და გიგი სულაკაურიც ამჟამად ბავშვობაში წაკითხულ Наследник из Калькуты-ის, გეოლოგების დაწერილ სათავგადასავლო წიგნს ეძებენ. პოვნის შემთხვევაში, "ჩემი სამაგიდო წიგნის" ავტორი მზადაა "წიგნის სახლში" თავად იყოს მასპინძელიცა და სტუმარიც.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

# მოდური და მასობრივი

თეონა ჯაფარიძე

თბილისის ქუჩებში ფოტოკამერიანი თინეიჯერები დღითი დღე მრავლდებიან. შესაბამისად, ჩნდება ფოტოსკოლებიც, ამ სკოლების ფოტოგამოფენები და სხვადასხვა რაკურსიდან და განსხავრბული მზერით დანახული ერთი და იგივე სიუჟეტები, ყოფა, ლანდშაფტები, ტიპაჟები თუ პეიზაჟები.

ნიუ-არტისა და "კოდაკი ფოტო სამყაროს" ერთობლივ ფოტოსკოლაში ფოტოხელოვნებას უკვე მეექვსე თაობა დაეუფლა. გუშინ საღამოს სკოლის გამოსაშვები ფოტოგამოფენა გაიხსნა. ნამუშევრები კინოთეატრ "ამირანში" გამოიფინა.

"სკოლის სტატუსი ორი წლის წინ მივიღეთ. მეცადინეობა 6 თვეს გძელდება. აქ ეუფლებიან ფოტოგრაფიის ისტორიას, მოდელზე და ინტერიერზე მუშაობას, მხატვრულ და დოკუმენტურ ფოტოხელოვნებას. სკოლის მთავარი პრინციპი დამწყებ ფოტოგრაფებში ხედვის ჩამოყალიბებაა, უფრო სწორად კი, ვცდილობთ, რაც მათში დევს, სწორედ ის გავხსნათ." - გვიხსნის ნიუ-არტის ხელმძღვანელი ნანა ყირმელაშვილი.

"ამირანში" თითქმის ყველა ჟანრის ფოტოა წარმოდგენილი. რვა კურსდამთავრებულის ხელწერა აქცენტს უფრო კლასიკურ პორტრეტსა და პეიზაჟზე აკეთებს. მოწაფური მონდომებით ხაზი გასმულია ფერისა და ფაქტურის შეგრძნებაზე.

"კოდაკთან" ფოტოსკოლას სპეციფიკური და საინტერესო თანამშრომლობა აქვს სწავლის მანძილზე და სკოლის დამთავრების შემდეგაც: - კურსდამთავრებულებს "კოდაკში" შეუძლიათ 20-პროცენტიანი ფასდაკლებით შეიძინონ ფირი, გაამჟღავნონ და დაბეჭდონ ფოტოები.

"ფოტოგრაფიით სულ უფრო მეტი ინტერესდება. პრობლემა - მათი დასაქმებაა. გადავწყვიტეთ ფოტოკლუბიც გავხსნათ. სკოლის დასრულების შემდეგ ბავშვები ნიუ-არტის უამრავ პროექტში ჩაერთვებიან და დასაქმდებიან" - ამბობს ნანა ყირმელაშვილი. ნიუ-არტი მრავალ საინტერესო პროექტზე მუშაობს. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანის პრეზენტაცია სულ მალე შედგება. ეს ფიროსმანის კომპაქტდისკია, სადაც ბუნებრივად თავმოყრილია ვიზუალური, ბიოგრაფიული, დოკუმენტური მასალა დიდ მხატვარზე, მხატვრული და დოკუმენტური ფილმებით.

დღეს ნიუ-არტისა და "კოდაკი ფოტო სამყაროს" ერთობლივი ფოტოსკოლის რვა კურსდამთავრებულმა სერტიფიკატი მიიღო. "ჩვენი ერთ-ერთი კურსდამთავრებული უკვე აქტიურად მოღვაწეობს იაპონიაში" - აცხადებს ნანა ყირმელაშვილი. უცხო ენაზე შედგენილი სერტიფიკატი მათ უფლებას აძლევს ფოტოგრაფის პროფესია ოფიციალურად მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გამოიყენონ და ფოტოფირზე თვალს შეჩვეული ქართული პეიჟაზებისა და ყოფის გარდა, აუთვისებელი დასავლეთი თუ აღმოსავლეთი აღბეჭდონ.



ვახო ბესელიას ფოტო

# ნარინჯისფერი კიევი...

### და თოჯინები რევოლუციის მოლოდინში

მადი სერებრიაკოვა

**"სამწუხაროდ, უკრაინა საქართველო არ არის",** - დანანებით მითხრა ერთმა კიეველმა კოლეგამ, რომელიც მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების ბედზე ღელავდა. დიდი ხანია, საკუთარი ქვეყნით ასეთი სიამაყე აღარ მიგრძვნია. რევოლუციებისთვის ქართველთა მუდმივი მზადყოფნაც ხომ არასოდეს გამხდარა ჩემი სიამაყის საბაბი. თუმცა, როცა კანონიერი გზები ამოწურულია...

"ვარდების რევოლუციის" ვირუსზე რუსული საინფორმაციო საშუალებები შიშითა და აგრესიით საუბრობენ. დასავლეთისთვის კი ეს ხავერდოვანი გადატრიალება ახალ პოლიტიკურ კონტექსტში გადანაცვლების იაფი, იოლი და, რაც მთავარია, ესთეტიკურად გამართლებული გზაა. აქ არავინ შეგედავება, რომ შენი ჯარისკაცები უიარაღო ადგილობრივ მოსახლეობას ხოცავენ, არც შენს უდანაშაულო ახალწვეულებს გაწირავენ სასტიკი და ამაზრზენი რიტუალური სიკვდილით დასჯისთვის. მოკლედ, რა სჯობია ხავერდოვან რევოლუციას, რომელიც ვარდებით, სიმღერებითა და ლექსებით მოდის. მახსოვს, რევოლუციის დღეებში რედაქციას, შტურმით (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) იღებდნენ პოეტები და გიჟპოეტები (ეს უკანასკნელები თქვენ ახლა ნახეთ, 23 ნოემბერს, რევოლუციის წლისთავს რომ ვიზეიმებთ).

არა, უკრაინელებს ჯერ საამისოდ არა აქვთ საქმე. მათ ჯერ კიდევ აქვთ შანსი, არჩევნების გზით მიაღწიონ მიზანს. 21 ნოემბერს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურია, სადაც გადაწყდება, ვინ გადაქაჩავს ბაგირს, ვის დარჩება უკრაინა: ევროპას თუ რუსეთს. ამაზე უკრაინელები სრულიად ღიად საუბრობენ და, ჩვენგან განსხვავებით, სულაც არ ერიდებათ, რომ სასურველი პრეზიდენტის მომხრეები სოროსის ფონდის ან პრეზიდენტ ბუშისა და სხვათა მხარდაჭერით სარგებლობენ.

ისევე როგორც ჩვენი "ვარდების რევოლუცია", უკრაინელთა პოლიტიკური ცხოვრებაც ძალზე თავისებურად დამკვიდრდა მათ ყოველდღიურ ყოფაში. წინასაარჩევნო პერფორმანსი თამაშდება მეტროში, პრესასა და ტელევიზიაში, სავაჭრო ცენტრებში, კაფე-ბარებში, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ შეხვედრებზე. წინასაარჩევნო პერფორმანსი ფერადია და, საარჩევნოსგან განსხვავებით, მას არც ასაკობრივი შეზღუდვები აქვს. მას სკოლის მოსწავლეებიც ისეთივე შემართებით თამაშობენ, როგორც კლასობანას ან დაჭერობანას. ამ საკმაოდ მხიარული და ენერგიული სანახაობის ყველაზე თვალშისაცემი ელემენტი ნარინჯისფერი ლენტებია.

საქმეში ჩაუხედავ ადამიანს ქალაქში ნარინჯისფერის სიმრავლე უსათუოდ გააკვირვებს. ნარინჯისფერი - ტანსაცმელზე, ჩანთებზე, მანქანებზე, ფანჯრებში; ნარინჯისფერი ლენტები - ისტორიულ ძეგლებსა და ტრადიციულ უკრაინულ სუვენირებზე. კიევში გაბატონებული ნარინჯისფერის მოდა იუშჩენკოს მომხრეების დამსახურებაა. ეს ევროპული ორიენტაციის პრეზიდენტობის კანდიდატის ბლოკის დროშის ფერია. შესაბამისად, მისი მომხრეები ყველა შესაძლო და შეუძლებელ ადგილას ნარინჯისფერ ლენტებს იხვევენ. თუმცა, მხოლოდ ელექტორატი არ იქცევა ასე. არჩევნებისადმი სრულიად გულგრილი ისტორიული გმირების ძეგლები, ტრადიციული უკრაინული სუვენირი-თოჯინებიც საარჩევნო ბატალიებში ჩაებნენ და ნარინჯისფერი სიმბოლოებით ამშვენებენ საკუთარ ქალაქს.

"იუშჩენკოს მთელი დასავლეთი უჭერს მხარს, აინუკოვიჩი კი უკრაინულად გამართულად ვერც კი ლაპარაკობს", - წუხდა ერთ-ერთი აქტივისტი. ეს ორი არგუმენტი ერთმანეთს არაფრით აწონასწორებს და პოლიტოლოგებიც არცთუ უსაფუძვლოდ წუხან, რომ ის, ვინც არჩევნებს მოიგებს, სანაცვლოდ, შესაძლოა, უკრაინა წააგოს. თუმცა, ეს უკვე სულ სხვა საუბრის თემაა. ჯერჯერობით კი, ორი ვიქტორის ტანდემი მშვენიერი პერფორმანსია. 21 ნოემბერი არჩევანის შანსს უტოვებს უკრაინელებს. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ამ შანსის გამოყენება არც ღირდეს და უკრაინული "ვარდების რევოლუცია" სჯობდეს ყველაფერს.



მადი სერებრიაკოვას ფოტო

# ახალი საქართველოსთვის!

მე მიშამ არაფერი მაჩუქა...



ლევან ხერხეულიძის ფოტო



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ნინია კაკაბაძე

მიუხედავად იმისა, რომ სატელევიზიო "სოციალურ" რეკლამებს, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, ქართველი მაყურებელი შეეგუა, რევოლუციის იუბილესადმი მიძღვნილი სატელევიზიო, ქუჩის თუ სახლის რეკლამები, სახელწოდებით **"საქართველოს სახელით"** მაინც საყოველთაო დისკუსიის, სჯა-ბაასისა თუ აღშფოთების საგანი გახდა. ვიღაცისთვის სასაცილოა, ვიღაცისთვის - შემაძრწუნებელი. ალბათ, ისეთებიც არიან, ვისაც ეს რეკლამები მოსწონს და მათ კმაყოფილი სახით შესცქერის.

ალბათ, ყველა მშობელი თავის შვილს პატარაობიდანვე ასწავლის, რომ საკუთარი თავის ქება არცთუ ისე მისაღებია, უმჯობესია, სხვამ გვაქოს, სხვას მოეწონოს ჩვენი საქციელი. დღევანდელ ხელისუფლებას, მგონი, ეს არ ასწავლეს და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი პირდაპირ არ ლაპარაკობენ საკუთარ თავზე, სხვადასხვა ასაკის ადამიანებს ალაპარაკებენ. **"რა კარგია მიშა, მე ჩანთა მაჩუქა", "ჩვენ, რევოლუციურ წყვილს, 200-ლარიანი ვაუჩერი გადმოგვცა".** ვიღაცას თვალებიც კი აუხილა, ვიღაცას მუშაობის საშუალება მისცა და ხელფასი დაუნიშნა. მოკლედ, რა დალევს ისეთ ადამიანებს, რომელნიც ახალმა ხელისუფლებამ მოიმადლიერა. ვინ იცის, კიდევ რამდენია, რომელიც ამ სატელევიზიო რგოლებშიც კი ვერ მოხვდა. ზოგს სხვაგვარად გაუმართლა, ქუჩაში დაკიდეს და ისე იხდიან მადლობას. ყველაფერი, რაც კარგი მოხდა, სულ ახალი ხელისუფლების დამსახურებაა: ზვიადაურიც, პირველკლასელი გოგონაც, პოლიციელი თუ პატრულიც... ალბათ, საჭიროა, განსაკუთრებით რევოლუციის წლისთავზე ამ "მონაპოვრებზე" საუბარი, მაგრამ, მართალი გითხრათ, ჯერ არც ისე კარგად გვაქვს საქმე, რომ ასე ხმამაღლა ვიყვიროთ. მესმის, რომ პატარა ქვეყანაში ვცხოვრობთ და თუნდაც რამდენიმე სასკოლო ჩანთის დარიგება და ერთი-ორი სამშობიარო ვაუჩერის გაცემა (მით უმეტეს, თუ წყვილი მიტინგზე დაახლოვდა), დიდი საქმეა, მაგრამ ეს ყველაფერი ლატარიის გათამაშებას ემსგავსება. **"ვიყიდე ლატარია ყველასათვის და მოვიგე ფენი"** ან **"გადავფხიკე და მოვიგე სარეცხი მანქანა".** აქ ჯობდა, ასეთი ტექსტი ყოფილიყო: **"მიტინგებზე დავდიოდით, იქ დავუახლოვდით ერთმანეთს, დავქორწინდით და 200 ლარიც მოვიგეთ"...** აი, რა მოგვიტანა რევოლუციამ, ვარდების რევოლუციამ!

"მიტინგებზე დავდიოდით,
იქ დავუახლოვდით ერთმანეთს, დავქორწინდით
და 200 ლარიც მოვიგეთ"...

ვიდრე წერას დავიწყებდი, ვიფიქრე, ამ რეკლამების შემქმნელის ვინაობასაც დავადგენდი და იმასაც, თუ რა თანხა იხარჯება მათ განთავსებაზე ტელეეკრანზე თუ ქუჩაში (თუმცა, ალბათ, რადიოშიც ტრიალებს). შემდეგ გადავიფიქრე. რა მნიშვნელობა აქვს, დამკვეთი, ცხადია, ვინც არის, შემსრულებლის როლი კი ამ შემთხვევაში არააქტუალურია. რაც შეეხება ფინანსებს, რომელიც ამ მიმართულებით იხარჯება, ნამდვილად მნიშვნელოვანია. ერთი სარეკლამო წამი ტელევიზიაში საშუალოდ 300 აშშ დოლარი ღირს. ახლა მათი ქრონომეტრაჟი... ყოველი მათგანი პატარა ფილმივითაა, რომელიც ერთ გრძელ და სენტიმენტნარევ რომანტიკულ ამბავს მოგვითხრობს. ქუჩაში ბილბორდების ქირაობა შედარებით ნაკლებ თანხას მოითხოვს, მაგრამ ერთ-ორ წყვილს კიდევ დაასაჩუქრებდა კაცი. ჩანთებს ხომ იყიდდა და იყიდდა... მოკლედ, საქართველოს ბიუჯეტის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი რომ არამიზანმიმართულად იხარჯება, ეს ფაქტია. თუნდაც, ყველა კერძო თუ სახელმწიფო ტელევიზიის მფლობელს თავისი მხრიდან რევოლუციის დაბადების დღის აღსანიშნავად ამგვარი საჩუქარი მიეძღვნა ხელისუფლებისთვის და ეს რეკლამები უსასყიდლოდ განეთავსებინა ეთერში, ესეც ზარალია. ამ შემთხვევაში არა მთლიანად მოსახლეობისთვის, არამედ ამ ტელეკომპანიათა თანამშრომლებისთვის. ერთი სიტყვით, რევოლუციური რეკლამები, რომელიც ტელეეთერში ტრიალებს, სახლში მოაქვთ თუ ქუჩაში გვახსენებს თავს, ყველა სხვა ნაკლთან ერთად, იმდენად ცუდად არის შესრულებული, რომ გაღიზიანებას კიდევ უფრო ამწვავებს. ისინი ცუდ თეატრში ცუდი მსახიობების მიერ განსახიერებულ უნიჭო მონოპიესას წააგავს. რაც მთავარია, ჩვენზე არ არის დამოკიდებული, გვინდა თუ არა მათი ხილვა, არავინ გვეკითხება, რადგან ბრძანება ასეთია: **გინდათ!**

მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ვამართლებ ვარდების რევოლუციას და მიმაჩნია, რომ ეს ერთმნიშვნელოვნად დადებითი მოვლენა იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში, მაინც ვფიქრობ, ცოტა ზედმეტად ვიქებთ თავს, ზედმეტად ვართ დაკავებული თვითრეკლამით. თუ აქამდე რეკლამას მხოლოდ სიტყვიერად ვისმენდით, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი, მინისტრები თუ სხვადასხვა თანამედროვე ჩინოვნიკები საინფორმაციო გამოშვებების მეშვეობით გვაწვდენდნენ ხმას, თუ რა "საქმენი საგმირონი" ჩაიდინეს, ახლა ისინი საკუთარ გმირობებს უკვე შემოქმედებითად მიუდგნენ და ხშირად მხატვრული რეკლამის მეშვეობით გვესაუბრებიან. ეს ხდება მაშინ, როდესაც საქართველოში არც ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებულა, არც ელექტროენერგიის საკითხი მოგვარებულა, ადამიანები ისევ იღუპებიან უპატრონოდ და უწამლოდ, მიუსაფარი ბავშვები ისევ ქუჩაში დაწანწალებენ, პატიმრებს ისევ აწამებენ, კანონი ისევ არ კანონობს, ქრთამს ისევ იღებენ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... იყო ასეთი რეკლამა წინასაარჩევნოდ: **"საქართველო კორუფციის გარეშე"**, რომელიც ცოტა ხანში ასე შეიცვალა: **"საქართველო შევარდნაძის გარეშე"**. ალბათ, მაშინდელი მომავალი ხელისუფალნი მიხვდნენ, რომ კორუფციის დამარცხება ასე ადვილი არ იქნებოდა, რადგან მათ რიგებშიც იყვნენ და არიან ასეთები. დღეს ჩვენი ყველაზე დიდი მონაპოვარია: "საქართველო შევარდნაძის გარეშე" და "საქართველო (ან აჭარა) ასლან აბაშიძის გარეშე". საქმე ის არის, რომ შევარდნაძემაც და აბაშიძემაც მატერიალისტური თვალსაზრისით დატოვეს ქვეყანა თუ მთავრობა, სისტემა კი, რომელიც მათ შექმნეს, ჯერ კიდევ მყარად დგას ფეხზე. თუმცა, მათი ფიზიკური გადადგომაც აშკარა წინსვლაა. გარდა ამისა, არის სფეროები, რომელშიც უკან დავიხიეთ და არის სფეროები, სადაც რამდენიმე ნაბიჯი წინ გადავდგით. წინ გადადგმულ ნაბიჯებში არც სასკოლო ჩანთას ვგულისხმობ და არც 200-ლარიან ვაუჩერს. ყველას კარგად ესმის, რომ ერთ წელიწადში ყველა ოცნების ახდენა წარმოუდგენელია. ამ ილუზიით არავინ იკვებებოდა. სწორედ იმიტომ, რომ მოსახლეობა გაგებით ეკიდება ყველაფერს და იობის მოთმინებით ითმენს მოუთმენელს, სარეკლამო ბოდვებით ყურების გამოჭედვა სრულიად გაუმართლებელია. პირადად მე მათი ყურებისას უხერხულობის განცდა მიპყრობს. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ერთთავად საკუთარი თავის ქება-დიდებაში არიან. გარდა იმისა, რომ ეს, თავისთავად, სასაცილოა, ამავე დროს შემაწუხებელიცაა. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოს ხელისუფლება და მისი ხელისუფალი, რომელნიც ძირითადად ნარცისიზმით არიან შეპყრობილნი. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ მათ გარშემო არავინაა ისეთი, ვინც ეტყვის, რომ თავის ქება არ შეიძლება, ეს ბრიყვთა მახასიათებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საამისო საფუძველი არ არსებობს. იმ ფინანსებით, რომელიც ამ კუსტარული საქმისთვის გამოიყო, უფრო გამართლებული იქნებოდა, კიდევ რამდენიმე ოჯახს დავხმარებოდით. შემდეგ, ისევე როგორც სარეკლამო რგოლს, ამასაც ხომ ვნახავდით ტელევიზიით. მაგალითად, კიდევ რამდენ წყვილს დაუფარეს სამშობიარო ხარჯები, რამდენ ბავშვს აჩუქეს თბილი ტანისამოსი. კარგი იქნებოდა, თუ ეს თბილი ტანისამოსი მათ შეხვდებოდათ, ვისაც ნამდვილად არა აქვს ის.

"მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს".

დღეს ჩვენ წინაშე ისეთი სურათია (თუ რეალობას თვალს ავარიდებთ და მხოლოდ ტელეეკრანით ვიხელმძღვანელებთ), რომ ახალმა ხელისუფლებამ დაავადებულნიც განკურნა, ბავშვებზეც იზრუნა, შეყვარებულებსაც ხელი გაუმართა და პედაგოგებიც დააფასა. ამ სარეკლამო ნოველებს რომ ვისმენთ, ბუნებრივია, ყველაფერი ერთ ადამიანამდე მიდის: "მიშამ მაჩუქა" და "მიშას ყველაფერი შეუძლია".

დასაწყისში სახლის რეკლამები ვახსენე. ჯერ არ მოუტანიათ? მალე მოიტანენ! გაზეთი, რომელსაც ასე წარმოგიდგენენ - რევოლუციისადმი მიძღვნილი საჩუქარი საქართველოს პრეზიდენტისგან, რომელშიც იმდენი ტრაგიკომიკური ფოტო თუ სტატიაა მოთავსებული, რომ ყოველ მათგანზე შეიძლება ყურადღების გამახვილება. მაგალითისთვის ერთ-ერთს მოვიტან: **"მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს".** ეს სულხან მოლაშვილისა და მისი ფეშენებელური სახლის ფოტოს მინაწერია. იქვე რობინ ჰუდის (ქართველ გმირებს განზრახ არ ვახსენებ) ფოტო რომ მოეთავსებინათ, უფრო ორიგინალური იქნებოდა, იუმორს მაინც დავინახავდი. მიუხედავად იმისა, რომ მიმაჩნია, მოლაშვილი ნამდვილად ციხეში უნდა იჯდეს, ამ ფაქტით სპეკულირება ზნეობრივი თვალსაზრისით მიუღებლად მეჩვენება.

ამიტომ... ალბათ, ცოტა ხანში ტელევიზიით იმასაც გვეტყვიან, რომ მიშა მესიაა. დღეს ეს მხოლოდ ქვეტექსტებში იკითხება, რევოლუციის ორი წლისთავზე კი სრული სერიოზულობით გამოგვიცხადებენ. ვინაიდან, გარდა რობინ ჰუდისა, ხომ გახსოვთ, მასობრივი გამოსვლები 2003 წლის ნოემბერში, წმინდა ილია მართლის დაბადების დღეზე, 22 ნოემბერს დაიწყო, მაშინ, როდესაც მიხეილი პარლამენტში შეიჭრა. საეკლესიო კალენდარში ეს თარიღი ასე აღინიშნება: **"კრება მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა".** მიქაელ-მიხეილი აქ გვყავდა და ანგელოზები მასაც და ჩვენც ზემოდან გვფარავდნენ. 23 ნოემბერს და 6 მაისს კი, ყველამ კარგად იცის, **დიდისა მოწამისა და ძლევაშემოსილისა გიორგისა დღეა**, დღე, როდესაც მან საბოლოოდ დაამარცხა ჯერ ედუარდ-გიორგი და შემდეგ ასლან იბრაჰიმის ძე. ამ ციფრებს თავისი ზეციური მნიშვნელობით პირველად მე არ ვასახელებ, ეს საქართველოს პრეზიდენტმა უკვე ბევრჯერ შეგვახსენა. ასე რომ, ბატონი მიხეილი დარწმუნებულია, ან თავად არის მესია, ან ჯერ მხოლოდ უბრალო მოკვდავია, რომელსაც ზეციური ძალები მფარველობენ. ნუ დაიბნევით, ნურც შეიცხადებთ. ამის შესახებ თქვენ მომავალი სატელევიზიო რეკლამებით, დარწმუნებული ვარ, პირდაპირ თუ ირიბად თქმულს, აუცილებლად შეიტყობთ. დღეს კი **მიუშვით ბავშვები მასთან** და ის ჩანთებს დაურიგებს, დაავადებულთ განკურნავს და სიყვარულის ნაყოფს მოავლენს ქვეყანას სულ რაღაც 200 ლარად...

"საქართველო კორუფციის გარეშე"
ცოტა ხანში ასე შეიცვალა:
"საქართველო შევარდნაძის გარეშე".

დაბოლოს. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ თუ საქართველოს პოლიტიკა მხოლოდ რეკლამაზე იქნება დამყარებული, მაშინ უარეს შედეგს მივიღებთ, ვიდრე სულ ცოტა ხნის წინ, ე.წ. პოსტ-კომუნისტურ ეპოქაში გვქონდა. მაშინ იმას მაინც გვეუბნებოდნენ: **გვაცალეთ, ბატონო, გვაცალეთ...** ახლა კი... დღევანდელი მთავრობის თვითკმაყოფილება იმდენად შემაძრწუნებლად გამოიყურება... ისინი იმდენად კმაყოფილნი არიან, რომ საკუთარ თავს სარეკლამო ნოველებსა და ფოტოსურათებსაც უძღვნიან, რომელთაც ჩვენ გამუდმებით უნდა ვუყუროთ.

ხელისუფლების დამცველნი ჩამომითვლიან, რამდენი სასიკეთო საქმე გაკეთდა: პატრული, განათლების რეფორმა, რომელიც ახლა იღებს სტარტს, კიდევ რამდენიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი თითზე ჩამოსათვლელი მოვლენა... გეთანხმებით, მოხდა და არც მე ვარ დაუნახავი, მაგრამ ყველაზე დიდი მონაპოვარი ის არის, რომ ვარდებისა და აჭარის რევოლუცია სისხლისღვრის გარეშე, არაძალადობრივი გზით მოხდა. ყველაზე მეტად ამით უნდა ვიამაყოთ. გარდა ამისა, კიდევ სხვა მრავალი სიახლეა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო ცვლილებები ჯერ არ განხორციელებულა და არც ისე კარგადაა ჩვენი საქმე, როგორც ამას სახელისუფლებო რეკლამები გვეუბნება.



ლევან ხერხეულიძის ფოტო



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

მარო მაჩხაანელის კუთხე



# დაბრუნება

ქართული ფეხბურთი ჩაკვდაო. დამიჯერეთ, ბიჭებო, ის არც ქართული იყო და არც ფეხბურთი. ეს ქართული ფეხბურთიც რა პრეტენზიული ნათქვამია. ფეხბურთი ფეხბურთია. წესები ყველგან ერთნაირია, მიზანიც ერთი აქვთ ბრაზილიელებსაც, ინგლისელებსაც, ესპანელებსაც, რუსებსაც და ქართველებსაც. ფეხბურთელებს ვგულისხმობ. გოლი უნდა გაიტანონ. ახლა თუ მესხსა და ყიფიანზე გავაკეთებთ აქცენტს, იმათაც ხომ ჰყავდათ და ჰყავთ კიდეც ეგეთებიც და შეიძლება უკეთესებიც.

ჩვენს ფეხბურთში რომ განსაკუთრებული არასოდეს არაფერი ყოფილა, ნოდარ ახალკაცმა დაამტკიცა. დისციპლინას შეაჩვია, შრომა ასწავლა, ნიჭიერი ფეხბურთელი კი ყოველთვის იყო საქართველოში.

ახლა გულით კი არა, მთელი სხეულით ვგრძნობ, ბრუნდება ის, კი ბატონო, ვიტყვი, ქართული ფეხბურთი. მაგრამ არავინ იფიქროს, ეს ჟირესის ან ვინმე ერთი კაცის დამსახურებაა.



იცით, რა შევამჩნიე? ჩვენს ბიჭებს მოედანზე გასვლისას და იქაც მუხლები აღარ უკანკალებთ. სულ ერთია, დანია ეყოლებათ მეტოქედ თუ შოტლანდია.

სხვათა შორის, ზოგიერთი კომენტატორისგან განსხვავებით, ძალიანაც კარგად მეხერხება თამაშის წაკითხვა, მაგრამ, ალბათ, ატყობთ, რომ არც კი ვცდილობ ამას. არ არის საჭირო. ჯერ სხვა რამის დროა. მაგრამ ის დროც მოვა, როცა გამოწვლილვით დავიწყებთ პასების, კუთხურების, კარში დარტყმების, ფეხებში გაბლანდული ბურთის და, საერთოდ, ყველაფრის თვლას, იმას, რასაც ფეხბურთში სახელგანთქმულ ქვეყნებში აკეთებენ.

ჯერ სხვა რამის დროა. ჯერ ფეხზე მაგრად დგომას სწავლობს ჩვენი ფეხბურთი. ეს მარტო საქართველოს ნაკრებს არ ეხება. აი, თბილისის "დინამოზეც" ზუსტად ასეთი წერილის დაწერა მომიხდა. იმიტომ რომ იქაც ის ხდება. ის, რასაც კარგა ხანია ველოდებით. თითქმის ოცი წელიწადი.

სულ ცოტა გვინდა. დროს, კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის გამოჩენას ვგულისხმობ. აუცილებლად გამოჩნდებიან. ყოველთვის ასე იყო. მიდიოდა ერთი თაობა, თან ჩვენი გულისტკივილიც მიჰქონდა, მაგრამ მოდიოდნენ ახლები და არცთუ ნაკლებები.

ამ სიტყვებსა და აზრებში ორიგინალური ვერ ვიქნები. ვერ ვიქნები თუნდაც იმიტომ, რომ უკლებლივ ყველამ იგრძნო, რაც ხდება. საბუთი? საბუთი პირთამდე სავსე ტრიბუნებია.

შეიძლება სულ მალე წავიდეს ჟირესი, შეიძლება დიდხანსაც დარჩეს, მაგრამ დამერწმუნეთ, არაფერი შეიცვლება. ჩვენი ფეხბურთი უკეთესი და უკეთესი გახდება.

რა თქმა უნდა, წაგებას ფრე სჯობს, ფრეს - მოგება, მაგრამ არის კიდევ ერთი ნიშანი, საზომი, რომლითაც უშეცდომოდ შეიძლება გამოიცნო, რასთან გვაქვს საქმე. ვიღაცამ თუ რაღაცამ ამ ბიჭებს რწმენა დაუბრუნა. თავმოყვარეობა დაუბრუნა. მაშინ, 1975 წელს, ეს ახალკაცის დამსახურება იყო. ახლა ასე ვერ ვიტყვი. ახლა ცოტა სხვაგვარადაა საქმე. ქვეყანა იბრუნებს რწმენასა და თავმოყვარეობას. არ შეიძლება, ეს ვირუსი ფეხბურთს და, თუ გნებავთ, ნებისმიერ სხვა სახეობას, სხვა სფეროებსაც არ გადაედოს.

ვიცი, მეტყვიან, ნეტა რითი და რაში გრძნობო. გარეგნულად ხომ თითქმის არაფერი შეცვლილაო. მეტყვიან და იქნებ მართლებიც იყვნენ, მაგრამ რა ვქნა, როგორ დაგარწმუნოთ?

იცით, ავდგეთ და ყველამ საკუთარ თავს ჩავხედოთ. არც ერთს ბევრი არაფერი შეგვმატებია. შეგვმატებია კი არა, ისევ ისეა თითქმის ყველაფერი. მაგრამ გუშინ თუ გუშინწინ ტელევიზიით გამოსული კახელი გლეხისა არ იყოს, რაღაც გაიხსნაო. ეტყობა, უნდოდა ეთქვა, ქალაქურად ეთქვა, პერსპექტივა გაჩნდაო. მაგრამ როგორც თქვა, უფრო კარგი და ნაღდი იყო.

რაღაც გაიხსნა.

არა, რა თქმა უნდა, ცა ერთბაშად არ მოწმენდილა და არც მოიწმინდება, მაგრამ რაღაცამ ნამდვილად გამოაჭყიტა ღრუბლებიდან.

ვიცი, ქალის ნაწერს, თანაც ფეხბურთზე, ალმაცერად უყურებენ, ეს ვიღას ტიკი-ტომარააო, მაგრამ როცა მთელ ქვეყანაზე, თითქმის ყველაფერზეა საუბარი და მათ შორის ფეხბურთზეც, ქალი და კაცი რამ გაყო.

ერთი ჩვენი სახლის ქალების კივილი უნდა მოგასმენინათ აი, ამ საფეხბურთო ტრანსლაციის დროს. სადილიც ავიწყდებათ, სახლის დალაგებაც, ბავშვებიც კი. მიდით, ბიჭებო, მიდითო! ფეხბურთელებსა და ბურთს გულისხმობენ. ამ წუთას მართლა ეგრეა, მართლა ფეხბურთს ქომაგობენ, მაგრამ მე ხომ კარგად ვიცი, რასაც ნიშნავს ეს მიდით, ბიჭებოო!

ეგენი დანიელები კი არა, ვიკინგები არიანო. არ ვიცი, ვინ არიან, მაგრამ ბურთის ერთი შეხებით თამაშს, კომბინაციების დასწავლას და ფიზიკურად მომზადებას ვიკინგობა არ სჭირდება. ეგ ზანგებსაც შეუძლიათ, არაბებსაც, იტალიელებსაც, ქართველებსაც... მთავარია, სურვილი იყოს.

ჰო, მგონი ეგრეა, ვიკინგები არიან. უფრო სწორად იყვნენ, ნანადირევს ლამის უმს რომ მიირთმევდნენ (მინდოდა მეთქვა, გლეჯდნენ-მეთქი), მაგრამ ახლა პირტიტველა ბიჭებად გამოგვეცხადდნენ და თანაც დანიელები ჰქვიათ. ეგენი უმი ხორცის მჭამელები აღარ არიან. გამოჩნდა კიდეც.

ჩვენ სულ ცოტა გვინდა, ცოტაღა გვინდა. ამ თამაშის ორისამი ოსტატი. ეგენი მოვლენ და გუნდი გვეყოლება, არსად გამოჩენის არ შეგვრცხვება. წაგება და მოგება კი სხვა რამეა. გერმანიაც აგებს, ინგლისიც, საფრანგეთიც, ესპანეთიც. აი, ეს თურქები, მსოფლიო ჩემპიონატზე რომ ლამის ქვეყანა გადარიეს, ხომ ხედავთ, რა დღეში არიან!

წაგება და მოგება სხვა რამეა. მთავარია, თავი არ შეირცხვინო კაცმა. ყველაზე კარგი მაგალითი ინგლისის ჩემპიონატის მატჩებია. დედაწულიანად მიდიან სტადიონზე და, იგებს თუ აგებს გუნდი, აგულიანებენ, ამხნევებენ. შეიძლება ჩვენებურადაც ეძახიან, მიდით, ბიჭებოო! იმიტომაც არის კარგი საყურებელი მათი თამაშები. თამაშობენ, ლამის გული ჩაატანონ შიგ.

აი, ეგრე, გულითა და ჯიგრით იყავით, ბიჭებო! ჩვენშიც დადგება გაზაფხული!

დაიხსომეთ, მარომ თქვა, მაჩხაანელმა!

ფეხბურთი

# კოლოსკოვის ბედს კოლოსკოვები გადაწყვეტენ და არა ფეტისოვი

გუშინწინ, ესტონეთის ნაკრებთან მატჩში გამარჯვების შემდეგ, რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა ისევ შეუტია რუსეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარეს ვიაჩესლავ ფეტისოვს და განაცხადა, რომ მასთან შეხვედრას საერთოდ აღარ აპირებს.

შეგახსენებთ: ამ ცოტა ხნის წინათ ვიაჩესლავ ფეტისოვმა მთელ რუსეთს დიდი ხმაურით ამცნო, რომ ქვეყნის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი, ერთ დროს ხელშეუხებელი ვიაჩესლავ კოლოსკოვი, რუსეთის სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური პიროვნება, სულ მალე დატოვებდა თავის თანამდებობას. ფეტისოვის განცხადებით, ასეთი გადაწყვეტილების მიღება კოლოსკოვს თავად მან, პირადი საუბრებისას აიძულა. თითქოს კოლოსკოვს რუსეთ-ესტონეთის გუშინწინდელი მატჩის დამთავრებისთანავე უნდა დაეტოვებინა პოსტი, მაგრამ...

ფეტისოვი დარწმუნებული იყო, რომ კოლოსკოვი გადადგებოდა, თუმცა, თავად საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის საქციელი სრულიად საპირისპიროს მოასწავებდა. კოლოსკოვი თავს იცავდა, ამბობდა, რომ ფეტისოვისთვის არაფრის პირობა არ მიუცია და დაკავებული თანამდებობიდან წასვლას არ აპირებდა. გარდა ამისა, კოლოსკოვს გვერდში ამოუდგნენ ძლიერი მფარველები - საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციები ფიფა და უეფა, რომლებიც რუსეთს სერიოზული სანქციებით დაემუქრნენ.

ესტონეთთან მატჩი უკვე გაიმართა, თუმცა, კოლოსკოვის განცხადება "საკუთარი ნებით პოსტიდან გადადგომის" შესახებ ჯერ არავის უნახავს. მეტიც, საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი სულ სხვაგვარ განცხადებებს აკეთებს, ვიდრე ამას თანამდებობიდან წასვლის მსურველი ადამიანი უნდა აკეთებდეს. "ადამიანური თვალსაზრისით ფეტისოვი ძალიან შეიცვალა და მთელი ამ ამბების შემდეგ მასთან ურთიერთობის არავითარი სურვილი აღარ მაქვს. ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ ესტონეთთან მატჩის შემდეგ ჩვენ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. მაგრამ ეს შეხვედრა, ალბათ, აღარ გაიმართება. მე მასთან შეხვედრა აღარ მინდა.



კოლოსკოვი გადადგომას არ აპირებს

მორჩა და გათავდა", - განაცხადა კოლოსკოვმა.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კოლოსკოვი მხოლოდ ფეტისოვის სურვილით არ გადადგება. საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის თანამდებობიდან მის წასვლას კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი გადაწყვეტს. აღმსაკომის სხდომა დეკემბერშია დაგეგმილი. კოლოსკოვი ამბობს, რომ ამ სხდომაში მონაწილე დელეგატების სურილს უყოყმანოდ დაემორჩილება, როგორი გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღონ მათ. თუმცა, კოლოსკოვის ეს განცხადება, უბრალოდ, სიტყვების თამაშია. რუსეთში ყველას კარგად მოეხსენება, რომ საფეხბურთო კავშირის აღმასკომის წევრები ისე მოიქცევიან, "როგორც საჭიროა", ანუ როგორც კოლოსკოვს სჭირდება. საქმე ის არის, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტს ირჩევენ არა საზოგადოება, გულშემატკივრები ან ფეხბურთელები, არამედ რეგიონული ფედერაციების ხელმძღვანელები. მათი უმრავლესობა კი ისეთივე კოლოსკოვები არიან, როგორიც დიდი კოლოსკოვია. განსხვავება მხოლოდ მასშტაბებშია. აღმასკომის წევრები თავთავიანთი რეგიონების კოლოსკოვები არიან - მნიშვნელოვანი, მაგრამ უსარგებლო ხალხი. მათ მშვენივრად იციან, რომ საფეხბურთო კავშირის სათავეში ახალი ადამიანის მოსვლა მნიშვნელოვნად დააზარალებს მათ. თავად განსაჯეთ, უნდათ მათ ახალი პრეზიდენტი?

თუმცა, თუ ბოლომდე ობიექტურები ვიქნებით, უნდა ვთქვათ, რომ კოლოსკოვთან ჭიდილში ფეტისოვი გვარიანად შეცდა. იმის ნაცვლად, რომ კონკრეტულად დაესახელებინა კოლოსკოვის დანაშაულები, ფეტისოვი მხოლოდ ფინანსურ საკითხებს დაეყრდნო. მისი მთავარი არგუმენტი ის გახლდათ, რომ მთავრობა საფეხბურთო კავშირს ბევრ ფულს ურიცხავს, სანაცვლოდ კი ვერაფერს იღებს. ამ ბრალდებაზე პასუხის გაცემა კოლოსკოვს არ გასჭირვებია. "უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა ეროვნული ნაკრების მზადების საფასურის ორი პროცენტი დააფინანსა. ორი პროცენტი! დანარჩენი 98 პროცენტი ნაკრებს საფეხბურთო კავშირის თანხებიდან მოხმარდა. სპორტის კომიტეტის სახით სახელმწიფოს არაფერი ესაქმება ეროვნულ ნაკრებთან. ჩვენ ყველაფერი კარგად დავთვალეთ. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საფეხბურთო კავშირის ყველა სახის საქმიანობისთვის სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა 40 მილიონი რუბლი გამოყო, ხოლო გადასახადების სახით ჩვენ 60 მილიონი გადავუხადეთ სახელმწიფოს. ანუ, ჩვენ ბევრად უფრო მეტი ფული მივეცით სახელმწიფოს, ვიდრე მან მისცა ფეხბურთს", - განაცხადა კოლოსკოვმა. ფეტისოვისთვის სამწუხაროდ, საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი მართალია...

თუმცა, ფეტისოვის დამარცხებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარეს ხომ თვით რუსეთის პრეზიდენტი პუტინი უჭერს მხარს. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მოვლენების განვითარებას დაველოდოთ. ეჭვგარეშეა, კოლოსკოვისა და ფეტისოვის დაპირისპირება კიდევ ბევრ სიურპრიზს შემოგვთავაზებს.

# რონალდო დაიკარგა

ეკვადორისგან 0:1 მარცხი ბრაზილიის ნაკრებს სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ციკლში პირველ ადგილად დაუჯდა. მსოფლიო ჩემპიონების შეცდომით არგენტინელებმა ისარგებლეს. სამხრეთ ამერიკის შესარჩევი ტურნირის ფორმატი დიდი ხანია იწვევს როგორც სპეციალისტთა, ისე ტურნირის მონაწილეთა კრიტიკას. 10 გუნდი ერთ ჯგუფშია მოხვედრილი, რაც შესარჩევ ტურნირს ერთ მომქანცველ მარათონად აქცევს. ვარაუდობენ, რომ მომავალში ეს გუნდები ორ ჯგუფად დაყონ, მაგრამ ჯერჯერობით ახალი წესები ძალაში არ შესულა.

ამან სერიოზული პრობლემები შეუქმნა ბრაზილიელებს, რომლებსაც ეკვადორთან მატჩში ერთბაშად სამ მეტოქესთან მოუხდათ გამკლავება - ეკვადორელ ფეხბურთელებთან, მაღალმთიან რეგიონთან და გადაღლილობასთან. ამასთან, მეორე და მესამე ფაქტორი ერთმანეთს ავსებდნენ. მთელი მატჩის განმავლობაში ბრაზილიელები დაღლილები ჩანდნენ და მეტოქეს არაფრით სჯობდნენ. ეს სულ იოლი ასახსნელია - ბევრი ბრაზილიელი ეკვადორში მატჩამდე 48 საათით ადრე ჩავიდა და, უბრალოდ, ადაპტაცია ვერ მოასწრო. შედეგად, ყველაფერი ერთმა გოლმა გადაწყვიტა, რომელიც ედისონ მენდესმა 77-ე წუთზე გაიტანა. ამ გოლმა შეწყვიტა ბრაზილიელთა 10-მატჩიანი წაუგებელი სერია მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში.

სტუმრებს ანგარიშის გათანაბრება და მატჩის გადარჩენა, რა თქმა უნდა, შეეძლოთ, მეორე ტაიმის შუაში რონალდინიომ ბურთი ძელს მოარტყა, ხოლო თამაშის ბოლოს რონალდომ კარის აღების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან. თუმცა, ამის მიუხედავად, ეკვადორის გამარჯვება სავსებით დამსახურებული იყო.

თამაშის შემდეგ რონალდომ ისაუბრა იმ რთულ პირობებზე, რამაც მას უკეთ თამაშში შეუშალა ხელი. "საშინლად მტკიოდა თავი. ჰაერი არ მყოფნიდა, ჟანგბადი მჭირდებოდა", - განაცხადა მან. თავის



ეკვადორელების წინააღმდეგ თვით რონალდოც ვერაფერს გახდა.

მხრივ, ბრაზილიელთა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პერეირამ აღნიშნა: "მთავარია, კვალიფიკაცია დავძლიოთ. პირველობის დაკარგვა არაფერს ნიშნავს".

იმ მომენტისთვის, როცა ის ამას ამბობდა, ბრაზილია პირველ ადგილზე იყო, მაგრამ სულ მალე მან ეს პირველობა დაკარგა. ლიდერი არგენტინამ შეცვალა.

ვენესუელის ნაკრების დამარცხება ხოსე პეკერმანისა და მისი გუნდისთვის იმაზე უფრო მძიმე გამოდგა, ვიდრე არგენტინელები გეგმავდნენ. არადა, ბუენოს-აირესში გამართული მატჩის დებიუტი არგენტინელთათვის წარმატებული გამოდგა. უკვე მეოთხე წუთზე ხოსე მანუელ რეიმ თავით საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. თუმცა, ნახევარი საათის შემდეგ რუბერტ მორანმა წინასწორობა აღადგინა. მან ინდივიდუალური ოსტატობა გამოავლინა. არგენტინის დაცვა, რომელსაც სამი წამყვანი მცველი აკლდა - ჰაინცე, ვალტერ სამუელი (დისკვალიფიკაციის გამო), რობერტო აიალა (ტრავმის გამო), აშკარად ნერვიულობდა და ხშირად ცდებოდა. სწორედ ამ შეცდომით ისარგებლა მორანმა. მან გაბრიელ მილიტო ჩამოიცილა და ზუსტად დაარტყა რობერტო აბონდანსიერის კარში. ეს მორანის მეხუთე გოლია სამ მატჩში.

არგენტინა 45-ე წუთზე კვლავ დაწინაურდა. მიზანს ხუან რიკელმეს ჯარიმიდან დარტყმულმა ბურთმა მიაღწია. 66-ე წუთზე კი შეცვლაზე შესულმა ხავიერ სავიოლამ, როგორც შემდგომში გაირკვა, გამარჯვების გოლი გაიტანა.

ექვსი წუთის შემდეგ ვენესუელამ ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა. აბონდანსიერიმ გადაწყვიტა, რომ თავის მცველებს არ უნდა ჩამორჩეს და შეცდომა დაუშვა. ლეონელ ვილმამ საჯარიმო არც ისე ძლიერად შეასრულა, მაგრამ ბურთმა როგორღაც გაარღვია ცოცხალი კედელი, მეკარეს ხელებშუა გაუძვრა და კარში აღმოჩნდა.

მატჩის შემდეგ პეკერმანმა აღიარა, რომ მეტოქე სათანადოდ არ შეაფასეს. "ვენესუელა იმაზე რთული მეტოქე აღმოჩნდა, ვიდრე გვეგონა, - შენიშნა მან, - მათ არაერთი პრობლემა შეგვიქმნეს, მაგრამ ჩვენ ამ პრობლემებს გავუმკლავდით. ეს იყო თანაბარი, რთული მატჩი, რომელშიც ჩვენ შეთამაშება არ გვყოფნიდა". ამის მიზეზი კი, მწვრთნელის თქმით, ის იყო, რომ ფეხბურთელები შეკრებაზე გვიან ჩამოვიდნენ.

სამხრეთ ამერიკაში გამართულ ხუთივე მატჩში გამარჯვება მასპინძლებს ერგოთ. ურუგვაიმ საკუთარ მინდორზე ლიდერთა ჯგუფში დამკვიდრებული პარაგვაი მინიმალური ანგარიშით - 1:0 დაამარცხა. ერთადერთი გოლი ვეტერანმა მცველმა პაოლო მონტერომ გაიტანა. ასეთივე ანგარიში დაფიქსირდა ბარანკილიეში, სადაც კოლუმბიამ მარიო იეპესის ზუსტი დარტყმით დაამარცხა ბოლივია. პერუმ - 2:1 მოუგო ჩილეს. ჯეფერსონისა და გერეროს გოლებს ჩილელებმა მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე სებასტიან გონსალესის ერთადერთი გოლით უპასუხეს.

11 ტურის შემდეგ პირველი ოთხი ადგილი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას იძლევა, არგენტინას, ბრაზილიას, პარაგვაისა და ეკვადორს უკავიათ. მეხუთე ადგილზე ურუგვაი დამკვიდრდა. თუ ის ამ პოზიციას შეინარჩუნებს, მაშინ გერმანიაში გასამგზავრებლად მას ავსტრალიისა და ოკეანიის ზონის გამარჯვებულთან მოუწევს ჭიდილი.

ფეხბურთი

# "პატარა ბრილიანტი"



ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტურის მატჩში "ბაიერის" წინააღმდეგ "რომას" "სტადიო ოლიმპიკოზე" თავისი ორი წამყვანი ელემენტი აკლდა. პირველი - 70 ათასი ტიფოზია, რომელიც უეფას დისციპლინარული სასჯელის გამო სტადიონზე არ დაუშვეს. მეორე ანტონიო კასანო - 22 წლის ფორვარდი, რომელიც პორტუგალიაში გამართული წარმატებული ევროპის ჩემპიონატის შემდეგ კლუბის სიმბოლოდ იქცა და თავისი თაობის უნიჭიერეს ფეხბურთელად მიიჩნევა.

კასანოს არყოფნის მიზეზი გახდა მწვრთნელთან უთანხმოება, მაგრამ ეს მიზეზი საკმაოდ რბილი ფორმულირებაა. ფორვარდსა და ლუიჯი დელ ნერის შორის მომხდარი კამათი იმაში გამოიხატა, რომ ძირითადი შემადგენლობიდან გარიცხვის შემდეგ კასანო იძულებული გახდა, მარტო ევარჯიშა.

თავისი ფიცხი ხასიათის გამო ფორვარდი რუდი ფიოლერის მწვრთნელობისას ხშირად რჩებოდა სათადარიგოთა სკამზე. დელ ნერის მოსვლის შემდეგ კასანომ სიფიცხე ვერ დაიცხრო და იტალიის ჩემპიონატის მატჩში "კალიარის" წინააღმდეგ შეცვლისას მწვრთნელს ჩვეული სიფიცხით უპასუხა.

ამის გამო სასჯელი გახდა "ბაიერთან" მატჩის განაცხადში მისი არყოფნის მიზეზი, მაგრამ ამან კასანო ვერ დაამშვიდა. ის სამწვრთნელო შტაბის შეკრებაზეც კი არ გამოცხადდა, სადაც მწვრთნელი და ფეხბურთელი უნდა შერიგებულიყვნენ. "ჩვენ გვინდოდა, ამ ნიჭიერ ფეხბურთელთან ურთიერთობა მოგვეგვარებინა, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ეს ვერ მოხერხდა", - განაცხადა "რომას" პრეზიდენტის ფრანკო სენსის ქალიშვილმა როზელა სენსიმ.

ამასთან, "პატარა ბრილიანტმა", რომელმაც საფეხბურთო ოსტატობის ანბანა სამხრეთ იტალიაში, ქალაქ ბარის ქუჩებში ისწავლა, თავისი დაუცხრომელი ტემპერამენტის გამო პარტნიორთა მხარდაჭერაც დაკარგა. ყოველ შემთხვევაში, ლევერკუზენულ კლუბთან მატჩის შემდეგ სიტუაციის კასანოსთან განხილვაზე უარი განაცხადეს.

30-მილიონიანი შეთანხმების საფუძველზე კასანო "ბარიდან" "სტადიო ოლიმპიკოზე" გადავიდა, ტოტისთან ერთად შესანიშნავი შემტევი დუეტი შექმნა და შარშანდელ სეზონში "რომასთვის" 14 გოლი გაიტანა. ზაფხულში, პორტუგალიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, კასანო თავის გადაღლილ პარტნიორებთან შედარებით ბევრად უფრო მხნედ გამოიყურებოდა. სწორედ მან გაიტანა გადამწყვეტი გოლი ბულგარელთა კარში, მაგრამ შემდეგ სათადარიგოთა სკამზე მიირბინა და გაიგო, რომ ეს საკმარისი არ იყო, რადგან ჯგუფის მეორე მატჩში შვედებმა და დანიელებმა ფრედ - 2:2 ითამაშეს.

თუმცა, საუკეთესო ტექნიკისა და საგოლე მომენტების შეგრძნების გამო კასანოს მწვრთნელებს დიდი სირთულეების გადალახვა უწევთ. ფაბიო კაპელო, რუდი ფიოლერი, დელ ნერი - ყველა ამ სპეციალისტთან კასანოს არცთუ ისე თბილი ურთიერთობა აკავშირებდა.

დელ ნერი ცნობილია მიზნებთან თავისი მკაცრი და უაღრესად სერიოზული დამოკიდებულებით. ამიტომ ის არ აპირებს, კასანოს თავგასულობა მოითმინოს. ამასთან, დასრულდა შემრიგებლური ურთიერთობა ფეხბურთელთან ტიფოზების მხრიდან - მათ ფორვარდს "ინტერთან" მატჩში გვარიანად უსტვინეს. იმ სიტუაციაში, როცა გუნდი აუტსაიდერთა კომპანიაშია, მწვრთნელი ვერ იჩენს დიპლომატიურ ნიჭს და ეს საკუთარ თავზე კლუბის რამდენიმე ვეტერანმაც გამოსცადა.

მაგალითად, იტალიის ნაკრების მცველი კრისტიან პანუჩი "რეჯინასთან" გასვლით მატჩში სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა (0:1). კასანო კი, პირიქით, მინდორზე გავიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის, გარკვეული დროით მაინც, ურთიერთობა მოგვარდა.

გასულ პარასკევს იტალიური პრესა წერდა იმის თაობაზე, რომ კასანო დათმობაზე წავიდა და მწვრთნელს მოუბოდიშა. ბოდიში საკმაოდ გვიანი აღმოჩნდა - "რომამ" ვერ შეძლო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გამარჯვებისთვის ბრძოლა. არადა, თუ დელ ნერი ფეხბურთელთან საერთო ენას გამონახავს და მის საუკეთესო თვისებებს გამოიყენებს, "რომას" შანსი აქვს, წლეულს დასახული მიზანი ნაწილობრივ მაინც შეასრულოს.

TV-სპორტი

## პარასკევი. 19 ნოემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV - NBA შიგნიდან
06:30 NBA TV. სეზონი 2002-2003. "PHOENIX SUNS" - "LOS ANGELES LAKERS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 განვლილი კვირის ჰიტ-ალუმი - გერმანიის ჩემპიონატი. "შალკე" - "ჰერტა"
14:05 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. არგენტინა - ვენესუელა
15:50 თავისუფალი დარტყმა
16:05 "FUTBOL MUNDIAL"
16:35 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
17:05 განვლილი კვირის ჰიტ-ალუმი - ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალი" - "ალბასეტე"
19:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
20:00 "ფეხბურთი ჭრილში"
20:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. "აიაქსი" - "ფეიენოორდი"
22:15 "წვრილმანები". რუსეთი - ესტონეთი
22:40 თავისუფალი დარტყმა
22:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ - "ლიონი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:50 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:50 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:45 02:45-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA შიგნიდან
04:00 NBA TV. "DETROIT PISTONS" - "INDIANA PACERS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 21:15 პრესცენტრი
10:20, 21:30 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჭადრაკი. რუსეთის ჩემპიონატი. სუპერფინალი
11:15 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
11:45 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
12:15 "მოტოვებული კვირა"
13:35 "ჰოკეი-პლუს"
13:50 "ვატერპოლო"
14:20 მაგიდის ჩოგბურთი. ITTF Pro Tour გერმანიაში. ფინალები. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
17:30 ტაილანდური კრივი
18:25 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
18:55 ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი სამხრეთ აფრიკაში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:35 სახვალიო ტელეპროგრამა
21:40 "ნოკაუტი" - ტელეჟურნალი
22:55 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
23:20 "ჰოკეი-პლუს"
23:50 "კეგლის დროა"
00:25 ახალი ამბები
00:40 "ნოკაუტი" - ტელეჟურნალი

**EUROSPORT**

06:00 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია
10:30 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში
12:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი ავსტრალიაში
13:30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი
16:30 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში
18:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი
20:00 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო კლუბები
20:30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი
22:00 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო კლუბები
01:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:00 ახალი ამბები
03:15 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში
04:00 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია

ოლიმპიზმი

# ჩინური ლაოკოონი ტაივანს

გიგა გურასაშვილი

*სავსებით შესაძლებელია, ტაივანს უბრად მყოფმა მეზობლებმა, ჩინელებმა, პეკინის 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობის უფლება არ მისცენ. საქმე ისაა, რომ დიდი ჩინეთი მეზობელ კუნძულს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ ცნობს.*
*ჩინეთის ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი წარმომადგენელი ჰე ჩჟენლიანი აცხადებს: "ვიდრე ტაივანის პრეზიდენტი ჩენ შუიბიანი "ჩინეთის ტაიპეის" "ტაივანად" გადანათლავდეს, ვგონებ, აჯობებს, ამ ნაბიჯის გადადგმამდე კარგად დაფიქრდეს".*

იმ შემთხვევაში, თუ კუნძულელები ჩინელთა მუქარას არად ჩააგდებენ და თავისას გაიტანენ, მაშინ მათ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში (სოკ-ი) თავიდან მოუწევთ ატესტაციის გავლა, რადგან სოკ-ი მხოლოდ იმ ორგანიზაციებს აღიარებს, რომლებიც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენენ. ამ შემთხვევაში საუბარია ჩინეთის ტაიპეი, გნებავთ, ტაივანის ოლიმპიურ კომიტეტზე.

ჩჟენლიანის ხმამაღალი ტონის მიუხედავად, მის შემდგომ განცხადებაში გარკვეული სატყუარა იგრძნობა, რომლის მიხედვითაც ჩინელ ჩინოვნიკს პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ჩინეთისა და ტაივანის ერთიანი გუნდით ასპარეზობა შესაძლებლად ესახება, თუ, რა თქმა უნდა, ტაივანელი ხელისუფლანი დათანხმდებიან იმას, რომ მეზობელი კუნძული ჩინეთის განუყოფელი ნაწილია.

"მარტო სურვილი არაა საკმარისი. საჭიროა ორივე მხრიდან გულწრფელობაც. ამასთან, ეს ნაბიჯი უნდა გადადგან არა მხოლოდ ტაივანის სპორტულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, არამედ ტაივანის ხელისუფლებაც უნდა დათანხმდეს იმას, რომ ტაივანი ჩინეთის ნაწილია", - დასძენს ჩჟენლიანი.

...ყველაფერი კი დაიწყო 1949 წლის 1 ნოემბერს, მაშინ, როდესაც ჩინელებმა რევოლუცია მოაწყვეს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა შექმნეს, ხოლო გომინდანურმა დაჯგუფებამ ჩინეთის პროვინცია ტაივანი დათმო და შემდგომ კონფრონტაციაში გადავიდა.

ტაივანელი ხელისუფალნი 30-40 წლის განმავლობაში მტკიცედ უარყოფდნენ ჩინეთის ხელისუფლების, როგორც სრულად ჩინეთის წარმომადგენლის სტატუსს და, იმავდროულად, ეთანხმებოდნენ იმას, რომ ტაივანი ჩინეთის ნაწილია და მხოლოდ ერთი ჩინეთი არსებობს. თუმცა, 1988 წელს, როდესაც ტაივანის მმართველის თანამდებობა ლი დენხუეიმ დაიკავა, კუნძულის რამდენიმეწლიანი მმართველობის ჟამს ნაბიჯ-ნაბიჯ შორდებოდა პრინციპს - ერთი ჩინეთი. მოგვიანებით კი "ორი ხელისუფლების", "ორი თანასწორუფლებიანი პოლიტიკური სუბსტანციის" კონცეფციის ქადაგებასაც შეუდგა, რასაც შემდგომი განცხადებებითაც უსვამდა ხაზს - "ტაივანი უკვე დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოა".

1993 წლიდან ტაივანმა უკვე ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი გაეროში შესვლაზე (სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ გაეროში შესვლის საკითხს ტაივანი კვლავაც დაუბრუნდა. ჩინეთმა კი: თუ გაეროში შესვლაზე ოცნებას არ შეეშვებით, ურჩი კუნძულის, ანუ ჩინეთის ტაიპეის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციას მივმართავო.- რედ.). მეტიც, ტაივანის ხელისუფლება ჩინეთის გულის გასახეთქად აშშ-სთან და იაპონიასთან სამხედრო კავშირსაც შეეცადა. ჩინეთისთვის ატომური ბომბის ეფექტი ჰქონდა 1999 წელს ლი დენხუეის მიერ გამოცემული წიგნს "ტაივანის პოზიცია", რომელშიც ავტორი ჩინეთს 7 რაიონად ყოფდა, თითოეულს "თვითმმართველობის სრული უფლებამოსილებით".

რაც შეეხება ჩენ შუიბიანს, რომელიც ჩინეთის მიმართ ასევე



*მუ იენ ჩუმ ტაივანს ათენში ოქრო მოაგებინა, შეძლებს თუ არა იგივეს პეკინში, ეს ჩინეთის პოლიტიკაზეცაა დამოკიდებული.*

გამორჩეულია საკუთარი რადიკალობით, წლეულს ხელახალი ვადით აირჩიეს და, მიუხედავად იმისა, რომ მისი სიცოცხლის ხელყოფასაც შეეცადნენ, კვლავაც არ იცვლის ჩინეთისადმი დამოკიდებულებას.

ტაივანის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი 1960 წელს დაარსდა. იმავე წელს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრადაც მიიღეს, თუმცა, ჩინეთის ტაიპეის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტად. ბოლო წლებში ტაივანელი სპორტსმენები სწორედ შესაბამისი სახელით გადიან საერთაშორისო სარბიელზე, მათ შორის ოლიმპიურ თამაშებზეც. აქვე დავძენთ, რომ ჩინეთის ტაიპეის სახელით ტაივანელმა ოლიმპიელებმა ათენის თამაშებიდან ხუთი მედალი წაიღეს, აქედან ორი - უმაღლესი ხარისხის.

თუ ბოლო დროს განვითარებული მოვლენების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეტყობა, ჩენ შუიბიანს სპორტშიც მობეზრდა ჩინეთისგან დამოუკიდებლობა, რადგან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი "ჩინეთის ტაიპეის" "ტაივანად" გადანათვლის წინადადებით გამოვიდა. რა თქმა უნდა, შუიბიანის ამგვარმა ნაბიჯმა უმალ გაახელა ჩინეთი.

აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ოლიმპიური თამაშები კვლავაც პოლიტიკური თამაშების ინსტრუმენტია. შორს რომ არ წავიდეთ, საპრეზიდენტო მარათონში აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმაც კი მიმართა ათენის თამაშებს "დამატებითი ქულების" მისაღებად. კერძოდ, საარჩევნო კამპანიისას სარეკლამო რგოლებში ხშირად ფიგურირებდა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ერაყელი და ავღანელი სპორტსმენების მონაწილეობა. მართალია, მოგვიანებით ბუშის საპრეზიდენტო კამპანიას საზოგადოების უარყოფითი რეაქცია და, შესაბამისად, ასეთი თამაშის შეწყვეტა მოყვა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ყველაფერმა დიდი ყურადღება მიიპყრო.

რაკი სპორტისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირზე ვსაუბრობთ, აქვე უნდა ვთქვათ, რომ მარტო ტაივანი როდი ცდილობს ჩინეთისაგან თავის დაღწევას. გაცილებით უარეს დღეში არიან ტიბეტელებიც, რომლებსაც დაკარგული დამოუკიდებლობის დაბრუნება სურთ. აზიურ სახელმწიფოთაგან სრულიად განსხვავებულ ბედქვეშ არიან ჩრდილო და სამხრეთკორეელებიც. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ორადაა გაყოფილი და ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები აქვთ, სიდნეისა და ათენის ოლიმპიურ თამაშებზე სიმბოლურად გაერთიანებული გუნდის სახელით გამოვიდნენ. თუმცა, კორეა ცალკე საუბრის თემაა.



# ორჯერ ორი იმდენია, რამდენიც ქართველ ხალხს სჭირდება

*თითქმის ყოველდღე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების გარკვეული ჯგუფი რაღაც აქციას მართავს. იქნება ეს მინისტრისათვის შესავსებად მიცემული ტესტი; განათლების რეფორმის წინააღმდეგ ხელმოწერების შეგროვება; ილია ჭავჭავაძის საფლავზე დაფიცება თუ სხვა. ამ ბოლო დროს მათ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებიც შეუერთდნენ სამინისტროში შევარდნითა და რელიგიის სწავლების მოთხოვნით. ბუნებრივია, გარკვეული მოვლენის მიმართ პროტესტის გამოთქმის უფლება ყველას აქვს, მაგრამ იმ გამონათქვამებსა და მოსაზრებებს, რომელიც ამ აქტივობებს თან ახლავს, ვფიქრობთ, გაანალიზება სჭირდება, რადგან ისინი აშკარად მიუთითებენ ჩვენი საზოგადოების დღევანდელ მდგომარეობაზე. ამ თემაზე სასაუბროდ მოვიწვიეთ ფილოსოფოსები სერგო რატიანი და გიგა ზედანია, დეკანოზი ბასილ კობახიძე და პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი.*

ნინო ცინცაძე

**- მართალია, ის პრობლემა, რომელზე სასაუბროდაც დღეს მოგიწვიეთ, განსაკუთრებით მიმდინარე განათლების რეფორმის ფონზე გამწვავდა, მაგრამ მოდით, დღეს ნურც განათლების რეფორმას შევეხებით, ნურც მინისტრს, ან მის მხარდამჭერებსა და მოწინააღმდეგეებს. არ არის აუცილებელი, კონკრეტულად დავასახელოთ რომელიმე სტუდენტი, ან რომელიმე სტუდენტური დაჯგუფება. ჯობს მათ აქტივობას, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას შევეხოთ. ვფიქრობ, მარტივად იმის თქმა, რომ ეს ჰალსტუხიანი ახალგაზრდები კომკავშირის შთამომავლები არიან, არ შეიძლება. ჩემი აზრით, ეს ჩვენი დროის განსაკუთრებული მოვლენაა. ყველასათვის სამწუხაროდ, არაფორმალურ საუბრებში მათ თავად უნივერსიტეტის თანამშრომლები უწოდებენ "ჰიტლერ იუგენდს". რასთან გვაქვს საქმე? რა სახის სოციალურ-პოლიტიკური მოვლენაა ეს? ამაში გასარკვევად, გთავაზობთ, ის იდეები, რომელიც ამ ბოლო პერიოდში უხვად "დაიფრქვა", ცალ-ცალკე განვიხილოთ. მაგალითად, ასეთი: შეიზღუდოს სიტყვის თავისუფლება, ოღონდ საქმე გაკეთდეს.**

**ლევან ბერძენიშვილი**: მე სულაც არ მიჩნდება შთაბეჭდილება, რომ ეს ახალგაზრდები კომკავშირის მემკვიდრეები არიან. საქმე ის არის, რომ კომკავშირი ხელისუფლებისგან ხელდასხმასა და მისი წყაროებიდან კვებას იყო მიჩვეული. ამიტომ ისინი ნებისმიერ ხელისუფლებას უდასტურებდნენ თავიანთ სიმპათიებს. მაგრამ, ამ შემთხვევაში ეს ასე არ მოხდა. ისინი არ გადაბარგდნენ შევარდნაძის ბანაკიდან სააკაშვილის მომხრეების ბანაკში, რასაც კომკავშირელები აუცილებლად გააკეთებდნენ. მე ვიცნობდი კომკავშირელებს, რომლებიც იყვნენ სტალინისტები, მერე პიროვნების კულტის მაგინებლები, მერე აგინეს ხრუშჩოვს და ა.შ.

**- მაგრამ, ამ ახალგაზრდების შემთხვევაშიც, როდესაც ისინი განათლების რეფორმას, მინისტრს ან ვინმე სხვას აგინებენ, პრეზიდენტი ხელშეუხებელი რჩება -** ***მას ცუდი არაფერი გაუკეთებია.***

**ლევან ბერძენიშვილი**: ეს არის უბრალო შიში, შიდა საუბრებში მათთვის სააკაშვილიც იგივეა, რაც სხვა. მაგრამ, მთავარი ეს არ არის. მთავარია, ჩვენ ამ პრობლემის არსს ჩავწვდეთ. კომკავშირისგან განსხვავებით, ეს უფრო საინტერესო მოვლენაა. ისინი ხელისუფლების მცველები კი არ არიან, არამედ სახელმწიფოს მცველები; იმ სახელმწიფო იდეის მცველები, როგორადაც მათ სახელმწიფო თავად წარმოუდგენიათ. ამიტომ, ფაქტობრივად, ისინი არიან იმ ტიპის სტუდენტური ძალა, რომელიც ყოველთვის დისიდენტია, მაგრამ არა კოპერნიკის ან სახაროვის გაგებით; მათ ფუნდამენტური იდეალი გამოუჩნდათ, ისინი არიან დისიდენტები, რომლებიც ვერ მოვიდნენ ჰარმონიაში არსებულ რეალობასთან. ისინი ჰგვანან ერთი კარგი გერმანელი მწერლის ნაწარმოებს, რომლის შესახებაც შეიძლება იციან რამე, შეიძლება არა. მე ვგულისხმობ გიუნტერ გრასის მედოლეს, რომელსაც გაზრდა არ უნდოდა. ეს ხალხი თავიანთ ცხოვრებაში სინათლის შეტანას ერიდება. შემთხვევითი არაა, ისინი რომ ამბობენ - შეიზღუდოს სიტყვის თავისუფლება, ოღონდ საქმე გაკეთდეს. ამით ისინი ამბობენ, - ჩვენ ვართ ბნელები, ჩვენ შევეწინააღმდეგებით ჩვენს განათლებას იმიტომ, რომ ეს განათლება დაგვღუპავს ჩვენ. ეს მათ სხვადასხვაგვარად, არაფორმალურად, წამოსცდებათ ხოლმე, მაგრამ ფაქტია, რომ ეს არის ბაცილა, ბაცილა, რომელზედაც კამიუმ თქვა, რომ იგი არასოდეს კვდება. მას ფაშიზმის ბაცილა ჰქვია. სამწუხაროდ, ეს ახალგაზრდები ყველაზე ახლოს ფაშისტურ იდეასთან არიან. თავიანთ შესახებ მათ შეიძლება ბევრი არაფერი იცოდნენ, მაგრამ, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მათ შორის, ალბათ, მომავალი იდეოლოგებიც არიან, ვინც შემდეგ ამას ყველაფერს გააფორმებს, მაგრამ, ჯერჯერობით, ისინი იყენებენ იმ ენერგიას, რომელიც ნებისმიერ საზოგადოებაში შეიძლება ნაციონალისტურმა იდეამ აღძრას. ეს მსუყე იდეაა. მე ვცხოვრობ სხვებზე უარესად - ეს ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ მე ვიცი სხვებზე ნაკლები. რას სწავლობს აქედან ახალგაზრდა? იმას კი არა, რომ ჩვენ ვერ ვივარგეთ, რატომღაც ისტორიაში ჩამოვრჩით და ა.შ. არამედ სულ სხვას - ჩვენ იმიტომ ვიჩაგრებით, რომ ყველაზე საუკეთესოები ვართ და ვინც შეეცდება, ჩვენში რაიმენაირი მსოფლიო წესი დაამკვიდროს, ის ყველაზე დიდი დამნაშავე იქნება, იმიტომ, რომ წარსულში უკვე იყო ყველაფერი კარგი. სულაც არ არის უცნაური, რომ მათ უნივერსიტეტის რექტორობისათვის კანდიდატურა ჰუმანიტარიის სფეროდან იპოვეს. ჰუმანიტარი, რომლის დონის შემოწმებაც მსოფლიო კრიტერიუმებით შეუძლებელია. გახსოვთ, როგორ წარადგინეს იგი? კაცი, რომელიც ორგზის იყო აღიარებული წლის ადამიანად და ა.შ. ამით ისინი ეძებენ კრიტერიუმებს, რომელიც მსოფლიო კრიტერიუმებს გამოცვლის. ისინი არ აღიარებენ, რომ ორჯერ ორი ოთხია, ისინი ამბობენ, რომ ორჯერ ორი იმდენია, რამდენიც ქართველ ხალხს სჭირდება.

**- შარშანდელი რევოლუციის წინა პერიოდში ე.წ. "არტ-კომთან" ერთად თბილისის თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში მომიწია მისვლა და სტუდენტებთან შეხვედრა. ისეთი აგრესია და წინააღმდეგობა, როგორიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეგვხვდა, არსად შეგვხვედრია.**

**ლევან ბერძენიშვილი:** იმიტომ, რომ "გრაალის მცველები", ნაციონალური იდეის მცველები, გლობალიზაციის მოწინააღმდეგენი უნივერსიტეტში არიან, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა უნივერსიტეტი სრულიად საწინააღმდეგოს ნიშნავს. გაუნათლებელი ქართული ფაშიზმი არა მხოლოდ გაუნათლებლობითაა საშიში, არამედ იმითაც, რომ მისი ფუნდამენტი სადმე ბნელ ადგილას კი არა, ყველაზე ნათელ ადგილას - ცოდნის თეთრ ტაძარშია. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ეს ბავშვები არაფერ შუაში არიან. მე ვერ ვიტყვი, რომ დღიდან დაარსებისა, მაგრამ უნივერსიტეტში ყოველთვის ბოგინობდა იდეა ჩვენი განსაკუთრებულობის შესახებ. ჩვენი მონაწილეობა მე-20 საუკუნის მსოფლიოში ამხანაგ სტალინის მოღვაწეობით შემოიფარგლება; მსოფლიომ ისე შექმნა თანამედროვე ტექნოლოგიები, ისე ააწყო თანამედროვე სამყარო, რომ ჩვენ ამაში როლი ვერ შევასრულეთ და როდესაც კაცს გასწავლიან, რომ შენ სამყაროს ჭიპი ხარ, და რომ "შუშანიკის წამება" რომ არ დაწერილიყო, საერთოდ არაფერი იარსებებდა, შენ ხედავ ამ წინააღმდეგობას და ხედავ გადაწყვეტის გზასაც - დაუკეტო გზა მსოფლიოს. არ მინდა წარსულის აჩრდილებს ძალიან ვაწყენინო, მაგრამ საზოგადოება, რომელიც რამდენიმე გაუნათლებელ ფილოლოგს მსოფლიო აზროვნების ქვაკუთხედად გამოაცხადებს, აქამდე მივიდოდა. მე პატივს ვცემ პავლე ინგოროყვას, მაგრამ არ შეიძლება პავლე ინგოროყვა იყოს შენი დიდი მეცნიერი, კაცი, რომელიც თავად მეცნიერების იდეას ეწინააღმდეგებოდა. იგი ამტკიცებდა, რომ სიტყვა მესხისგან მიიღება სიტყვა აფხაზი. ასეთი კაცი რომ იქნება შენი იდეოლოგი, მაშინ უფრო შორსაც წახვალ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ იგი ახლად დასახელებული პოეტი-ენათმეცნიერის, მიხეილ ქურდიანის სულიერი მამაა.

**- ეს ახალგაზრდები თვლიან, რომ საიდანღაც საფრთხე საქართველოს ისტორიის სწავლებას ემუქრება და მას ყველა მეთოდებით იცავენ. თუმცა, იმ ტესტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც მათ განათლების მინისტრს გადასცეს შესავსებად, უნდა ვთქვათ, რომ მათ კარგად არ იციან არა მხოლოდ საქართველოს ისტორია, არამედ არ გააჩნიათ წერის ელემენტარული კულტურაც კი.**

**სერგო რატიანი**: რაც შეეხება ისტერიას ისტორიის გარშემო, ასეთი რამ მინდა ვთქვა. რამდენიმე ხნის წინ "202"-ის ეთერში ამ სტუდენტებს ჰკითხეს, რა აზრის არიან ისინი როინ მეტრეველზე. მათ პასუხი არ ჰქონდათ. შემდეგ ჰკითხეს, თუ ახსოვდათ, რა ხდებოდა 9 აპრილს და ვინ იყო ნუგზარ ფოფხაძე. მათ პასუხი არც ამ კითხვაზე ჰქონდათ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვიღაცებს სურთ, მათ მთელი ყურადღება წარსულის ისტორიაზე გადაატანინონ და ამით უახლესი ისტორია დაავიწყონ. ჩვენ უკვე 12 წელიწადია, ვცხოვრობთ განათლების სისტემაში, რომელიც საბჭოთა პერიოდის განათლების სისტემა იყო. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ სადღაც ნულოვან წერტილში კი არ დავრჩით, საიდანაც შეიძლება უკეთესობისკენ განვვითარდეთ, არამედ ავირჩიეთ საბჭოთა განათლების სისტემა, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ ვაღიარეთ ის პრინციპები და ღირებულებები, რაც საბჭოთა დროს არსებობდა. რას ნიშნავს ეს? საბჭოთა სისტემა იყო გარკვეული სინამდვილე, რომელსაც ვიღაც ერგებოდა ან ვერ ერგებოდა, მაგრამ ყველა ერთიანად აღიარებდა, რომ ჩვენი ტრადიცია, ჩვენი საფუძვლები რაღაც სხვა იყო. მაგრამ საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ ჩვენ ნებაყოფლობით განვაცხადეთ თანხმობა საბჭოთა კავშირის განათლების სისტემაზე, ანუ, ფაქტობრივად, ცხოვრების საბჭოთა წესზე. წარსულს კი ერთი საინტერესო თვისება აქვს. ის ან წარსული ხდება და ჩვენ მას, როგორც ისტორიას, ვაღიარებთ, ან მას უჩნდება პრეტენზია, რომ გახდეს ჩვენი აწმყო და მას პრეტენზია აქვს მომავალზეც. ისტორია, წარსული, რომელსაც არ სურს გახდეს წარსული, არის ჩვენი ტრადიცია. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე გვაქვს საბჭოთა ტრადიცია - რაც არ გვქონია თავად საბჭოთა კავშირის არსებობის დროს. მე კიდევ ერთ გარემოებას მინდა გავუსვა ხაზი. როდესაც ლაპარაკია პერმანენტულ რევოლუციებზე, ჩვენ უნდა გვახსოვდეს ჰეგელის ნათქვამი - საფრანგეთში რეფორმაცია რომ მომხდარიყო, რევოლუცია არ მოხდებოდა. ჩვენ ვივლით ან რევოლუციების, ფაქტობრივად, ნგრევის გზით, ან რეფორმაციების გზით.

**- ყველამ ნახა ტელევიზიით, როგორ აიტანეს სტუდენტებმა გვირგვინები მთაწმინდის პანთეონზე და როგორ დაიფიცეს სანთლებით ხელში რეფორმატორ ილია ჭავჭავაძის საფლავზე, რომ არავის მისცემენ დამღუპველი რეფორმების გატარების ნებას.**

**გიგა ზედანია**: მე ვთვლი, რომ სტუდენტები, გინდა ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტისა იყვნენ ისინი და გინდა ტექნიკური უნივერსიტეტის, და მათ უკან მდგომი ფიგურები მაინცდამაინც ძლიერები არ არიან, მაგრამ მათი გამოსვლა ძლიან სიმპტომატური იყო. არა იმიტომ, რომ იმ იდეოლოგიას, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, რაიმე მნიშვნელობა აქვს, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოება ამ იდეოლოგიის გამოხატულებას არ შეხვდა შესაბამისი აღშფოთებით. მე ეს აღშფოთება ფართო საზოგადოებრიობაში ვერ დავინახე, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი საშუალო ქართველის ცნობიერება ფაშისტური იდეებისაგან თავისუფალი არ არის. ჩვენ დღეს მართლაც გვაქვს ტრადიციებისა და მოდერნის შეჯახების პრობლემა. ქართული საზოგადოების დემოკრატიული ფრთა კი, ჩემი აზრით, ტრადიციების პრობლემას სათანადო ყურადღებას არ უთმობს. ჩემი აზრით, ერთადერთი გამოსავალია, ხალხს ავუხსნათ ის, რაც არსებულ ტრადიციებში, ამ ტრადიციების ფეტიშიზაციის მიღმა, ნამდვილად დევს. თუ, მაგალითად, ტექნიკური უნივერსიტეტის რომელიმე წარმომადგენელი გამოდის და ლაპარაკობს ეროვნულ რელიგიაზე, რაც თავისთავად ძალიან საინტერესოა, რადგან ქართული ფაშიზმის წარმომავლობა ერთმანეთთან სწორედ ამ ორი დისკურსის - მართლმადიდებლური და ნაციონალისტური იდეების - გადახლართვას უკავშირდება, ჩვენ მას უნდა ავუხსნათ, რომ ქრისტიანობა არის რელიგია, რომელმაც ეთნიკური განსხვავებები წაშალა. ვგულისხმობ პავლეს ფუძემდებლურ ფრაზას, რომ აღარ არსებობს ელინი და ებრაელი, რომ ისინი ყველა ერთნი არიან ქრისტეში. ანდა, თუ ვინმეს ძალიან უნდა, გამოაცხადოს რუის-ურბნისის კრება რაიმე საკრალურ ხდომილებად და მოგვთხოვოს მისი თარილის ზეპირად ცოდნა, მაშინ ჩვენ ამაზე უარი კი არ უნდა ვთქვათ, ის კი არ უნდა ვუპასუხოთ მათ, რომ ეს წარსულია და ჩვენ მხოლოდ მომავალზე ორიენტირებული საზოგადოება ვართ, არამედ გასაგებად უნდა ავხსნათ, თუ რა იყო რუის-ურბნისის კრების არსი. უნდა ვთქვათ, რომ მაშინ ხელისუფლება ძალიან უხეშად ჩაერია საეკლესიო კომპეტენციაში, გადააყენა მღვდელმთავრები, რომლებიც იღებდნენ ქრთამს და დავსვათ კითხვა, ხომ არ არის ჩვენი საზოგადოება და ჩვენი ეკლესია ახლა ისეთ სიტუაციაში, რომ სრულიად ტრადიციულად მეორე რუის-ურბნისის კრება გვჭირდება? ანდა, თუ ვინმე ადის ილია ჭავჭავაძის საფლავზე და იფიცებს სულერთია რას, ჩვენ ამ ფაქტს დუმილით კი არ უნდა ავუაროთ გვერდი, ან ილია ჭავჭავაძის საპირისპიროდ სხვა ფიგურის ძიება კი არ უნდა დავიწყოთ, არამედ უნდა ვთქვათ, რომ არავის არ დაუცინია ისეთი ინტენსივობით მამათა თაობისათვის, როგორც ეს ილია ჭავჭავაძემ გააკეთა. თუ ჩვენ ამას საზოგადოებას სწორად მივაწოდებთ, მაშინ ეს ადამიანები მარგინალურ სიტუაციაში აღმოჩნდებიან. ფაშიზმი ყველა საზოგადოებაში არსებობს, მაგრამ საზოგადოების ნორმალურობა იზომება იმით, თუ რა ადგილი უჭირავთ მათ ამ საზოგადოებაში.

**- არ შეიძლება, გვერდი ავუაროთ კიდევ ერთ იდეას, რომელიც ამ ბოლო პერიოდში გამოითქვა: უნივერსიტეტის რექტორი აუცილებლად უნდა იყოს ქართველი და მართლმადიდებელი.**

**დეკანოზი ბასილ კობახიძე**: ჰო, უნივერსიტეტის რექტორი უნდა იყოს ისეთი ადამიანი, რომელიც დეპუტატ გოჩა ფიფიას ყველა შეკითხვას დააკმაყოფილებს. როგორც ბატონმა გიგამ აღნიშნა, ჩვენ უნდა ვუთხრათ საზოგადოებას, რომ ქტისტიანობამ ყოველგვარი ეთნიურობა უარყო, რომ ნაციონალიზმში შეიძლება ჩაიდოს არა მხოლოდ ეთნიური, არამედ ცივილიზებული სახელმწიფოს აღმშენებლობის აზრიც. მაგრამ ვინ უნდა უთხრას ეს საზოგადოებას? თქვენ თუ ეტყვით, ამას ხალხი არ დაიჯერებს. ეკლესია კი საპირისპიროს ეუბნება, ეუბნება, რომ ქართული გენი არის მართლმადიდებლური გენი, რომ ღმერთს გამორჩეული ჰყავს ქართველები და ა.შ. განათლების რეფორმა ის ლაკმუსის ქაღალდია, რომელმაც ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ, ამ მთავრობის დროს გამოაჩინა. წინა ხელისუფლების დროს კი ეს იყო ხელშეკრულება, რომელიც ვატიკანს უნდა დაედო საქართველოს ხელისუფლებასთან. ვინ შეუვარდა ლომაიას რამდენიმე დღის წინ სამინისტროში? ისევ ის სახეები, ვინც მაშინდელი მოვლენებისას აქტიურობდნენ, პარლამენტის წინ ფსევდო-ფოლკლორული კონცერტი ჰქონდათ გამართული და რელიგიურ-ნაციონალისტურ ლოზუნგებს ყვიროდნენ ქართველი კათოლიკების წინააღმდეგ. საშიში ის არის, რომ ბევრი ამ ადამიანთაგან გულწრფელია, რადგან ეს ეკლესიის მიერ ლეგიტიმირებული რელიგიური ნაციონალიზმია. განათლების მინისტრის წინააღმდეგ კამპანია მის მინისტრობამდე დაიწყო. ერთადერთი მიზეზით - იგი სოროსის ფონდის თავჯდომარე იყო და ამიტომ, ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების სიმბოლოდ მიაჩნიათ. ის კი არ იციან, რომ ღია საზოგადოება ჯორჯ სოროსის კი არა, იესო ქრისტეს იდეაა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ იმას, რაც ამ ადამიანებს მართლმადიდებლობად მიაჩნიათ, არაფერი აქვს საერთო მართლმადიდებლობასთან.

**- ასეთი რამეც ითქვა:** ***რაც არ უნდა ილოცოს მაჰმადიანმა, რამდენად კარგადაც არ უნდა იქცეოდეს იგი, სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს.***

**ბასილ კობახიძე**: 90-იანი წლების დასაწყისში ეს ასე არ იყო, მაგრამ ახლა, სამწუხაროდ, რელიგიური ნაციონალიზმი ახალგაზრდობაშიც დამკვიდრდა, რადგან ბევრი მოძღვარი მათ სწორედ ასეთ მსოფლმხედველობას სთავაზობს. სწორედ ეკლესიაა სტიმული ამგვარი ნაციონალიზმისა. შესაძლოა, მალე აქაც იგივე მოხდეს, რაც უკრაინაში. რის წინააღმდეგ გამოდიოდნენ უკრაინაში ცოტა ხნის წინ ჯვრებითა და ხატებით? ნატო-ში გაწევრიანების წინააღმდეგ. როდესაც საპატრიარქოს გაზეთი აცხადებს, რომ ანტიქრისტეს სახელი ვიცით, რომ ეს არის აშშ-ს ყოფილი ელჩი გაერო-ში, რიჩარდ ოლბრუკი და ამაზე რეაგირება არ ხდება, ეს უკვე სასაცილო აღარ არის. ამაზე დუმილს ამჯობინებენ ჩვენი ქვეყნის ის პოლიტიკოსებიც კი, ვინც დემოკრატიული ღირებულებების გზაზე დგანან. საზოგადოების დუმილი, ნამდვილად, არ მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე.

**ლევან ბერძენიშვილი**: არ შემიძლია, მამა ბასილს არ დავეთანხმო, რადგან რეალურად ის, რაც ახლა ხდება, სულ მალე მიგვიყვანს იმ შედეგებამდე, რაზეც იყო ლაპარაკი. ის ძალები, რომლებიც ახლა პატარა ამოცანას წყვეტენ - უნივერსიტეტში გაიყვანონ თავისთვის სასურველი რექტორი, თანაც იმ ვითარებაში, როდესაც უნივერსიტეტში დასახელებული რექტორების არც ერთი კანდიდატის გამარჯვება არ ნიშნავს დემოკრატიის გამარჯვებას, შემდეგ სხვა ამოცანების გადაწყვეტასაც მოინდომებენ. ჩვენ სულ მალე მივიღებთ პოლიტიკურ პასუხს კითხვაზე, თუ სად მიდის ქვეყანა. ბევრს ჰგონია, რომ დასავლური არჩევანი ერთხელ და სამუდამოდ გავაკეთეთ, მაგრამ ეს ასე არ არის. ეს პოლიტიკური ელიტის გადაწყვეტილება იყო, და არა ქართველი ხალხის გათავისებული გადაწყვეტილება. სწორედ ამიტომ, გრძნობენ რა ქართველი ხალხის რყევას ამ საკითხთან დაკავშირებით, ბევრი პოლიტიკოსი რელიგიურ თემას ეთამაშება. მე ვიცნობ პოლიტიკოსებს, რომელთაც არასდროს არ სწამდათ ღმერთი, მაგრამ ხატების რაოდენობით ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე ყველას სჯობნიან. ახლა მართლმადიდებლობა იმდენად მოდურია, რომ ქართულ დისკურსში მნიშვნელოვანი გახდა არა კანონებზე, არამედ "უფრო მაღალზე", თავად ღმერთზე აპელირება, უფრო სწორად კი "ქართველ ღმერთზე". საზოგადოებას აზროვნების ეშინია. აზროვნების უკან კი დგას ზუსტი პასუხი კითხვაზე, რატომ არ მაქვს წყალი მთაწმინდაზე. იმიტომ, რომ ცუდად ვმუშაობათ, იმიტომ, რომ გაუნათლებლები ვართ, იმიტომ, რომ არ ვიცით, როგორ გავიყვანოთ წყალი, იმიტომ, რომ ქრთამის აღებას დიდი ნიჭიერება არ სჭირდება, იმიტომ, რომ მარტივი პოლიტიკური გათვლა - არიქა, ახლა მოდაშია მართლმადიდებლობა და მოდი მეც მართლმადიდებელი ვიქნები, ან ახლა მოდაშია რეფორმის წინააღმდეგ ხმის ამოღება და მოდი მეც ამოვიღებ - კარგი რამ სულაც არ არის. საქართველოს სახელმწიფო ფუძნდება დღეს და აი ახლა. ხალხს ნუ ვეუბნებით წინასწარ, რომ უკვე ნატო-ში ვართ. ხალხი შინაგანად, როგორც ჩანს, ჯერ ნატო-ში არ არის. გულწრფელად არ ვარ დარწმუნებული, რომ თუ კარგად ავხსნით, რას ნიშნავს ნატო-ში ყოფნა, იგი საერთო სახალხო არჩევანი გახდება. სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ. მე, მაგალითად, არასოდეს გამიგია ჩვენი ეკლესიის მესვეურებისაგან, რომ მათ მოსწონთ ჩვენი დასავლური არჩევანი, მე მათგან არასოდეს გამიგია სიტყვა ნატო. საქართველო, საბერძნეთისგან განსხვავებით, არ არის ევროპული ცივილიზაციის აკვანი და არავინ არ იდარდებს, რომ მაინცდამაინც ნატო-ში შეგვათრიოს, კაი გვაჭამოს და კაი გვასვას, თუ ეს ჩვენი სურვილიც არ იქნება.

**სერგო რატიანი**: საინტერესოა, რომ საბჭოთა განათლების სისტემას უცნაური რამ დაემატა - ბოლო წლების "რელიგიური განათლება". ეს რაღაც ერთობ უცნაური მუტაციაა. საქმე იქამდისაც კი მიდის, რომ საეკლესიო პირების დისკურსშიც კი გაჩნდა კომუნისტური ფრაზეოლოგია - დასავლელი კაპიტალისტები და საზიზღარი ბურჟუები... ის წარსული, რომელშიც ჩვენ ვიყავით, გარკვეულწილად განაპირობებს იმას, რაშიც დღეს ჩვენ ვართ, რაღაც წინააღმდეგობები, შესაძლებელია, რომ გადაილახოს, მაგრამ მე საშიშროებას მაინც ვხედავ. საქართველოში, ჯერჯერობით, არ არსებობს თავისთავად ჩამოყალიბებული საზოგადოება, რომელსაც ძალა შესწევს, საკუთარ პრობლემებს თავად მოუაროს და ამით საკმაოდ მოხერხებულად შეიძლება ისარგებლონ მეზობელმა ქვეყნებმა, რომელთაც აქ საკუთარი ინტერესები გააჩნიათ.

**ბასილ კობახიძე**: ახალგაზრდების საკითხზე ბევრთან მისაუბრია, არა მხოლოდ სტუდენტებთან, არამედ ჟურნალისტებთანაც. ის ადამიანიც კი, რომელიც ამას აგრესიულად არ გამოხატავს, ისიც კი რელიგიური ნაციონალისტია და გულწრფელად სჯერა, რომ ჩვენ ქართველები განსაკუთრებული მართლმადიდებლები ვართ. აი, თუნდაც პირველი არხის ის გადაცემა, რომელსაც იუნესკოს გრანტით ქალბატონი გიული ალასანია აწყობს - სვეტიცხოვლის ეზოში სხედან ჩვენი პროფესორები, სასულიერო პირები და მიდის საუბარი, რომელიც მთლიანად რელიგიურ ნაციონალიზმსა და ამგვარ მითოლოგიაზეა დაფუძნებული, თანაც სახელმწიფო და საეკლესიო დროშები გარშემო ისე ფრიალებს, რომ გეგონება, ესპანეთის ინკვიზიციის სასამართლოა და ახლა ვიღაცას წვეტიანი ჩაჩით შემოათრევენ. ნაციონალიზმი და რელიგია შეიძლება იყოს ერთად, თუ ორივე მათგანის შინაარსი გაუკუღმართებული არ იქნება. სულ ორიოდე წლის წინათ, საფრანგეთში, დემოკრატიის ამ ერთ-ერთ აკვანში, მოდიოდა ჟან მარი ლეპენი, რომელიც ოსტატურად მანიპულირებდა სწორედ ნაციონალურ-რელიგიური მომენტებით, კათოლიციზმით, ჟანა დარკით და ა.შ. მე მაშინ იქ ვიყავი და კარგად მახსოვს, რომ ლეპენის რეიტინგის დაცემაში დიდი როლი საფრანგეთის კათოლიკურმა ეკლესიამ შეასრულა. ეპისკოპოსები გამოდიოდნენ ტელევიზიით, აქტიურად იცავდნენ დემოკრატიულ ღირებულებებს და ლეპენს ქრისტიანობის სახელით სპეკულირების უფლებას ართმევდნენ. ვფიქრობ, აქ რომ ქართველი ლეპენის სათავეში მოსვლის საშიშროება შეიქმნას, ჩვენი ეპისკოპოსები საპირისპიროს გააკეთებენ.

**- საკმაოდ მძიმე პერსპექტივები დასახეთ...**

**გიგა ზედანია**: ფაკულტეტზე, სადაც მე ვასწავლი, ძალიან აქტიურად მიმდინარეობს რეფორმები. როდესაც კურსების არჩევითობა შემოვიტანეთ, პირველი პერიოდის განმავლობაში სტუდენტები პროტესტს გამოთქვამდნენ და ამბობდნენ, რომ ის დრო ერჩიათ, როდესაც ყველა კურსი სავალდებულო იყო, რადგან ზუსტად იცოდნენ, სად უნდა შესულიყვნენ. ახლა ისინი ისე შეეჩვივნენ ამ სისტემას, დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგ სემესტრში ვერც კი დაუშვებენ, რომ ვინმემ თავზე კურსი მოახვიოს. მე ვფიქრობ, სტუდენტთა უმრავლესობამ არ იცის, რა არის თავისუფლება, რა არის სწავლის თავისუფლება, რას ნიშნავს, როდესაც შეგიძლია აირჩიო ლექცია, აირჩიო ლექტორი, შეცვალო უნივერსიტეტი. როცა ისინი ამას გემოს გაუგებენ, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, უმრავლესობა მათგანი კბილებით დაიცავს ამ უფლებებს და მათ თავისუფლებას. სანამ ეს მოხდება, მანამდეა აუცილებელი, რომ საქმე იქამდე მივიყვანოთ, თორემ ეს რომ მოხდება, მერე ყველაფერი კარგად იქნება.

**ლევან ბერძენიშვილი**: ბატონი გიგას საუბრის შემდეგ მე ჩემს ბუნებრივ ფაზაში გადასვლა არ მიჭირს, იმიტომ, რომ მე ოპტიმისტი ვარ. ძალიან ბევრს ჰგონია, რომ ეს ოპტიმიზმი ჩემი ავადმყოფობაა, მაგრამ, უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია, რომ დემოკრატიული იდეა, რომელიც ქართველებში დაიბადა, შემთხვევით იყოს გაჩენილი. ამიტომ, ეს ბრძოლის საგანია და გამარჯვების შანსი, რა თქმა უნდა, არსებობს. გიგასი იმიტომ მჯერა, რომ ის ახალგაზრდაა და თანაც ერთ-ერთი ყველაზე ჭკვიანი ახალგაზრდა საქართველოში. რადგან ის ამბობს, რომ ახალგაზრდებში ამის პოტენციალი არის, მე მჯერა, ოღონდ საქმე ის არის, ვინ არის აქტიური. აქტიურები არიან ბნელები. ახლავე დავასახელებ უნივერსიტეტიდან რექტორობის ოც კანდიდატურას, რომელიც ყველა წარმოდგენილს აჯობებს, მაგრამ ამ ხალხმა არ ისურვა ბრძოლა. საზოგადოებაში პასუხისმგებლობის გრძნობა თუ გავაჩინეთ, მაშინ მებრძოლი დემოკრატებიც გამოჩნდებიან. ლევ ტოლსტოი უნდა დავიმოწმო და უნდა ვთქვა, რომ კარგ ადამიანებს უჭირთ გაერთიანება, სამაგიეროდ, ცუდები ადვილად ერთიანდებიან, რაც მოხდა კიდეც ჩვენს თვალწინ უნივერსიტეტში. არ მომწონს სტუდენტური დაჯგუფებების არც ერთი მხარე, ორივე ანგაჟირებულია, ორივე მხარეს ვხედავ პოლიტიკასაც და ფულსაც. ნამდვილი სტუდენტობა კი, ვინც ხმა უნდა ამოიღოს, დუმს. მართალია გიგა, ჯერ თავისუფლების გემო არა აქვთ გაგებული. მაგრამ ეს დროც მოვა. ქართველების ერთადერთი ძალა ის არის, რომ ქართველი ლეპენი არ გამოჩნდა. რაც მთავარია, მე არ მჯერა, რომ ვინმეს ფაშიზმი უნდოდეს საქართველოში, გარდა საკუთრივ ფუნდამენტურად განწყობილი ადამიანებისა და იმ სახელმწიფოებისა, რომელიც ჩვენს ირგვლივაა. მათი ფული კი ამ საქმეში, შესაძლებელია, მართლაც იდოს. ქართველ ფუნდამენტალისტთა ერთ-ერთი გაერთიანება რომ "ლუკოილის" ოფისშია, ვიცი, აქედან დასკვნებს საზოგადოება თავად აკეთებს. მაგრამ თუ საქართველოში ფაშიზმის საფუძველი არ იქნება, რამდენი ფულიც არ უნდა შემოვიდეს, ვერაფერს იზამენ. ფული სხვებსაც აქვთ. სოროსმა ბევრი გააკეთა საქართველოში ღია საზოგადოების განვითარებისათვის და ამ რესურსს, ალბათ, ახლა გამოვიყენებთ, იმიტომ, რომ დადგება მომენტი, როდესაც რევოლუცია დარბაზში შესვლით კი არ მოხდება, არამედ სადღაც, რომელიღაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ეთერში.


ლევან ბერძენიშვილი


გიგა ზედანია


ბასილ კობახიძე


სერგო რატიანი

## ორშაბათი 22.11

### რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელეღიპუცები" 10.00 სერიალი "ეკლები და ვარდები" 11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40 კურიერი 12.20 სერიალი "შეყვარებული ქალები" 13.30 სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" 15.25 სერიალი "ბევერლი ჰილზი" 16.30 სერიალი "ეკლები და ვარდები" 17.25 პერეკროსტიკი 18.20 "რობოტი და რობოტუნა" 18.55 სერიალი "ბევერლი ჰილზი" 19.50 ქართ. ფეხბურთი 19.55 სერიალი "შეყვარებული ქალები" 22.00 თამაში "ყველაზე ჭკვიანი" 23.00 დოკ. ფილმი "როგორ უნდა გახდე პრინცი" (ბი-ბი-სი) 00.00 მხ. ფილმი "ხმლების პრინცესა" (18) (იუმიკო შაკი) 02.00 პატრული

### TV5

06.00, 08.00, 09.00(კანადა) 12.00, 15.00(ბელგია) 16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.05(შვეიცარია), 02.35(აფრიკა), 04.00 TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. 11.00, 14.00, 19.00, 22.00 TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. 08.30 ტელედილა. 09.05 პოლიციელები ოკუპაციის დროს. I ნაწილი. დოკ. ფილმი. 13.05 გადაცემა: კიოსკი. 18.30 კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. 19.05 ზანგური მუსიკის ისტორია. დოკ. ფილმი. 22.05 გადაცემა: ულტრა. 23.00 პოლიციელები ოკუპაციის დროს. II ნაწილი. დოკ. ფილმი. 24.30 ვენგო. მუსიკალური ფილმი. რეჟისორი ტონი გატლივი. 2000.

### პირველი არხი

07.30 ალიონი 09.40 სერიალი "გადაადგილების საშუალებები" 10.00 "იმღერე რამე" 10.30 მხ. ფილმი "ჭირვეული მეზობლები" (გ) 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სერიალი "ზღვის რაჯა" 13.00 კონცერტი -ირმა სოხაძე 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.25 დოკ. ფილმი "ექიმი დელფინი" 15.20 დოკ. ფილმი "ცრუ" მე-3ნ. 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 დოკ. ფილმი "დიზაინი" 16.30 ფრაგმენტები სურათისთვის 17.00 სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის თუ ბეწვის ქვეშ" 17.25 ჩემი მშვენიერი ლედი 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ცხოველთა სტრატეგია" 19.00 "იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი "ზღვის რაჯა" 22.00 ღამის მატარებელი 00.00 მხ. ფილმი "ნაზი კანი" (გ)

### კავკასია

11.00 ვარსკვლავები გვამცნობენ 13.00 საბავშვო პროგრამა "ინკოგნიტო" 14.00 ინდ. მხ. ფილმი "გათენდება ხვალინდელი დღე თუ არა" (გ) 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.20 სერიალი "მილედი" 19.20 სპექტრი 21.00 ქართული მუსიკა 22.30 "საქმე და ეკონომიკა" 23.00, 00.30 ქართული მუსიკა

### მზე

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეჟურნალი "სცენა" 09.30 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 10.00 სერიალი "სინიორ ვიანელო" 10.30 სერიალი "პატარა დიდი ბობი" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 12.05 კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 13.05 სერიალი "პოლიციელი ქალები" 14.15 არჩევანის ზღვარზე 15.10 შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" 16.05 სერიალი "მარია ემილია" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 17.20 სერიალი "პოლიციელი ქალები" 18.20 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 18.50 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 20.45 სერიალი "სინიორ ვიანელო" 21.15 სერიალი "ვუპი" 21.45 პუბლ. გადაცემა "პატრიოტთა თამაშები". ვ. მჟავანაძე 22.45 "არჩევანის ზღვარზე" 23.45 მხ. ფილმი "ტუჩები ქირით" (15) (რობერტ დაუნი უმც.)

### მეორე არხი

19.00 საბ. სერიალი "გადაადგილების საშუალებები" 19.25 სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" 20.15 "იმღერე რამე" 20.45 ბასტი-ბუბუ 21.00 კონცერტი - ირმა სოხაძე 22.45 მხ. ფილმი "ინდოჩინეთის თოვლი" (გ)

18.00 მხ. ფილმი "ლამაზმანი და ურჩხული" (გ) 19.30 დოკ. ფილმი 20.30 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი "ორფეოსი" (12)

### იმედი

07.00 სერიალი "უკიდურესი ზღვარი" 07.30 დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.05 "იმედის" დილა 09.20 "დუბლიორი" 10.05 სერიალი "მოჯადოება" 11.15 დროება 12.40, 16.25, 02.10 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი "ქამელეონი" (გ) (დ. ოტეი) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.00 ქრონიკა 15.20 სერიალი "ოცნების სანაპირო" 16.40 დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" 17.10, 02.40 იმედის მელოდიები 17.25 ვაკაჭი-ნიუსი 18.05 სერიალი "მოჯადოება" 19.55 სერიალი "ოცნების სანაპირო" 20.55 სერიალი "მტერის გემო" 22.50 სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" მე-8 ს. 23.15 "არჩევანი თქვენ" 00.35 სპ. პროგრამა "გოლი" 01.05 სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

09.00 მუსიკა 09.20 სათავგადასავლო ფილმი "ვულკანი" 10.40 ისტორიული ფილმი "მეფური წყალობა" 11.30, 14.30, 17.30, 20.30 საინფ. გამოშვება 12.55 კომედია "ბანზაი" 14.45 მელოდრამა "ვარდების სარეცელი" 16.05 მულტფილმი 17.45 დოკ. ფილმი 18.30 საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" 18.45 მხ. ფილმი "ავია ტერორისტები" 20.15 მუსიკა 21.00 ფანტასტიკა "ზეიგენები-2" 22.30 დოკ. ფილმი 23.30 საინფ. დაიჯესტი 23.50 მხ. ფილმი "ღმერთების შური"

### 202

10.00 დებატები (განმ.) 12.00 ქართული ესტრადის ვარსკვლავები 13.00 სერიალი "მუსკულები" (გან.) 20.00 ვიპ-შოუ 21.00 ქართული ესტრადის ვარსკვლავები 22.00 სერიალი "მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 "კენო" 23.00 დებატები 202-ზე

### ОРТ

06.00 "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20 Джош Хартнетт в боевике "ПАДЕНИЕ "ЧЕРНОГО ЯСТРЕБА". 12.10 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.10 Людмила Зайцева в комедии "ЗДРАВСТВУЙ И ПРОЩАЙ". 15.20 "Угадай мелодию" 15.50 "Последний герой". Суперигра. 17.00 "Пять вечеров". Понедельник. 18.20 "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. 19.00 Сериал "КЛОН". 20.00 Жди меня. 21.00 Время. 21.30 Чулпан Хаматова в фильме "ДЕТИ АРБАТА". 22.30 Док. фильм "Падение "Черного ястреба". Подлинная история". 00.00 "Формула власти". Премьер-министр Канады. 00.30 Сотворение мира. "Вселенная" 01.00 Мишель Пфайффер в фильме "НА САМОМ ДНЕ ОКЕАНА" 02.50 Сериал "ПРИКЛЮЧЕНИЯ МОЛОДОГО ИНДИАНЫ ДЖОНСА". 04.40 Док. сериал "История живописи сестры Венди". 05.05 Максим Никулин в программе "Форганг".

### НТВ

